



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი
ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა
Institute of Cultural Studies
UNESCO Chair in Intercultural Dialogue



United Nations Educational, Scientific and Cultural
Organization



UNITWIN/UNESCO Chairs - Twinning networks and
university networks

ცივილიზაციური კვებანო CIVILIZATION RESEARCHES

№ 7



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

„ცივილიზაციური ძიებანი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოდის 2003 წლიდან. 2007 წლის ივნისში იუნესკოს ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო მრგვალი მაგიდის – „კავკასია: ინტერკულტურული დიალოგის პერსპექტივა“ – გადაწყვეტილებით, ის არსებობას განაგრძობს როგორც საერთაშორისო გამოცემა. კრებული ინტერდისციპლინურია, მოიცავს კროსკულტურული კომუნიკაციისა და ინტერკულტურული დიალოგის, შედარებით რეგიონული კვლევების (ისტორიული და ტიპოლოგიური საკითხები), კულტურის კვლევების და სხვა საკითხებს.

კრებული თანამშრომლობს აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას, რუსეთის ფედერაციის, ცენტრალური აზიის იუნესკოს კათედრებთან, სხვა ქართველ და უცხოელ კოლეგებთან, რომლებიც წარმოდგენილი არიან როგორც სარედაქციო საბჭოში, ასევე ავტორების სახით.

სარედაქციო ჯგუფი მზადაა თანამშრომლობისათვის დაინტერესებულ პირებთან და სტრუქტურებთან.

“**Civilization Researches**” is an annual edition of the UNESCO Chair in Intercultural Dialogue, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The articles cover spheres including, but not restricted to:

- Cross-cultural communication and intercultural dialogue
- Comparative regional studies (including historical and typological perspectives)
- Cultural studies.

Traditional and non-traditional paradigms of study are equally welcome.

The journal cooperates with the UNESCO Chairs in Armenia, Azerbaijan, Moldova, Central Asia, Russian Federation and is open for collaboration with the interested individuals and structures.

მოთხოვნები ავტორებისადმი

მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად, ინგლისურად, რუსულად ან ფრანგულად (მაქსიმუმ 4.000 სიტყვა. Times New Roman 12, 1,5, ან 2.500 სიტყვა; AcadNusx 12, 1,5 (ქართული ტექსტები). ყველა სტატიას (გარდა ინგლისურ ენაზე წარმოდგენილისა) უნდა ახლდეს ინგლისური რეზიუმე 800-1000 სიტყვის მოცულობით. ციტირება – MLA სტილი.

შერჩევის პირველი ეტაპი – სარედაქციო საბჭოს წევრთა მიერ შერჩეული სტატიები იგზავნება თბილისში, რედაქციაში, ელექტრონული ფოსტით.

მეორე ეტაპი – სტატიები ეგზავნება სარედაქციო საბჭოს წევრებს (სპეციალობათა მიხედვით) საბოლოო შერჩევისათვის.

წარმოდგენის ვადები:

1 ოქტომბერი – წარმოდგენა სარედაქციო საბჭოში

1 ნოემბერი – სარედაქციო საბჭოს წევრთა საბოლოო გადაწყვეტილება

Submission

The articles should be submitted in Georgian, English, Russian or French (max. 4000 words, Times New Roman 12, 1,5, or 2500 words, AcadNusx 12, 1,5 space (Georgian texts). All articles (except those in English) must be presented together with the summary in English, 800-1000 words. Citation – MLA style.

First stage of selection – papers recommended by the members of the Editorial Board should be delivered to Tbilisi by e-mail.

Second stage – the papers should be distributed among the members of the Editorial Board for the final selection.

Deadline for delivering articles to Tbilisi:

October (with the recommendation of a member of the Review Group)

November (decision of the member of the Review Group to whom the article was delivered).

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009

Tbilisi University Press, 2009

ISBN 978-9941-13-187-5

© ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა, 2009

UNESCO Chair in Intercultural Dialogue, 2009

ISSN 1512-1941

სარედაქციო საბჭო

ნინო ჩიქოვანი, პროფესორი (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე)	კულტურის კვლევები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
მინეილ ბორგოლტე, პროფესორი	შუა საუკუნეების ევროპის შედარებითი ისტორია, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, გერმანია
ემილ დრაგნევი, პროფესორი	სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოლდოვა
მაგჯუდა იულდაშევა, პროფესორი	ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და კულტურის კვლევები, რუსულ-ტაჯიკური სლავური უნივერსიტეტი, დუშანბე, ტაჯიკეთი
მალხაზ მაცაბერიძე, პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერებები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
დმიტრი სპივაკი, პროფესორი	სულიერი ტრადიციების, სპეციფიკური კულტურებისა და ინტერელიგიური დიალოგის შედარებითი კვლევა, კულტურის კვლევათა რუსეთის ინსტიტუტი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია
ნინო ფირცხალავა, პროფესორი	შედარებითი ლიტერატურული კვლევები, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
თინათინ ღუდუშაური, ასოც. პროფესორი	კულტურის ანთროპოლოგია, ჰუმანიტარული სკოლა, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
ბერნდ შპილნერი, პროფესორი	ენათმეცნიერება, დუისბურგ-ესენის უნივერსიტეტი, გერმანია
ბეჟან ჯავახია, პროფესორი	შუა საუკუნეების ისტორია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ზარუი ჰაკობიანი, ასისტ. პროფესორი	სომხური ხელოვნების ისტორია და თეორია, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სომხეთი
რაუფ ჰუსეინოვი, პროფესორი	ისტორია, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, აზერბაიჯანი
სარედაქციო ჯგუფი:	მალხაზ თორია ქეთევან კაკიტელაშვილი მაია ქერივიშვილი ირაკლი ჩხაიძე ივანე წერეთელი შოთა ხინჩაგაშვილი

რედაქციის მისამართი

საქართველო, 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №3
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
II კორპუსი, ოთახი 132
ტელ.: (995 32) 29 08 44
ელ. ფოსტა: tsuculturologia@yahoo.com, icstbilisi@gmail.com

ჟურნალის ინტერნეტვერსია და სხვა ინფორმაცია ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის შესახებ იხ. ვებგვერდზე: www.culturedialogue.com

EDITORIAL BOARD

Nino Chikovani , Professor (<i>Head of the Editorial Board</i>)	Cultural Studies, <i>Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Michael Borgolte , Professor	Comparative History of Medieval Europe, <i>Humboldt University, Berlin, Germany</i>
Emil Dragnev , Professor	South East European Studies, <i>Moldova State University, Moldova</i>
Tinatin Ghudushauri , Professor	Cultural Anthropology, <i>School of Humanities, University of Georgia</i>
Zaruhi Hakobyan , Assistant Professor	History and Theory of Armenian Art, <i>Yerevan State University, Armenia</i>
Rauf Huseynov , Professor	History, <i>Institute of Archaeology and Ethnography of the National Academy of Sciences of Azerbaijan</i>
Bejan Javakhia , Professor	Medieval Studies, <i>Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Malkhaz Matsaberidze , Professor	Political Sciences, <i>Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Nino Pirtskhalava , Professor	Comparative Literary Studies, <i>Ilia Chavchavadze State University, Tbilisi, Georgia</i>
Dimitri Spivak , Professor	Comparative Studies of Spiritual Traditions, their Specific Cultures and Interreligious Dialogue, <i>Russian Institute for Cultural Studies, St. Petersburg, Russian Federation</i>
Bernd Spillner	Linguistics, <i>Duisburg-Essen University Germany</i>
Mavzhuda Yuldasheva , Professor	Psychology-pedagogical Disciplines and Cultural Studies, <i>Russian-Tajik Slavonic University, Dushanbe, Tajikistan</i>

EDITORIAL GROUP:

Irakli Chkhaidze
Ketevan Kakitelashvili
Shota Khinchagashvili
Maia Kvrivishvili
Malkhaz Toria
Ivane Tsereteli

ADDRESS OF EDITORIAL OFFICE

UNESCO Chair in Intercultural Dialogue, Tbilisi State University
3, Ilia Chavchavadze Ave. 0128, Tbilisi, Georgia.
E-mail address: tsuculturologia@yahoo.com, icstbilisi@gmail.com

The electronic version of the journal and the information about the UNESCO Chair in Intercultural Dialogue is available at: www.culturedialogue.com

შინაარსი
CONTENTS

მაღსაზ მაცაბერიძე	
საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებები	7
Malkhaz Matsaberidze	
Elaboration of the 1921 Constitution of Georgia and Constitutional Rights of the National Minorities	22
Ketevan Kakitelashvili	
Instrumentalization of History and History Teaching in Post-Soviet Georgia	24
Hripsime Ramazyan, Sona Avetisyan	
The Globalizing World: A Diagram of New Identities	29
Заур Гасымов	
Польский прометеизм как предмет исследования. Историографические заметки.....	34
მაია კვრივიშვილი	
იდენტიფიკაციის პროცესები და მარკერები ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბების ხანაში (საქართველო და რუმინეთი: შედარებითი ანალიზის ცდა)	38
Maia Kvrivishvili	
Processes and Markers of Identification in the Era of Formation of Nation-States: A Comparative Analysis of Georgia and Romania	43
David Matsaberidze	
The Soviet Identity – Transnationalism and Ethnic Nationalisms in the Soviet Union	44
Сергей Румянцев	
Диаспора, как политический проект:Практики и цели конструирования этно-национального сообщества	53
Sergei Romyantsev	
Diaspora as a political project: Practices and purposes of construction of ethno-national community	60
Irakli Chkhaidze	
Georgian National Project in the Context of Ethnic and Civic Nationalisms (THE Beginning of the Post-Soviet Period)	62
Hripsime Ramazyan	
Tradition Dismantling: A post-totalitarian society in the shadows of westernization	65
მარინა ანდრაზაშვილი	
სპეციფიკური სირთულეები გერმანულენოვან გეოგრაფიულ სახელთა გადმოტანისას ქართულად და არსებული უზუსტობანი	71
Marina Andrazashvili	
Specific Difficulties at the Time of Transposition of German Geographical Names into Georgian and THE Existing Inaccuracies	84
ნინო დარასელია	
დ. უზნაძის განწყობის თეორია კოგნიტოლოგიის ჭრილში	85
Nino Daraselia	
Dimitri Uznadze’s Psychological Theory of Set from the Standpoint of Cognitive Science	89

ნინო კიმერიძე	
ტექსტის სახეობა – კულტურით განპირობებული ენობრივი წარმონაქმნი (გერმანული და ქართული ტექსტის სახეობათა ანალიზის საფუძველზე)	91
Nino Kimeridze	
Text Types – Culture-Specific Linguistic Phenomenon(based on the analysis of German and Georgian text types)	101
თარგმანები	
დაღუპული გემის მეზღვაურის მოთხრობის ინტერპრეტაცია ჯონ ბენისის მიერ	102
აპტორები	121
AUTHORS	122

მალხაზ მაცაბერიძე

**საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება და
ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებები**

1918 წლის 26 მაისს საქართველომ გააკეთა ისტორიული არჩევანი – აქმენებინა დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო. მიუხედავად დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდისა, ქართველმა ხალხმა შეძლო გამოეველინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უდიდესი ენერგია. 1921 წლის კონსტიტუცია დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის უნიკალურ გამოცდილებას წარმოადგენს. მასში აისახა იმდროინდელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკა, აგრეთვე ეპოქის მისწრაფებები და შეხედულებები. ორი უმთავრესი პრინციპი – ერისა და პიროვნების თავისუფლება საფუძვლად დაედო საქართველოს პირველ კონსტიტუციას. ეს დოკუმენტი პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის „კონსტიტუციურ ტალღაში“ შედის (გერმანია 1919, ავსტრია 1920, ფინეთი 1921 და ა.შ.) და თავისი ინდივიდუალურობით, ისევე როგორც თანმიმდევრული დემოკრატიზმით, საპატიო ადგილი უკავია მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებებისა და გარანტიების ჩამოყალიბება. საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მასალები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, თუ რა დიდი ყურადღება დაეთმო კონსტიტუციის შემუშავებისას „რესპუბლიკის მცირე ერების უფლებათა“ განსაზღვრას.

1. სხვებისთვის სანიმუშოდ

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები მიისწრაფოდნენ შეექმნათ უაღრესად დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც სხვა ქვეყნებისათვის სანიმუშო და მისაბადი იქნებოდა. ასეთი სულისკვეთებით წყვეტდნენ ეროვნულ საკითხსაც. ასე მაგალითად, საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 26 თებერვლის სხდომაზე ა. ჩხენკელი აღნიშნავდა: „ჩვენი ვერავის მივბაძავთ, ვერსაიდან გადმოვიღებთ რასმე, რადგან არ არის ისტორიაში სათანადო, ჩვენი დამაკმაყოფილებელი მაგალითები; ეს კითხვა უნდა გადავჭრათ ჩვენი გონებით იმდენად საფუძვლიანად, რომ სხვისთვის გახდეს სამაგალითოდ“ (სცსსა¹, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 126).

ასეთი განწყობა კარგად აიტაცეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმაც. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფ საქართველოს სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობებს უნდა მიეღოთ ისეთი უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები, რაც არ იყო განხორციელებული დასავლეთის ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი. მაგალითად, საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 10 მარტის სხდომაზე, როდესაც კომისიის თავმჯდომარემ, პ. საყვარელიძემ რუსების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელს მიუთითა, რომ მათ მიერ წამოყენებული ე.წ. „ენათა თანასწორუფლებიანობის“ მოთხოვნა არსებითად უარყოფდა სახელმწიფო ენის ცნებას, ან ასეთად აქცევდა 15-16 ენას, მსგავსი რამ კი არც ერთ ქვეყანაში არ არსებობდა, პასუხად მიიღო შემდეგი: „ქვეყანაზედ არსად

¹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.

არის სოციალისტური მთავრობა, ეს არის საქართველოში და ეს გარემოება ავალებს მთავრობას ზოგ რამეს, რაც სხვა სახელმწიფოსათვის უჩვეულოა და შეუძლებელი“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 203).

საკონსტიტუციო კომისია ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მტკიცე ეროვნული სახელმწიფოს შექმნას მიიჩნევდა: „დღეს ჩვენი მოვალეობა არის – შევქმნათ მთლიანი, მტკიცე ეროვნული ორგანიზმი და ავიცდინოთ ის მიზეზები, რომლის გამო სუსტდება და ირღვევა იგი“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 177), – აღნიშნავდა პ. საყვარელიძე. ცხადი იყო, რომ სწორედ ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო განხილული და გადაწყვეტილი ეროვნულ უმცირესობათა საკითხიც. ამიტომ შეუძლებლად იქნა მიჩნეული „სახელმწიფოში ახალი სახელმწიფოს, ან რაიმე საჯარო უფლებრივ ორგანიზაციის შექმნა“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 178).

ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი იყო აგრეთვე სახელმწიფოსა და ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების მჭიდრო კავშირის აღიარება და მათი ჰარმონიული შეხამების ცდა. ამ გარემოებას უსვამდა ხაზს საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 26 თებერვლის სხდომაზე ა. ჩხენკელი: „მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ინტერესები მთელის – სახელმწიფოსი და ნაწილის – ეროვნული უმცირესობისა: ერთის ბედნიერება მეორის ბედნიერებაა და ერთის უბედურება – უბედურებაა მეორისათვის; აყვავება სახელმწიფოსი არის აყვავება და გამდიდრება უმცირესობისა. ეს უნდა ჰქონდეს შეგნებული ყოველ უმცირესობას, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე გაუგებრობასა და უნდობლობას; უმცირესობის აყვავება ჩვენი ინტერესიც არის და სწორედ საკითხის ასეთი გაშუქებიდან გამომდინარე ჩვენ მაქსიმუმში იმ უფლებათა, რომელთაც სახელმწიფო აძლევს უმცირესობას“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 127). ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფა უდიდეს სახელმწიფოებრივ ინტერესად იყო მიჩნეული, მაგრამ, ამავე დროს, „უმცირესობამ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც ავნებს სახელმწიფოს, ავნებს მათაც“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 180).

საკონსტიტუციო კომისიის წევრთა ნაწილის აზრით, ეროვნულ უმცირესობებს უადრესად ფართო უფლებები უნდა მისცემოდათ, გარდა საჯარო-უფლებრივი ორგანიზაციების შექმნისა. ამასთან დაკავშირებით პ. საყვარელიძე განმარტავდა: „ყველას მოეხსენება რას ნიშნავს ასეთი ორგანიზაცია; მის განკარგულებაში გახლავთ სკოლისა და გადასახადების საკითხი; იგი იძულებით კრეფს გადასახადს, ამ შემთხვევაში მას ფიზიკური ძალის შექმნის უფლება სურს მოიპოვოს; იგი სრული კანონმდებელია – ერთი სიტყვით, სახელმწიფოებრივი ფუნქციების მატარებელია. მაშინ ჩვენ რესპუბლიკაშიც იქნება 15 საჯარო უფლებით შემოსილი ეროვნული საბჭო; გვექნება ცენტრალი სახელმწიფო და კიდევ 8, 9 სახელმწიფო ჩვენ გვერდით და წარმოიდგინეთ ის კინკლაობა, ჩხუბი, წიწქა-გლეჯა, რომელიც აუცილებელი შედეგი იქნება ასეთი მდგომარეობისა. ამიტომ ჩვენ მეტად ფრთხილად უნდა მოვეპყრათ ამ საკითხს“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 177).

პ. საყვარელიძე მიუთითებდა, რომ საქართველოს სახელმწიფო უადრესად დემოკრატიული იყო და არსებული კანონმდებლობით უზრუნველყოფდა ეროვნულ უმცირესობათა მნიშვნელოვან უფლებებსა და გარანტიებს. კერძოდ: 1. აღიარებული და უზრუნველყოფილი იყო ყველა მოქალაქის, განურჩევლად ეროვნებისა, თავისუფალი არსებობა და განვითარება როგორც სარწმუნოების საკითხში, ისე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების სფეროში; 2. არსებობდა პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ყოველნაირ უმცირესობას თავისი უფლებების დაცვის საქმეში; 3. ეროვნულ უმცირესობათა ენების უფლებები სავსებით დაცული იყო ადგილობრივ თვითმმართველობებსა და სასამართლოში; უცხო ენა გამოიყენებოდა ეროვნულ საბჭოში და პარლამენტშიც. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო კომისიამ საჭიროდ მიიჩნია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ცალკე თავად შეტანა კონსტიტუციაში.

2. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების თავდაპირველი მონახაზი

საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 29 ოქტომბრის სხდომაზე ეროვნულ უმცირესობათა საკითხის დამუშავება მიენდო ს. დადიანს (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 42). 10 დეკემბრის სხდომაზე კი აირჩიეს კომისია სამი კაცის შემადგენლობით – მ. ხოჭოლავა, ი. გობეჩია და ი. ბარათაშვილი. კომისიას დაევალა „შემიუშაოს და წარმოუდგინოს მახლობელ სხდომას პროექტი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 54). ამ ჯგუფიდან, არსებითად, იმუშავა ი. ბარათაშვილმა, რომელმაც კომისიას შემდგომ თავისი პროექტი წარუდგინა.

კომისიამ გადაწყვიტა თავის სხდომაზე მოეწვია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები და მოესმინა მათი აზრი. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 24 იანვრის სხდომაზე დაისვა ასეთი საკითხი – საჭირო იყო თუ არა მოცემულ თემაზე წინასწარ ემსჯელა კომისიას? გამოიკვეთა სამი თვალსაზრისი: 1) საკითხი განეხილათ მხოლოდ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან შეხვედრისა და მათი აზრის მოსმენის შემდეგ (გ. გვაზავა); 2) ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან შეხვედრამდე კომისიას განეხილა საკითხი და შემუშავებინა საკუთარი პოზიცია (კ. ჯაფარიძე); 3) საკითხი შეხვედრამდე განეხილათ, ოღონდ რაიმე „წინასწარი აზრის“ გამოტანის გარეშე (ი. ბარათაშვილი).

საბოლოო ჯამში კომისიამ მხარი დაუჭირა ი. ბარათაშვილის პოზიციას და დაადგინა „წინასწარი მსჯელობა მცირე ერების უფლებების შესახებ იქონიოს, ხოლო არავითარი წინასწარი აზრი გამოტანილი არ იქნეს“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 64-65). 1920 წლის 14 თებერვლის სხდომაზე პ. საყვარელიძემ კომისიას გააცნო უკვე საბოლოოდ დადგენილი სამუშაო გეგმა. „კითხვას ჯერ განიხილავს კომისია, შემდეგ მოხდება კომისიისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომა, ხოლო დასასრულ კომისია მიიღებს საბოლოო კანონის პროექტს“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 114).

პ. საყვარელიძე აღნიშნავდა, რომ საქართველოში უკვე ბევრი რამ პრაქტიკულად იყო გაკეთებული ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად და, ამდენად, საკონსტიტუციო კომისიას მოუწევდა რიგ შემთხვევებში მხოლოდ დაეფიქსირებინა უკვე არსებული მდგომარეობა. მაგალითად, იმ ადმინისტრაციული ერთეულების სასამართლოებში, სადაც ეროვნული უმცირესობა 20%-ს შეადგენდა, გამოიყენებოდა შესაბამისი ეროვნული უმცირესობის ენა, თვითმმართველობის ორგანოებშიც გადაწყვეტილი იყო ენის საკითხი, პარლამენტშიც იყო პრეცედენტი იმისა, რომ ორატორს მშობლიურ ენაზე მისცეს ლაპარაკის უფლება და ა.შ.

გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული ისიც, თუ ვინ უნდა მოეწვიათ ეროვნულ უმცირესობათა სახელით. სწორედ ეს საკითხი დააყენა 14 თებერვლის სხდომაზე მ. რუსიამ. მაგალითად, იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო „ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს“ მოწვევისა. ჯერ ერთი, საბჭო არ ცნობდა საქართველოს და, საერთოდ, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, მას რუსეთის ნაწილად განიხილავდა; მეორეც, ლაპარაკობდა არა საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის რუსული მოსახლეობის სახელით (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 180-181). მას დაეთანხმა ა. ჩხენკელიც, რომელმაც აღნიშნა, რომ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა „იურიდიული არსებობის უფლების“ შესახებ შეიძლებოდა ლაპარაკი. თუმცა, შემდგომ, საკონსტიტუციო კომისიასთან შეხვედრაზე დაუშვეს ყველა საბჭო, ვინც კი ამის სურვილი გამოთქვა.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან შეხვედრამდე საკონსტიტუციო კომისიამ, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მოისმინა კომისიის წევრთა მოხსენებანი. კერძოდ, 1920 წლის 20 თებერვლის სხდომაზე ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ პ. საყვარელიძე და ი. ბარათაშვილი, ხოლო 26 თებერვალს – გ. გვაზავა.

პ. საყვარელიძის კონცეფციასთან ახლოს იდგა გ. გვაზავას პოზიცია, რომელიც ასევე მოითხოვდა ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცებას და აღნიშნავდა: „ჩვენ წინააღმდეგი ვართ ეროვნულ უმცირესობის ყოველნაირ შევიწროებისა და, თავის მხრივ, ეროვნულ უმცი-

რესობას ნება არა აქვს შეავიწროვოს სახელმწიფო“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 125). პ. საყვარელიძემ აღნიშნა კიდევ, რომ მისსა და გ. გვაზავას პროექტებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაა და ადვილად შეიძლება მათი შეჯერება (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 126).

ი. ბარათაშვილის პროექტიც ეროვნული სახელმწიფოს იდეას ეყრდნობოდა. „ეროვნული სახელმწიფოების შექმნა ხდება იმანენტური ძალით და როდესაც ვქმნით ასეთ სახელმწიფოს, არ უნდა შეიქმნას მისი მოწინააღმდეგე ძალა“, ეროვნულ უმცირესობებს უნდა მიეცეთ „ფართო უფლებები თავისუფალი განვითარებისათვის. რასაკვირველია იმ ფარგლებში, სადაც არ ილახება ეროვნული სახელმწიფოს ინტერესები“, – აღნიშნავდა იგი (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 178). მაგრამ პ. საყვარელიძისა და გ. გვაზავასგან განსხვავებით, შესაძლებლად მიიჩნევდა ეროვნული უმცირესობებისათვის ცალმხრივი საჯარო უფლებების მინიჭებას. ეროვნულ საბჭოებს ექნებოდათ გადასახადების დაწესების უფლება, ხოლო მისი აკრეფა მოხდებოდა სახელმწიფო აპარატის მეშვეობით. სახელმწიფოსვე ექნებოდა კონტროლის, „ვეტოს“ უფლება. ამდენად, ეს იყო მხოლოდ „ნახევრად საჯარო უფლება“, რაც, მისი აზრით, საშიში არ იქნებოდა სახელმწიფოს მთლიანობისათვის.

მოხსენებათა განხილვის დროს ი. ბარათაშვილის თვალსაზრისი საჯარო უფლებების მინიჭების შესახებ გაიზიარეს ს. დადიანმა და ა. ჩხენკელმა, ხოლო მის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრეს მ. რუსიამ და ლ. ნათაძემ. ი. ბარათაშვილისა და მის მომხრეთა პოზიცია ამ საკითხში სასტიკად გააკრიტიკა პ. საყვარელიძემ: „ჩვენ დაგაარსეთ ნაციონალური სახელმწიფო და თავგამოდებით ვიცავთ მას; ამავე დროს კი თქვენ გინდათ შექმნათ საჯარო უფლებრივი ორგანიზაციები, რომელიც ეჭვს გარეშეა, არღვევს და ძირს უთხრის ამ სახელმწიფოს; თქვენ გინდათ სახელმწიფოები შექმნათ სახელმწიფოში და ამით განა თქვენნივე ხელით არ სპობთ იმას, რის გაკეთება და აშენება თითქოს მიზნად დაისახეთ...“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 128).

3. საკონსტიტუციო კომისიის სხდომები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობით

საკონსტიტუციო კომისიამ, მისი წევრების მიერ მომზადებული მოხსენებებისა და პროექტების მოსმენისა და განხილვის შემდეგ, 26 თებერვალს დაადგინა, რომ კომისიის 3 მარტის სხდომაზე მოეწვია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, რომელთაც კომისიისათვის უნდა გაეცნოთ თავიანთი პროექტები. არავითარ კამათს წარმომადგენლებთან ადგილი არ უნდა ჰქონოდა. შეიძლებოდა მხოლოდ შეკითხვების მიცემა; წარმოდგენილი პროექტები კომისიას უნდა გამოეყენებინა როგორც მასალა (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 125). განცხადება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სხდომაზე მოწვევის შესახებ გამოქვეყნდა პრესაში.

1920 წლის 3 მარტის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ კომისიის წევრები ა. ჩხენკელი, ი. ბარათაშვილი, მ. რუსია, ლ. ნათაძე, კ. ჯაფარიძე, გ. გვაზავა, პ. გელეიშვილი, ტ. ავეტისიანი, გამოცხადდნენ სომხების, თათრების (აზერბაიჯანელების), რუსების, გერმანელების, ბერძნების, თბილისის ებრაელთა ეროვნული საბჭოების და ებრაელთა სოციალ-დემოკრატიული პარტია „ბუნდის“ წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ, ი. ბარათაშვილმა დამსწრეთ შეახსენა მათი მოწვევის მიზეზი და სთხოვა წარმოედგინათ თავიანთი პროექტები ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ. გამოირკვა, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები ამისათვის მზად არ იყვნენ.

რუსების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შეუძლია მხოლოდ თავისი პირადი აზრის გამოთქმა და რაიმე ოფიციალური პროექტი არ გააჩნდა. სომხების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმაც განაცხადა, რომ მათ ჯერ საბოლოოდ არ ჰქონდათ შემუშავებული თავიანთი პროექტი.

მხოლოდ ელინთა საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას თან ჰქონდა პროექტი და შესაძლებლად მიიჩნია: „ვინაიდან ყოველი ეროვნების წარმომადგენელს უსათუოდ აქვს

გარკვეული აზრი საკითხის შესახებ, დღესვე იქნას მოსმენილი პროექტები, მიუხედავად იმისა, წერილობით იქნება იგი წარმოდგენილი თუ არა“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 209). პასუხად ი. ბარათაშვილმა აღნიშნა, რომ კომისიისათვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა კერძო პირთა აზრებს, არამედ „წარმომადგენლების, როგორც ასეთების, ოფიციალურ აზრსა და შეხედულებას“.

სომეხთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა კომისიას მოსთხოვა, რომ ეროვნული საბჭოებისათვის გადაეცათ პროექტი, რომელიც, მისი აზრით, უკვე მომზადებული ჰქონდა კომისიას, შემდეგ კი დაუმატა, რომ ეროვნული საბჭოების წარმომადგენლები უნდა გაეცნონ „არა მარტო საკონსტიტუციო კომისიის იმ მუშაობას, რომელიც შეეხება კერძოდ ეროვნულ უმცირესობათა საკითხს, არამედ საერთოდ მთელ კონსტიტუციას“. მისი თქმით, ეს ეროვნულ საბჭოებს დაეხმარებოდა საკუთარი პროექტების შემუშავებაში; გარდა ამისა, მან სურვილი გამოთქვა, რომ კომისია ეროვნულ უმცირესობათა თვალსაზრისის მოსმენით კი არ შემოფარგლულიყო, არამედ მათ ურთიერთობას მუდმივი თანამშრომლობის სახე მიეღო.

სომეხების წარმომადგენლის თვალსაზრისი გაიზიარა რუსთა საბჭოს წარმომადგენელმაც. მან აღნიშნა, რომ „ყოველი მასალა, რომელსაც კი გადმოგვცემს საკონსტიტუციო კომისია, საგრძნობლად დააჩქარებდა ჩვენი პროექტის დამუშავებას“, ამასთან შეუძლებლად მიიჩნია, რომ თანამშრომლობა განსაზღვრულიყო მხოლოდ პროექტების წარდგენით. მისი აზრით, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობა უნდა გაფართოებულიყო და მათ გარეშე არ გადაწყვეტილიყო ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი.

სომეხებისა და რუსების წარმომადგენელთა ასეთი განცხადებების გამო მ. რუსიამ აღნიშნა, რომ კომისიას არ მიუღია რაიმე პროექტი, „წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიისათვის აზრი არ ექნებოდა ეროვნებათა წარმომადგენლების მოწვევას“. მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები კი არსებითად როლების შეცვლას იწვევდა: „წარმომადგენლებს ჩვენ ვთხოვდით მასალებს, ესეა კი ისინი გვთხოვენ; მასალები კი ჩვენ გვინდა, ჩვენ ვართ საკონსტიტუციო კომისია და არა თქვენ; კომისია ვერ გადმოგცემთ მასალებს, რომელიც მას არა აქვს“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 212).

ა. ჩხენკელმა აღნიშნა, რომ, თუკი კომისია საჭიროდ ჩათვლიდა, კიდევ მოიწვევდნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. თავიდან კი უმჯობესი იყო მიეღოთ საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემოთავაზებული გეგმა. მისი წინადადებით სხდომა გადაიდო. დაადგინეს, რომ შემდეგი შეერთებული სხდომა შედგებოდა 10 მარტს, ხოლო საკონსტიტუციო კომისიისათვის პროექტები უნდა წარედგინათ არა უგვიანეს 8 მარტისა.

1920 წლის 10 მარტის სხდომაზე მისულ ეროვნულ უმცირესობათა დელეგატებს შეემატათ ოსების წარმომადგენელიც. აგრეთვე ქართველ ებრაელთა სახელით სხდომას დაესწრო ი. ხახანაშვილი. მიუხედავად დადგენილი ვადისა, პროექტი ყველა ეროვნულ უმცირესობას არ ჰქონდა წარმოდგენილი. პირველად მოისმინეს გერმანელთა საბჭოს პროექტი. შემდეგ გამოვიდა ელინთა წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ ბერძნული უმცირესობა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. მცირე აზიიდან გადმოხვეწილებს თითქმის მთლიანად დაკარგული ჰქონდათ მშობლიური კულტურა და ამიტომ დიდი მუშაობა დასჭირდებოდათ ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ელინთა საბჭოს პოზიცია უადრესად კონსტრუქციული იყო. მათი წარმომადგენელი ნ. პოლიტოვი აღნიშნავდა: „ყველაფერი, რაც ჩვენ პროექტში არის, ნაკარნახევია ცხოვრებით და მისი დათმობა ჩვენთვის ძნელია, მაგრამ მზად ვართ უკან წავიღოთ მთელი პროექტი, თუ იგი ეწინააღმდეგება ზოგადსახელმწიფოებრივ კონსტიტუციას და რესპუბლიკის ინტერესებს“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 203).

რუსების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მტკიცე და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა „თითოეულ ეროვნულ უმცირესობას საშუალება აქვს თავისუფლად განვითარდეს და არ გრძნობდეს არათუ რაიმე ძალდატანებას, არამედ მცირე გავლენასაც კი“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 203). ამისათვის, მისი აზრით, უნდა განხორციელებულიყო ნაციონალურ-კულტურული ავტონომია და ეროვნულ ცენტრებს მისცემოდათ „საჯარო-უფლებრივი ხასიათი“. შემდეგ თავიანთი

პროექტები წარადგინეს მუსლიმებმა (ე.ი. აზერბაიჯანელებმა), თბილისის ებრაელებმა, „ბუნდმა“. ქართველ ებრაელთა სახელით განცხადება გააკეთა ი. ხახანაშვილმა.

სომეხთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჯერ კიდევ ვერ დაამთავრეს პროექტის შემუშავება და შემდეგი სხდომისათვის შეძლებდნენ მის წარმოდგენას. ოსების დელეგატმა კი აღნიშნა, რომ მათ პროექტი თავის დროზე ჩააბარეს დამფუძნებელი კრების თვითმმართველობის კომისიას და საჭირო იყო მისი მოძიება.

ამიტომ 13 მარტისთვის დაინიშნა კიდევ ერთი სხდომა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობით, თუმცა მისი ჩატარება მხოლოდ 17 მარტს მოხერხდა. მას დაესწრნენ სომეხების, რუსების, ოსების, ებრაელების, თათრების (აზერბაიჯანელების) და გერმანელების ეროვნული საბჭოების წარმომადგენლები. გაეცნენ დარჩენილ ორ პროექტს. სომეხებისა და ოსების ეროვნული საბჭოების პროექტების მოსმენით საკონსტიტუციო კომისიამ დაამთავრა ეროვნულ უმცირესობათა მოსაზრებების გაცნობა.

პ. საყვარელიძემ მადლობა გადაუხადა ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებს და ხაზი გაუსვა, რომ კომისია იხელმძღვანელებდა წარმოდგენილი პროექტებით და საჭიროების შემთხვევაში კიდევ მოიწვევდა მათ. გარდა ამისა, ეროვნულ უმცირესობებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ დამფუძნებელ კრებაში, რომელთაც უფლება ჰქონდათ ყოველთვის დასწრებოდნენ საკონსტიტუციო კომისიის სხდომებს (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 194). ეს იყო პასუხი სომეხთა და რუსთა ეროვნული საბჭოების წარმომადგენელთა დაჟინებულ მოთხოვნაზე, სისტემატიური მონაწილეობა მიეღოთ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში.

სხდომის დამთავრების შემდეგ პ. საყვარელიძეს თხოვნით მიმართა სომეხთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა და ცალკე შეხვედრა ითხოვა, რადგანაც, მისი თქმით, არ შეეძლოთ „ყველაფრის თქმა ამდენ ეროვნებათა წარმომადგენლებთან მრავალრიცხოვან კრებაზე“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 195). ამ თხოვნამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. პ. საყვარელიძესა და კ. ჯაფარიძეს შესაძლებლად მიაჩნდათ მისი დაკმაყოფილება და საერთო სხდომის შემდეგ სომეხთა წარმომადგენლის ცალკე მოსმენა, მაგრამ პ. გელეიშვილმა და ი. ბარათაშვილმა ასეთი რამ დაუშვებლად ჩათვალეს. პ. გელეიშვილის სიტყვებით: „აქ კეთდება ისტორიული საქმე, ყველაფერი დაწერილი, აშკარა და დაუმაღავი უნდა იყოს ყველასაგან. მიუღებელი მდგომარეობაა ის, რომ თქვენ ყველას გამოემშვიდობეთ, მადლობა უთხარით და ეხლა ერთს ცალკე იწვევთ, – გამოდის, რომ ჩვენთვის თითქმის ერთი მეზობელი უფრო კარგი და ძვირფასია მეორეზე“. იგივე აღნიშნა ი. ბარათაშვილმაც: „გაუგებარი ეს ამბავი არ დარჩება და მეტად ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 195).

კომისიამ მხარი დაუჭირა ი. ბარათაშვილის წინადადებას. სომეხთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელს უარი ეთქვა საერთო სხდომის შემდეგ ცალკე მიღებაზე. მას შესთავაზეს, რომ მისულიყო კომისიის ერთ-ერთ მომდევნო სხდომაზე და იქ ჩამოეყალიბებინა ის „მოსაზრებანი უმცირესობის უფლებათა შესახებ, რომელთა განცხადება საზოგადო სხდომაზე, მათივე სიტყვით, უხერხულად მიაჩნდათ“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 195).

კომისიამ გადაწყვიტა, რომ მისი ყველა წევრი საფუძვლიანად გასცნობოდა წარმოდგენილ პროექტებს და მომდევნო სხდომა მიეძღვნათ მათი განხილვისათვის. აღნიშნული სხდომა 1920 წლის 20 მარტს გაიმართა. სანამ მის შესახებ რაიმეს ვიტყვოდეთ, ჯერ მოკლედ დაგახსიათოთ ეროვნულ უმცირესობათა სახელით წარდგენილი პროექტები.

4. ეროვნული საბჭოების მიერ საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი პროექტები

საკონსტიტუციო კომისიის მასალებში დაცულია 7 პროექტი: 1) რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ წარდგენილი პროექტი ეროვნული უმცირესობების უფლებების შესახებ; 2) სომეხთა ეროვნული საბჭოს მიერ შემუშავებული, საქართველოში სომეხთა ეროვნული თვითმმართველობის კონსტიტუციის თეზისები; 3) საქართველოს ბერძენი (ელინი) მოქალაქეების მე-2 ყრილობის მიერ მიღებული საქართველოს ელინთა თვითმმართველობის სტატუტის პროექტი; 4) აღმოსავლეთ საქართველოს მაჰმადიანთა უფლებების პროექტი; 5) სამხრეთ ოსეთის

ეროვნული საბჭოს მიერ წარმოდგენილი სამხრეთ ოსეთის კანტონის კონსტიტუციის პროექტი; 6) ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირის ცენტრალური საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი საქართველოში გერმანელთა კულტურული ავტონომიის შესახებ; 7) საქართველოს რესპუბლიკის ებრაელთა ეროვნული უმცირესობის უფლებათა პროექტი.

ამ პროექტების შესწავლა მრავალმხრივია საინტერესო. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მხოლოდ რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ წამოყენებული პროექტი ცდილობდა გამოსულიყო ზოგადკონსტიტუციური პრინციპებიდან და ჩამოეყალიბებინა ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებები და გარანტიები. დანარჩენ პროექტებში კი ჩამოყალიბებული იყო მხოლოდ შესაბამისი ეროვნული უმცირესობის მოთხოვნები. ბუნებრივია, ასეთი რამის დაფიქსირება კონსტიტუციაში შეუძლებელი იყო. ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 10 მარტის სხდომაზე დამფუძნებელი კრების წევრი ბერნშტეინი აღნიშნავდა: „რომ მოგვთხოვონ გერმანელებისათვის რაიმე ცალკე გარანტია შევიტანოთ კონსტიტუციაში, ეს შეუძლებელია; ვერავის მივცემთ რაიმე განსაკუთრებულ უფლებებს, ყველა უნდა დაემორჩილოს იმ ძირითად კანონებს, რომელზედაც დაფუძნებული იქნება საერთოდ მთელი რესპუბლიკა და კერძოდ მისი ნაწილი – ეროვნული უმცირესობა“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 203).

შეინიშნებოდა საკუთარი ეროვნული უმცირესობის სხვებთან შედარებით მაღლა დაყენების სურვილიც. მაგალითად, საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 26 თებერვლის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიის წევრმა ავეტისიანი აღნიშნა, რომ საქართველომ „მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ უმცირესობას, რომელნიც მუდმივად ცხოვრობენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე; რუსები, გერმანელები, ბერძნები წავლენ და ჩვენ უნდა ვეცადოთ იმ უმცირესობათა ცხოვრება მოვაწესრიგოთ, რომელნიც აქ რჩებიან“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 207). გასაგებია, რომ ტ. ავეტისიანი პირველ რიგში სომხებს გულისხმობდა.

ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობის სახელით წარმოდგენილი პროექტი შედგენილი იყო გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მიერ, რაც ზოგჯერ თვითონ იმ ეროვნული უმცირესობის შიგნით იწვევდა უკმაყოფილებას. მაგალითად, იმავე ბერნშტეინმა, კომისიის სხდომაზე, გერმანელთა პროექტის მოსმენის შემდეგ, განაცხადა: „პროექტი, რომელიც წარმოდგენილია ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირის ცენტრ. საბჭოსაგან, შედგენილია ადგილობრივი გერმანელების ზოგიერთი ჯგუფების გავლენით, რაც მტკიცდება იმით, რომ პროექტი ითხოვს მიწით სარგებლობას გერმანელებისათვის შერჩევით მთამომავლობითი ხასიათით“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 180, ფურც. 203). ასევე, ებრაელთა ეროვნული უმცირესობის სახელით შეტანილმა პროექტმა ქართველ ებრაელთა აღფრთოება და პროტესტი გამოიწვია.

რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი არსებითად მოითხოვდა იმას, რასაც პ. საყვარელიძე „სახელმწიფოში სახელმწიფოს მშენებლობას“ უწოდებდა. პროექტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეები მკაცრად უნდა გამიჯნოდნენ ერთმანეთს ეროვნული ნიშნის მიხედვით; საქართველოს მოქალაქეები ე.წ. „ნაციონალურ კადასტრებში“ უნდა განაწილებულიყვნენ. ყოველი ეროვნული უმცირესობა საყოველთაო არჩევნების გზით ქმნიდა კავშირს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებით. კავშირი იქნებოდა ეროვნული თვითმმართველობის ორგანო. საქართველოს მთავრობასთან თითოეულ ეროვნულ უმცირესობას ეყოლებოდა თავისი წარმომადგენელი. სოციალური და კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გამოყოფილი სახსრები სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ბიუჯეტიდან პროპორციულად უნდა განაწილებულიყო საქართველოს მოსახლეობაში ეროვნული უმცირესობის ხვედრითი წილის მიხედვით. გარდა ამისა, საბჭოს უნდა ჰქონოდა გადასახადის დაწესების უფლება თავისი ეროვნების მოქალაქეებისათვის ეროვნული თვითმმართველობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. რუსების საბჭო აგრეთვე მოითხოვდა ყველა ენის აბსოლუტურ თანასწორობას ყველა სფეროში და ამით უარყოფდა სახელმწიფო ენის საჭიროებას.

სომეხთა ეროვნული საბჭოს პროექტის მიხედვითაც საქართველოს ფარგლებში იქმნებოდა სომხური ეროვნული თვითმმართველობა, რომელსაც განახორციელებდა სომეხი ეროვნე-

ბის მოქალაქეთა მიერ არჩეული ეროვნული კრება და მისი აღმასრულებელი ორგანო – ეროვნული საბჭო. ორივე მიჩნეული იყო საჯარო-სამართლებრივ ორგანოდ უძრავი და მოძრავი ქონების შექმნა-გასხვისების უფლებით. რაიონებში, სადაც სომხური მოსახლეობის ხვედრითი წილი 15%-ს მაინც აღწევდა (მაზრაში, ქალაქში, თემში, სოფელში), სომხური ენა სახელმწიფო ენის თანაბრად უნდა გამოეყენებინათ. ცენტრალური ხელისუფლების ყველა კანონი და დადგენილება სომხურადაც უნდა გამოქვეყნებულიყო, ისევე როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა, სადაც სომხური მოსახლეობა ზემოაღნიშნულ მაჩვენებელს აღწევდა.

ეროვნულ საბჭოს ევალეზობდა სომეხი პირებისა და სომხური დაწესებულებების ინტერესების დაცვა, სახალხო განათლებისა და კულტურის საქმეთა გამგებლობა, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე ზრუნვა. სომეხთა ეროვნული საბჭოც მოითხოვდა ბიუჯეტის პროპორციულ განაწილებას და გადასახადების დაწესების უფლებას სომხურ მოსახლეობაზე, მის კომპეტენციაში არსებულ საქმეთა საჭიროებისათვის. მინისტრთა საბჭოს სხდომაში მინისტრთა უფლებით მონაწილეობა უნდა მიეღო სომეხთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელს.

ბერძენთა სახელით წარდგენილი „საქართველოს ელინთა თვითმმართველობის სტატუტი“ ითვალისწინებდა ეროვნული თვითმმართველობის უფლებას სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურის საკითხებში. ეროვნული თვითმმართველობის ორგანოდ ცხადდებოდა ბერძნული მოსახლეობის მიერ არჩეული საქართველოს ელინთა უმაღლესი საბჭო. მის კომპეტენციაში უნდა შესულიყო ბერძნული მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, სოციალურ-ეკონომიკური დახმარების ორგანიზება, ქველმოქმედება, ზრუნვა ჯანმრთელობის დაცვაზე და სხვა. მასვე ეკისრებოდა წარმომადგენლობა სახელმწიფოს ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში, საქალაქო და საერო თვითმმართველობებში ყველა იმ საკითხზე, რაც ბერძნულ მოსახლეობას შეეხებოდა. ელინთა პროექტი მხარს უჭერდა აგრეთვე სამხედრო ვალდებულების ტერიტორიული პრინციპის მიხედვით მოხდას; სურდა, რომ სასამართლო-ადმინისტრაციული დაყოფა ბერძენთა ბუნებრივი განსახლების შესაბამისი ყოფილიყო (ეროვნული თემების „გამოჭრა“). საბჭო ასევე მოითხოვდა ბიუჯეტის პროპორციულ გაყოფას და ბერძნული მოსახლეობის პროგრესულ-საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის უფლებას. ეროვნული საბჭოსა და ბერძენთა ყველა ორგანიზაციის სამუშაო ენად ბერძნული ცხადდებოდა, ოღონდ დროებით გამოეყენებულ იქნებოდა რუსული, როგორც ყველასათვის გასაგები ენა.

აღმოსავლეთ საქართველოს მაჰმადიანთა სახელით წარმოდგენილი პროექტი მოითხოვდა მუსლიმთა მიერ ერთი მინისტრისა და ორი მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) არჩევის უფლებას. მოსამართლეებად, გამომძიებლებად და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არჩევა და დანიშვნა მაჰმადიანური მოსახლეობის ადგილებში მაჰმადიანებისაგან უნდა მომხდარიყო, ხოლო შერეული მოსახლეობის რაიონებში – იქ მცხოვრებ მაჰმადიანთა პროპორციულად. მოითხოვდნენ რესპუბლიკის ყველა დაწესებულებაში განცხადების მიღებისა და მიმოწერის უფლებას თავიანთ ენაზე, რისთვისაც უნდა შემოღებულიყო საგანგებოდ განსწავლულ თარჯიმანთა შტატი.

მაჰმადიანური და არამაჰმადიანური მოსახლეობის პროპორციის შესაბამისად მაჰმადიანებს უნდა მისცემოდათ ადგილები დამფუძნებელ კრებასა და პარლამენტში, ამ ადგილებზე კანდიდატთა არჩევა მაჰმადიანთა მიერ უნდა მომხდარიყო საქართველოში არსებული პარტიების მონაწილეობის გარეშე.

მოითხოვდნენ მაჰმადიანებისათვის საკმაო რაოდენობით გახსნილიყო ყველა სახის სასწავლებელი და გიმნაზია. იქ სწავლება ხაზინის ხარჯზე და შარიათის საფუძველზე უნდა ყოფილიყო. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად საზღვარგარეთაც უნდა გაეგზავნათ.

მოითხოვდნენ ასევე რელიგიური ავტონომიის განხორციელებას. განსაკუთრებულ მაჰმადიანურ მეჯლისს უნდა განეხილა სასულიერო საკითხები, განქორწინებისა და მემკვიდრეო-

ბის საქმეები. მაზრებში გათვალისწინებული იყო სპეციალური შტატები აღნიშნული საქმეებისათვის. ეს ყოველივე უნდა მომხდარიყო ხაზინის ხარჯზე. მაჰმადიანებს მთელ რესპუბლიკაში უფლება უნდა მისცემოდათ დაეცვათ თავიანთი დღესასწაული – პარასკევი და სხვა; ამასთან, არავის უნდა აეძულებინა ისინი, ქრისტიანულ დღესასწაულებზე დაეკეტათ მაღაზიები, შეეწყვიტათ ვაჭრობა და ა.შ.

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს პროექტი რაჭის, შორაპნის, გორისა და დუშეთის მაზრებში კომპაქტურად განსახლებული ოსების ტერიტორიას მიიჩნევდა „პირველ ოსეთად“ და მისთვის ტერიტორიულ-ეროვნულ ავტონომიას მოითხოვდა, რის საფუძველდაც მიაჩნდა „სამხრეთ ოსეთის კანტონის კონსტიტუციის პროექტი“, მიღებული სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს მიერ 1919 წლის 19 ივნისის სხდომაზე. საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს კი მხარს უჭერდა რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ წამოყენებული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროექტი.

კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის კანტონი ცხადდებოდა საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიურ ნაწილად; კანტონის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ოსები კანტონის გამგებლობის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ კულტურული ავტონომიის ფარგლებში. კანტონს უფლება უნდა ჰქონოდა სხვა სახელმწიფოსთან დაედო ხელშეკრულებები ეკონომიკურ, სამეზობლო და საპოლიციო ურთიერთობებთან დაკავშირებით, ოღონდ მათში არ უნდა ყოფილიყო რაიმე საწინააღმდეგო რესპუბლიკის ინტერესებისა. კანტონის ხელში უნდა ყოფილიყო მის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრეები. სამხედრო ვალდებულება ჯარში გაწვეულთ კანტონის ტერიტორიაზე უნდა მოეხდინათ. ისინი ცალკე სამხედრო შენაერთს შეადგენდნენ, რომლის სარდალსაც მშვიდობიან დროს კანტონის ხელისუფლება დაინიშნავდა.

კანტონის დაწესებულებებში საქმის წარმოება და რესპუბლიკის ორგანოებთან ურთიერთობა ოსურ ენაზე უნდა განხორციელებულიყო. კანტონში ხელისუფლების ორგანოებად სახალხო საბჭო და სახალხო კომისარიატი ცხადდებოდა.

ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ მოითხოვა გერმანელთა კულტურული ავტონომიის განხორციელება, რაც, მათი აზრით, ითვალისწინებდა მშობლიური ენის შეუზღუდავ გამოყენებას შინ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში – თვითმმართველობის ორგანოებსა და სოფლის სასამართლო დაწესებულებებში; გერმანულ კულტურასთან, მეცნიერებასთან კავშირის შენარჩუნებას და მის თავისუფალ გავრცელებას სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით; საკუთარი რელიგიის და, პირველ რიგში, ევანგელისტურ-ლუთერანული რელიგიის თავისუფალ აღმსარებლობას ეკლესიაში, სკოლასა და სახლში, გერმანული ენის გამოყენებით; გერმანული ზნეობრივი ცნობიერების, ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უფლებას, გერმანული კულტურის პროპაგანდის უფლებას, საკუთარი სამეურნეო მეთოდებისა და წესების გამოყენებას. მოითხოვდნენ ასევე კულტურის საჭიროებისათვის თვითდაბეგვრის უფლებას; თვითმმართველობის უფლებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად, რამდენადაც ის არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. სურდათ კოლონიების მთლიანობის შენარჩუნება ისევე, როგორც ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირისა და მისი აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციონირების გაგრძელება.

ებრაელთა სახელით შეტანილი პროექტის მიხედვით, ებრაელთა ეროვნული უმცირესობა (რომელიც შემდგომ უნდა აღრიცხულიყო ნაციონალურ კადასტრში) ქმნიდა კავშირს, ირჩევდა ცენტრალურ და ადგილობრივ ეროვნულ საბჭოებს და ანხორციელებდა ეროვნულ თვითმმართველობას. მის განკარგულებაში გადადიოდა კულტურულ-საგანმანათლებლო, სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ზრუნვა; ევალდებოდა ებრაელი მოსახლეობის ინტერესების წარდგენა და დაცვა. პროექტი მხარს უჭერდა სახელმწიფო და თვითმმართველობის ბიუჯეტებში აღნიშნული სფეროებისათვის გამოყოფილი სახსრების პროპორციულ განაწილებას ეროვნულ უმცირესობათა ხვედრითი წილის მიხედვით, აგრეთვე თვითდაბეგვრის უფლებას პროგრესულ-საშემოსავლო პრინციპით.

5. ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განსაზღვრა

საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 მარტის სხდომა მთლიანად მიეძღვნა ეროვნულ უმცირესობათა მიერ წარდგენილი პროექტების განხილვას. შემაჯამებელი სახით, ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდნენ 5 მაისის სხდომაზე, როდესაც პ. საყვარელიძემ გამოყო ეროვნულ უმცირესობათა სახელით წარდგენილი მოთხოვნების ხუთი ძირითადი ტიპი:

1. ეროვნული უმცირესობა არ ითხოვდა არავითარ განსაკუთრებულ უფლებებს (ქართველი ებრაელები);
2. უმნიშვნელო ხასიათის კონკრეტული მოთხოვნები;
3. კულტურულ-სარწმუნოებრივი ავტონომია (აღმოსავლეთ საქართველოს მაჰმადიანები);
4. კულტურული ავტონომია (რუსები, სომხები, ბერძნები, არაქართველი ებრაელები);
5. კულტურული და ტერიტორიული ავტონომია.

როგორი იყო საკონსტიტუციო კომისიის დამოკიდებულება ამ მოთხოვნებისადმი? პირველ რიგში ანგარიშგასაწვეად და დასაძლევად მიაჩნდათ ის უნდობლობა, რასაც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები ავლენდნენ საქართველოს სახელმწიფოსადმი. სწორედ ამაზე მიუთითებდა ა. ჩხენკელი 20 მარტის სხდომაზე: „უმცირესობათა წარმომადგენლების მოხსენებებმა ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე დავინახე მათი სრული უნდობლობა ჩვენადმი; ეს მეტად დამაფიქრებელი და საშიში გარემოებაა. ჩვენ უნდა შევეცადოთ იმ უნდობლობის გაქარწყლებას და შევქმნათ ერთად მშვიდობიანი ცხოვრების პირობები“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 180).

ეროვნული საბჭოების მიერ წამოყენებულმა ზოგიერთმა მოთხოვნამ კამათი გამოიწვია. გამოიკვეთა სამი პოზიცია:

- მთლიანად დაეკმაყოფილებინათ ეს მოთხოვნები;
- მიეცათ თვითდაბეგვრისა და კულტურული უფლებები;
- საჯარო უფლებების მინიჭების გარეშე ეროვნულ უმცირესობებისათვის მიეცათ „დიდი გარანტიები, ისეთი გარანტიები, რომლის მაგვარი არც ერთ კონსტიტუციაში არ მოიპოვება“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 218).

მთავარი საკითხი, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, იყო ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებისათვის საჯარო უფლებების მინიჭების შესაძლებლობა, ანუ მისცემოდათ თუ არა შესაბამისი ეროვნული უმცირესობისათვის სავალდებულო გადასახადის დაწესებისა და იძულებითი აკრეფის უფლება.

ი. ბარათაშვილი მხარს უჭერდა ასეთი უფლების მინიჭებას, რადგანაც, მისი აზრით, ეს აუცილებელი იყო ეროვნულ უმცირესობათა კულტურული განვითარებისათვის: „ჩვენ ტერიტორიაზე ბინადრობს უკულტურო უმცირესობანი და მათში კულტურის შესატანად საჭიროა დააწესოს გადასახადი სამართლიანი და კანონიერი“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 179).

ეროვნული საბჭოების მიერ სავალდებულო გადასახადების დაწესების უფლება, რაც ამავე დროს გულისხმობდა ეროვნულ კავშირებში მოქალაქეთა იძულებით გაერთიანებას, კომისიამ მიუღებლად მიიჩნია. გ. გვაზავამ და პ. საყვარელიძემ ხაზი გაუსვეს, რომ, ჯერ ერთი, სავალდებულო გადასახადის დაწესება ე.წ. საჯარო უფლებას წარმოადგენს და სახელმწიფოს ფუნქციაა. არც ერთ სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობას ასეთი უფლება არა აქვს მინიჭებული; გარდა ამისა, მსგავსი მოთხოვნები არადემოკრატიული იყო და ზღუდავდა მოქალაქის თავისუფლებას. გ. გვაზავას შენიშვნით, „შეუძლებელია კონსტიტუციაში შევიდეს კანონი, რომელიც ამა თუ იმ ორგანიზაციას უფლებას მისცემს სრულიად შებოჭოს მოქალაქის თავისუფლება და გადაყლაპოს იგი“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 179).

საკონსტიტუციო კომისიის აზრით, ეროვნულ კავშირებში მოქალაქეთა გაერთიანება, ისევე როგორც იქიდან გამოსვლა, მხოლოდ ნებაყოფლობითი შეიძლება ყოფილიყო; როგორც ა. ჩხენკელი მიუთითებდა, კავშირის დაარსება უფლება იყო და არა მოვალეობა.

ამავე დროს, კ. ჯაფარიძემ და ა. ჩხენკელმა, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებისათვის გადასახადების დაწესების უფლების მიცემისა, შე-

საძლებლად მიიჩნიეს მათთვის სხვადასხვა სახის საჯარო უფლების მიცემა, კერძოდ, მხარი დაუჭირეს კულტურის საკითხებზე გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროპორციულ განაწილებას. „ბიუჯეტიდან ნაწილის გამოყოფა და მისი კავშირის განკარგულებისათვის გადაცემა, ეს არის ერთადერთი საჯარო უფლება, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა მიეცეს უმცირესობას“, – აღნიშნავდა კ. ჯაფარიძე. მისი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო კავშირის წევრთა რაოდენობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პერიოდულად მოხდებოდა შესაბამისი წილის გადაანგარიშება კავშირის წევრთა რაოდენობის შემცირების თუ ზრდის მიხედვით.

პ. საყვარელიძემ, რომელსაც გ. გვაზავა დაეთანხმა, გადაჭრით გაილაშქრა ასეთი გეგმის წინააღმდეგაც, რადგან, მისი აზრით, ეს მხოლოდ არეგ-დარეგასა და ქაოსს გამოიწვევდა: „წარმოდგენელია ის სირთულე და არეგ-დარეგა, რომელსაც გამოიწვევს ბიუჯეტის დანაწილება და კავშირებიდან გამოსული წევრების მიხედვით წარმოებული ანგარიშები; 8 თუ 10 საჯარო-უფლებრივი ორგანიზაცია, 8 თუ 10 ნაწილად დაყოფა ბიუჯეტისა და ანგარიშები, განა წარმოსადგენია ასეთი მდგომარეობის დაშვება იქ, სადაც ეროვნული სახელმწიფო შენდება? ეს შეუძლებელია, ჩვენ ვერ გავანაწილებთ ბიუჯეტს და საერთოდ უარი უნდა ვთქვათ საჯარო უფლებებზე, თუ გვსურს ეროვნული სახელმწიფო დავამყაროთ მკვიდრ ნიადაგზე“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 180).

პ. საყვარელიძის აზრით, საჯარო უფლებების გადაცემა ეროვნული კავშირებისათვის ნიშნავს სახელმწიფოს შიგნით ახალი სახელმწიფოების შექმნას და, მაშასადამე, არყვეს საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეს, რისთვისაც, ფაქტობრივად, იწერება თვით კონსტიტუცია. „ჩვენ ვწერთ კონსტიტუციას უნიტარული სახელმწიფოსათვის. ოსებს კი მაგ., სურთ დაგვაწერინონ კონფედერაციული ან ფედერაციული სახელმწიფოსათვის; ჩემთვის ეს სრულიად მიუღებელი გარემოებაა“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 178).

გ. გვაზავა მიუთითებდა, რომ თვითონ ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობა იქნებოდა გარანტია „უმცირესობის თავისუფალი არსებობისა“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 180). პ. საყვარელიძეს ეროვნული უმცირესობებისათვის კონსტიტუციური უფლებებისა და გარანტიების მინიჭების საქმეში დასაშვებად მიაჩნდა მისვლა „ზედ საჯარო უფლების საზღვარზე“. მისი აზრით, ამ ფარგლებში ძალზე ფართო უფლებები ექცეოდა, „რომელიც საგვებით უზრუნველყოფს უმცირესობის თავისუფალ არსებობას და განვითარებას“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 178).

1920 წლის 5 მაისის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიამ კენჭისყრით განსაზღვრა, რომ კონსტიტუციის პროექტის თავს ეროვნული უმცირესობების უფლებების შესახებ საფუძვლად დასდებოდა პ. საყვარელიძის პროექტი. მისი არსი კარგადაა გამოხატული ძირითად დებულებებში, რომლებიც თვითონ პ. საყვარელიძემ ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 მარტის სხდომაზე:

– არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედაენაზე სწავლა, აღზრდა და ნაციონალურ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა; პ. საყვარელიძის აზრით, ეს მუხლი დეკლარაციული ხასიათის იყო, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა;

– ამა თუ იმ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება უნდა ძალდაუტანებლად განისაზღვროს, მოქალაქეთა სურვილისა და ნებაყოფლობითი განცხადების თანახმად;

– ყოველ უმცირესობას უნდა ჰქონდეს უფლება, შეადგინოს ეროვნული კავშირი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც კანონის ფარგლებში გაუძღვება კულტურის საქმეებს; ასეთი ცენტრის შექმნა, პ. საყვარელიძის აზრით, აუცილებელი იყო;

– მოქალაქე გარანტირებული უნდა იყოს, რომ მის პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებას არავითარი საფრთხე არ მოეღის ამა თუ იმ კავშირში მონაწილეობისათვის;

– ეროვნულ კავშირს უნდა შეეძლოს სასამართლოს წინაშე აღძრას და დაიცვას საქმე, თუკი ირღვევა კონსტიტუციით ან კანონით აღიარებული ეროვნულ უმცირესობათა უფლება-

ნი. პ. საყვარელიძის სიტყვებით: „ეს არ შეიცავს საჯარო უფლებას და ამავე დროს უმცირესობისათვის დიდი გარანტია“;

- ყოველ მოქალაქეს, მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა, თანასწორი უფლება აქვს მიიღოს ყოველგვარი თანამდებობა ყოველგვარ სამსახურში;
- ეროვნულად შერეული თვითმმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის მიღებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობის პროპორციის მიხედვით;
- ეროვნულ უმცირესობათა მიერ დაარსებული სკოლები უნდა იყოს სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ. მიუღებელია ისინი სცილდებოდნენ ზოგადი სასწავლო პროგრამის ფარგლებს, ამავე დროს, ასეთ სკოლებში სავალდებულო უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენის სწავლება;
- თუ რომელიმე ადგილობრივი თვითმმართველობის ფარგლებში მცხოვრებთა უმრავლესობა (50%-ზე მეტი) არაქართველი ეროვნებისაა, საქმის წარმოება სხვადასხვა დაწესებულებაში სახელმწიფო ენასთან ერთად უნდა წარმოებდეს იმ უმცირესობის ენაზე, ხოლო უმცირესობის ენის გამოყენება იმ მმართველობებში, სადაც ეროვნული უმცირესობა შეადგენს არანაკლებ 20%-ს, უნდა განსაზღვრულიყო კანონით;
- შერეული მოსახლეობის რაიონებში ადგილობრივმა მმართველმა და მოსამართლემ, სახელმწიფო ენის ცოდნასთან ერთად, უნდა იცოდეს ეროვნული უმცირესობის ენა;
- კანონი უნდა ითარგმნებოდეს ეროვნული უმცირესობების ენებზეც, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი სწორი გაგება და შესრულება;
- პარლამენტის წევრს, რომელმაც ქართული არ იცის, უფლება უნდა ჰქონოდა სიტყვა მშობლიურ ენაზე წარმოეთქვა.

პ. საყვარელიძის აზრით, უკანასკნელი ორი მუხლი დროებითი იყო და უნდა გაუქმებულიყო „ამ კონსტიტუციის ძალით მოწვეულ პირველი პარლამენტის ვადის გასვლისას“ (სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 181, ფურც. 128).

In families where women became prime breadwinners, male heads of families lost much of their power and authority. This tendency is apparent not only in urban families with high level of education, but now also in rural areas, although it should be noted that male authority is seldom challenged either by women or the young generation openly and in public.

Simultaneously, this changes their status within their families. The young, who in many cases appear to be more flexible and active in the labour market than their less dynamic parents, start to contribute more and more significantly to the family budget, which radically increases their say in family matters. At the same time, there is higher unemployment among young adults than other age groups. Youth unemployment has many implications for the labour market, for poor households, and for young adults themselves – the inability to find work exacerbates economic exclusion, poverty, and the probability of future unemployment. As working is an important means for young people to develop adult roles and responsibilities, unemployment obstructs the movement of young people from adolescence to adulthood. Both these factors create increased diversity in the power structure within a family, but in any case they lead to earlier maturing of the youth.

Summing up, it can be said that economic and social transition caused the dynamics of change in generational, gender and family patterns, gradually shifting them towards western norms and lifestyle, and respectively influencing the process of transition to adulthood, among other factors through creating an increasing cultural gap between various cohorts of the population, but also dividing the generation of young adults themselves. What is surprising, however, is not the change itself, but rather the inertia and the continuity in values (apart from such as related to sexual minorities) characterising the sample which we have studied. In general, the resistance of traditional values is still very strong among the poorer, rural and small-town communities, social institutions such as the kinship system experienced little damage continuing to play an important role in the communities. However, paradoxically, transition to adulthood in Armenia has accelerated as compared to previous circumstances. Armenian society shows trends somewhat different from those observed in the western countries. In some cases it is clear that there is certain time lag, and the forces of globalisation along with economic development will bring change in the same direction, particularly with regard to more sexual freedom among young adults and more gender equality, or achieving economic independence at younger age. Nevertheless, it seems that the Armenian society will not become fully westernised in foreseeable future, but will preserve to a significant extent its cultural identity and, like other social phenomena here, the transition to adulthood will continue to show specific, mixed characteristics of both East and West. It is clear that in the short term at least strong continuity in values will take place, and the Armenian tradition of close emotional relationships within the extended family, the importance of kinship, parent-child interdependency, and certain modesty in sexual relations will remain present. Very often, women even try to downplay their share in family income to leave space for men's pride.

Market economy also imposed hard conditions of employment. Those who have their own business or work in a private sector often work for 10 or more hours a day, 6 or even 7 days a week, have no vacations. The family usually feels happy if at least one of its members is employed. Hence other members of the families frequently take the gender-specific role of the employed. So the traditional role division between husband and wife is not kept any more. Husbands known for their authoritarianism and adherence to traditional role division now can easily be found doing all kinds of house chores and looking after the children. The possibility to generate income increased the self-esteem and independence among previously dependent women. It also contributed to the increase of responsibility and self-reliance.

Under the Soviets until 1991, young people enjoyed a hundred percent literacy rate, easy access to education, full employment, and a reliable and free medical system. Today, most of this has been lost: young people are increasingly poorly educated, and find it difficult to get work. Other dramatic changes took place in the

education system. After having gained independence in 1991, the new Armenian state immediately faced huge problems in financing the state system of universal education. This has been an enormous challenge, but the government has not addressed the main problems causing today's failure: rampant corruption, growing inequality, and the inability of the new system to offer employment prospects.

According to the results of 2001 national census in Armenia, the level of education comprises 98%. Women's specific weight among the people with higher education comprises 58%. Every other woman in Armenia has a higher education. According to the statistics, the percentage of women with higher education still exceeds the recorded number for men.

The level of education of the nation according to age and sex has the following shape

The Level of Education	15-24 age range		25-49 age range		Over 50	
	W	M	W	M	W	M
Illiterate	–	0.3	0.4	0.3	3.1	1.2
Incomplete Elementary	0.2	0.2	0.1	0.1	3.3	2.5
Elementary	1.6	3.2	0.5	0.9	10.1	9.5
Incomplete Secondary	22.2	35.9	3.6	7.1	14.8	14.2
Incomplete Common Secondary	41.5	40.3	39.4	42.9	34.4	34.4
Secondary Professional	19.4	7.8	35.0	27.2	21.5	22.4
Incomplete Higher Education	7.4	7.5	0.8	1.3	1.1	0.6
Higher Education	7.7	4.8	20.2	20.1	11.7	15.2
Total	100	100	100	100	100	100

While many analysts of the post-Soviet transition have suggested that positive changes would appear both with consolidation of the country and as more young people came through the system, the reality appeared to be quite different at least until now: instead of a new generation with new ideas coming to power, the best and the brightest are leaving for other countries, with those who are left behind are worse educated and less equipped to handle a complex world and live a decent life. As noted by some specialists, if young people are left with no alternative but unemployment and poverty, they are likely to join a rebellion as an alternative way of generating an income.

Still, the numbers of young people who actually get involved in politics, or even more so in various radical or other potentially destabilising groups is very small, while young people are absent from many areas of social and political life. But behind those who actually join up is a much larger disaffected group that sees little hope in the future, except through migration. In Georgia, the potential for radicalisation of youth is already visible, as demonstrated by recent political events after and before the parliamentary elections of November 2003. The attitudes and abilities of young people remain to be a critical political issue in Georgia.

Finally unemployment must be addressed as top priorities considering the way they are rapidly threatening youth and future generations. This is especially important in the context of growing influence of peer-groups, and the growth of numbers of impoverished youth without sustainable livelihood or family care. Peer influences and how adolescents view themselves compared with their peers overall influences young adults when forming their own values and perceptions, as they are very vulnerable to peer pressure at this age. Friendships and peer groups are very important during early adulthood – young persons rely on friends for support and advice, mutual openness and personal disclosure; groups provide for them a support base outside the family to explore and develop different identity roles.

Rapid urbanization and impoverishment, along with increased needs, result in large numbers of unskilled young people on the economic margin and only tenuously connected to their families.

In previous times, notwithstanding the relatively early physiological maturing of adolescents specific for the Caucasus, and equally early acquisition of civil rights at 18, while marriage was allowed from 16, the same age (16-18) was an average norm for graduating school, the transition to adulthood from the above-mentioned perspective was somewhat delayed if compared to western analogues, or even to the northern parts of the Soviet Union. This had partly to do with traditionally close family relations and prolonged intimacy between parents and children characteristic for the Caucasian societies, but also with economic dependencies and the way the society was organised – in the situation of restricted geographic mobility of the young in a small country with limited employment or educational opportunities, deficiency of accommodation and virtual impossibility for a young person to acquire independent housing, low salaries and restricted career opportunities for the young, – the latter as a rule even after marriage lived with their parents, relied upon their financial assistance for livelihood, and had limited voice in family matters. At the same time, career was strongly dependent on the age, and with minor exceptions the young could hardly achieve a high managerial or political position/role.

Conclusion

In the Soviet period equal gender rights were fixed by the Constitution and the inequalities occurred rather late (more characteristic to post-transition period).

Patriarchal traditions, going deep into centuries of history are now real relations observed mainly on family level: the male being the caterer and fighter, and the female – the mother and the housewife of the family. The enhancement of patriarchal tendencies concerning the fact that women are not competitive in the market of working labour which is drastically decreasing, in the sphere of corporations starts a hard struggle for higher income, banking, finances, and women surrender losing their position to men, their tough strength and manpower. However, the sliding of the country into the depths of recession, the fall of the level of life, the polarization of income, the instability of the society and the empowerment of the role of family have made women activate their efforts providing for the existence of the nation. As a result of transition period, we must outline the following alternations in social roles: the fading of traditional breadwinner role division between husband and wife, the new distribution of roles among different generations, more but still not enough opportunities for the youth (which raises the problem of migration), the separation of parents and the young and (who used to live together with parents throughout their lives, even after marriage), the earlier maturing of the youth in the country due to the acceleration of life pace and the earlier acquirement of independent social identity, the sexual liberation and the political indifference, the growing respect for authority, the bent for pragmatism and careerism. In general, secularised orientations, post-materialism, sexual permissiveness, ecologism, feminism, postmodernism, and libertarianism are more evident among highly educated young urbanites, who are exposed most intensively to new social arrangements and western ideological influences, show greater willingness to accept new ideas, and who bring these to adulthood.

However, unlike Western European societies, – left materialism, idealism, as well as political activism are of rare occurrence among every social stratum of the young adults, due to negative legacy of the past. Yet, in general, young adults are more optimistic, more self-confident, more satisfied with their life, show less interpersonal trust, and, surprisingly, in spite of evident political passiveness and mistrust for political elites, try to believe more in the effectiveness of civil participation, compared to the older generations.

Bibliography

- “Gender Situation in Armenia: Consequences of the Transformation Processes and Women’s Empowerment within the Context of the Millennium Development Goals”, Yerevan, 2005
- “Woman, Gender, Culture,” Moscow, 1999
- Gender Studies in Armenia, Special issue, Yerevan, 2003
- Демократизация армянского общества: гендерная перспектива (по результатам социологического опроса), Ереван, 2004

მარინა ანდრაზაშვილი

**საეცივიზიური სირთულეები გერმანულენოვან ბეობრაზიულ სახელთა
ბაღმოტანისას ქართულად და არსებული უზუსტობანი**

საკუთარ სახელთა ტრანსლირება-ტრანსპონირება ერთი ენიდან მეორეზე ყოველთვის სპეციფიკურ სირთულეებს უკავშირდება და გამონაკლისი ამ მხრივ არც გეოგრაფიული სახელეებია. პრობლემები/ტრანსლირების თვალსაზრისით ანგარიშგასაწვევი მომენტები ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტია, რადგან ეკვივალენტების ზუსტად დაძებნაზე – რომელთაც ეროვნული მესხიერება ხანგრძლივად ინახავს და იოლად ვერც მათი შეცვლა-გადაკეთების შემდეგ ივიწყებს – ბევრად არის დამოკიდებული შეუფერხებელი ოპერირება მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორცაა: გეოგრაფია, გეოლოგია, ისტორია, ტოპონომასტიკა, მეტეოროლოგია, ჰიდროგრაფია, კარტოგრაფია და ა.შ., რომ აღარაფერი ვთქვათ ამ სახელთა პირველადი, პრაქტიკული დანიშნულებით – ანუ ყოველდღიურ კომუნიკაციაში გაგებინების ფუნქციით – გამოყენების მნიშვნელობაზე.

წინამდებარე გამოკვლევის უშუალო მიზანია გერმანულ გეოგრაფიულ სახელთა ქართული ეკვივალენტების ანალიზი, რაც გულისხმობს ქართული წერილობითი წყაროების შედარების ფონზე არსებული დიფერენციალურობა-ვარიანტულობისა თუ გავრცელებული უზუსტობა-ნაკლოვანებების გამოვლენას, ისევე როგორც მათი გამომწვევი მიზეზების სავარაუდო ახსნას; ამის მისაღწევად კი იგი – როგორც აუცილებელ წინაპირობას – უპირველესად იმ ფაქტორთა წარმოჩენასა და კლასიფიკაციას ვარაუდობს, რომლებიც შეიძლება შემაფერხებლად მოქმედებდეს ტოპონიმთა ტრანსლირება-ტრანსპონირების პროცესზე. წინამდებარე გამოკვლევა მიზნად არ ისახავს სადისკუსიოდ წარმოდგენილი ყველა სემანტიკური სუბკლასის გერმანულ ტოპონიმთათვის სწორი და საბოლოო ქართული ეკვივალენტის შემოთავაზებას, რადგან ამას გეოგრაფ-კარტოგრაფთა, გერმანისტთა და ქართველოლოგთა ერთობლივი და საგანგებო განხილვის საგნად მიიჩნევენ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არც კონკრეტულ რეკომენდაციებს გამოორიცხავს ლინგვისტური პოზიციებიდან.

გერმანული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, მათი ქართულად ტრანსლირება-ტრანსპონირებასთან დაკავშირებული სირთულეები საკუთარი გენეზისის მიხედვით ორი ჯგუფის სახით წარმოგვედგინა – ობიექტური ხასიათისა და სუბიექტური ხასიათის –, რომელთაგან თითოეული რამდენიმე ქვეჯგუფს აერთიანებს (არ გამოვრიცხავთ კლასიფიკაციის რელევანტურობას სხვა ენებთან მიმართებითაც). ზღვარი პირველ ჯგუფში შემავალ ქვეჯგუფებს შორის რამდენადმე პირობითია, რადგან მრავალი ტოპონიმის შემთხვევაში (როგორც ქვემოთაც დავრწმუნდებით) მეტწილად ერთდროულად მოქმედებს ორი ან მეტი კანონზომიერება, რის გამოც აუცილებელი ხდება პარალელურად ერთი და იმავე ტოპონიმის რამდენიმეჯერ განხილვა სხვადასხვა კუთხით. ესენია:

– **ობიექტური ხასიათის სირთულეები**, როგორცაა:

- აღსაწერი ფენომენის ჰეტეროგენულობის ფონზე მყარ ორთოგრაფიულ კრიტერიუმთა დადგენა-შემუშავებისა და მათი უნიფიცირების თითქმის შეუძლებლობა. ნათქვამი გულისხმობს ტოპონიმთა არსებობას ისეთი სემანტიკური სუბკლასების სახით, როგორცაა: კონტინენტების/ქვეყნის ნაწილებისა და ქვეყნების/სახელმწიფოების, დასახლებული პუნქტების (ქალაქების/დაბების/სოფლების...), დედამიწის ზედაპირისა და გეოგრაფიული არელების/ლანდშაფტების (მთების/მთაგრეხილების/ზეგნების/დაბლობების...), წყლების (ოკეანეების/ზღვების/ტბების/მდინარეების/სრუტეების/არხების...), ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების/ოლქების/რეგიონების...) და ა.შ. სახელები. ისინი მნიშვნელოვან სტრუქტურულ განსხვავებულობას ავლენენ თვით ორიგინალის ენაშიც და, ბუნებრივია, მათი ეკვივალენტები ვერც თარგმანში დაექვემდებარება ერთ სტრუქტურულ თარგზე მორგებას;

- სასაზღვრო რეგიონების ორენოვნება და ამის გამო იქ წარმოდგენილ ტოპონიმთა არსებობა – ენათა ნათესაური სიახლოვის მიხედვით – ორი ფონემური ვერსიის, ხშირად კი ასევე ორი გრაფემული ვერსიის სახით. ამ ვერსიებს შორის არსებული დაცილებულობის დიაპაზონის შესაფასებლად საკმარისია ერთმანეთს შევუდაროთ თუნდაც რამდენიმე ტოპონიმის, ერთი მხრივ, გერმანულ-ჰოლანდიური: Nimwegen || Nijmegen / Arnheim || Arnhem, გერმანულ-დანიური: Tondern || Tønder / Sonderburg || Sønderborg, გერმანულ-ფრანგული ვერსიები: Strassburg || Strasbourg / Hagenau || Haguenau...; მეორე მხრივ კი, გერმანულ-პოლონური: Stettin || Szczecin / Sommerfeld || Lubsko / Görlitz || Zgorzelec, გერმანულ-ჩეხური ვერსიები: Leutensdorf || Litvinov / Falkenau || Sokolov / Karlsbad || Karlovy Vary / Marienbad || Mariánské Lázně... ანალოგიურ შემთხვევაში, ბუნებრივია, ვდგებით გადაწყვეტილების მიღების სირთულის წინაშე, თუ რომელს მივანიჭოთ უპირატესობა წყვილებში წარმოდგენილი ვერსიებიდან ნორმის დადგენის, ლექსიკონში შეტანისა თუ რუკაზე დაფიქსირების დროს;
- ამოსავალი/გერმანული ენისა და მიზნობრივი/ქართული ენის ანბანურ/გრაფემულ სისტემათა რადიკალური განსხვავებულობა, ანუ ლათინური შრიფტიდან ქართულზე ტრანსპონირების სირთულეები, რაც გვაიძულებს ამოსავალ ტოპონიმთან ეკვივალენტის გრაფემული სურათის დაახლოების მიზნით ქართულში ვეძებოთ საგანგებო გამოსავალი (იხ. მომდევნო პუნქტი). იგივე ფაქტორი უდავოდ ნაკლებხელშემშლელია ერთი და იმავე, დაეუშვათ, ლათინური დამწერლობის მქონე ენების შემთხვევაში, როცა არ არის აუცილებელი, სახელის ორთოგრაფია მაინცდამაინც წარმოთქმის შესაბამისად ვცვალოთ. მაგალითად, ერთნაირად იწერება და წარმოითქმის ორიგინალის ენაზე და გერმანულად Cambridge ['keimbrɪdʒ] *კემბრიჯი* / Dublin ['dublɪn] *დუბლინი* / Massachusetts [mæʃə'tʃu:sets] *მასაჩუსეთი*...; მაგრამ ასევე ერთნაირად იწერება, მიუხედავად მათი განსხვავებულად წარმოთქმისა: London *ლონდონი* ['lʌndən](ინგლ.), ['lɒndən](გერმან.) / საკუთარი სახელი Shakespeare *შექსპირი* ['ʃeɪkspɪə](ინგლ.), ['ʃe:kspi:r](გერმან.)...;
- ზოგადენობრივ ლანდშაფტში არსებული ტრანსპონირების კლასიკური ტრადიციების სტაბილურობის ფონზე თანამედროვე ტენდენციებისთვის ანგარიშგაწვევის სირთულე – ანუ ორიენტაციის აღების შესაძლებლობა სახელის მხოლოდ გრაფემულ სურათზე, მხოლოდ ფონემურ სურათზე ან კომბინირებულად ორივეზე ერთად. მაგალითად: Potsdam ['pɒtsdɑm] *პოტსდამი* თუ *პოცდამი* / Lausitz ['laʊsɪts] *ლაუზიტცი* თუ *ლაუზიც-ი* / Darmstadt ['dɑrmʃtat] *დარმშტადტი* თუ *დარმშტატ-ი* და ა.შ. ანალოგიურ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღებისას ანგარიშგასაწვეია მშობლიური ენის ფონოლოგიურ სისტემასთან ტოპონიმის წარმოთქმის რამდენადმე მიახლოება-მისადაგება, ხოლო როცა ეს უშუალოდ ვერ ხერხდება, მაშინ ორიენტაციის აღება მოცემული ტოპონიმის ფონემურ სურათზე რომელიმე სხვა ე.წ. შუალედურ ენაში (იხ. ქვემოთ). ამ კონტექსტში კიდევ ერთხელ უნდა მოვიხსენიოთ წინამაგალ პუნქტში განხილული Shakespeare, რომლის ქართული ვერსიაც ორიენტაციას იღებს სახელის არა გრაფემულ, არამედ ფონემურ სურათზე და უფრო უახლოვდება არა მაინცდამაინც ამოსავალ/ინგლისურ ტრანსკრიფციულ სურათს ['ʃeɪkspɪə], არამედ გერმანულს ['ʃe:kspi:r], რაც, არ გამოვრიცხავთ, სახელის მშობლიური ენის ფონოლოგიურ სისტემასთან დაახლოებისკენ ინტუიტიური სწრაფვით, ანუ ქართველის საარტიკულაციო აპარატის ანგარიშგაწვევის აუცილებლობით იყოს ნაკარნახევი;
- ზოგიერთი სემანტიკური სუბკლასის ტოპონიმთა თარგმანდობა-არათარგმანდობა ან მათი ნაწილობრივი თარგმნის შესაძლებლობა. ნათქვამი უპირველესად ეხება რამდენიმე ლექსემით წარმოდგენილ ტოპონიმებს, რომელნიც თავიანთ თავში ერთ-ერთ კომპონენტად მოიცავენ ზედსართავ სახელს, საზოგადო სახელს, ჰორიზონტის მხარეს ან სულაც სხვა საკუთარ სახელს (მეტწილად წინდებუდიანი სინტაგმის ფორმით). ასეთებია: Großer Wannsee / Kleiner Wannsee / Krumme Lanke / Weißensee / Der weiße See / Schwarzwassersee / Scharzwald..., Nordsee / Ostsee / Westfriesische Inseln / Ostfriesische Inseln / Nordfriesische Inseln...,

Müritzsee / Chiemsee / Spreewald / Fichtelberg / Mittelgebirge..., Neu-Ulm / Neuruppin / Altötting / Niedersachsen..., Bad Schandau / Burg Eltz / St. Gallen..., Neustadt an der Saale / Neuburg an der Donau / Limburg an der Lahn / Neustadt an der Weinstraße / Neustadt an der Waldnaab / Neuhaus am Rennweg / Königstein im Taunus / Neustadt bei Coburg / Neustadt am Rübenberge / Neuhausen am Rheinflall... ამ ჯგუფის სახელებთან სპეციფიკური პრობლემა ის არის, თუ მათი კომპონენტებიდან რომელი მივიჩნით თარგმნის ღირსად, რათა ეკვივალენტს უპირველესად მშობლიური ენის ფონოლოგიური სისტემისთვის მისაღები ქვეყანა და გამართული სიტყვაწარმოებითი სტრუქტურა ჰქონდეს, იმავდროულად კი რაც შეიძლება ნაკლებად ემთხვეოდეს (ბუნებრივია, ამ მოვლენას აბსოლუტურად ვერ გამოვრიცხავთ) იმავე ან სხვა ქვეყნის მსგავს ტოპონიმს; ანუ, დავუშვათ, ქვემოშემოთავაზებული ვერსიებიდან რომელზე შევჩერდეთ არჩევანი: Weißensee *ვაისენზეე* თუ *თეთრი ტბა*, მაშინ როგორი ეკვივალენტი მივუსადაგოთ Der weiße See-ს? / Altötting *ალტიოტინგი*, *ალტი-ოტინგი* თუ *ძველი იოტინგი* / Burg Eltz *ბურგ-ელცი*, *ციხესიმაგრე ელცი* თუ *ელცის ციხესიმაგრე* / Neustadt bei Coburg *ნოიშტატ-ბაი-კობურგ-ი*, *ნოიშტატი კობურგთან* თუ *ახალქალაქი კობურგთან* / Neuhausen am Rheinflall *ნოიჰაუზენ-ამ-რაინფალ*, *ნოიჰაუზენი რეინფალზე* თუ *ნოიჰაუზენი რაინის ჩანჩქერზე* და ა.შ.;

- მხარეების/რეგიონების/ფედერალური მიწების/ადმინისტრაციული ერთეულების აღმნიშვნელი სახელების გადმოქართულებისას არჩევანის გაკეთება ორი ხერხიდან ერთ-ერთის სასარგებლოდ – გადმოქართულება ანუ ძირეული ლექსემის შენარჩუნება და მასზე ქართული მაწარმოებლების (სა-ეთი / -ეთი / -ია) დართვა თუ სახელის უცვლელად გადმოტანა. ასეთებია: Bayern / Thüringen / Sachsen / Niedersachsen / Schwaben / Hessen / Pommern / Franken / Saarland..., შეწყვილებული სახელები: Mecklenburg-Vorpommern / Nordrhein-Westfalen / Schleswig-Holstein / Rheinland-Pfalz / Baden-Württemberg / Sachsen-Anhalt...; რომელ ვერსიას მივანიჭოთ უპირატესობა ქვემოშემოთავაზებულიდან, დავუშვათ: Sachsen *ზაქსენი* თუ *საქსონია* / Schwaben *შვაბენი*, *შვაბია* თუ *შვაბეთი* / Saarland *ზაარლანდი* თუ *ზაარის მხარე* (ზაარის *ფედერალური მიწა* – როგორც ადმინისტრაციული ერთეული) და ა.შ. Sachsen-ის შემთხვევაში შეიძლება მსჯელობა განვავრდოთ: თუ *საქსონიას* უფრო მისაღებ ფორმად ჩავთვლით, მაშინ რა ვუყოთ Sachsen-Anhalt-ს, გადმოვაქართულოთ როგორც *საქსონია-ანჰალტი* თუ დავტოვოთ *ზაქსენ-ანჰალტი*. ამ კონტექსტში არ შეიძლება საგანგებოდ არ შევჩერდეთ Bayern-ზე, რომლის ტრადიციულ ქართულ ეკვივალენტადაც *ბავარიის* მიჩნეული რეგიონის/ფედერალური მიწის მნიშვნელობით, თუმცა იმავე სახელწოდების ფეხბურთის გუნდი ქართულში *ბაიერნ-ის* სახელით არის შემოსული; ანალოგიური ტოპონიმები, რომელთა გადმოქართულებაც ჭირს, სხვაც ბევრია გერმანულში, რაც იმასაც არ გამოვრიცხავს, გამოსავალი (ბუნებრივია, ხელსაყრელ შემთხვევაში) აღწერილობითი/სინონიმური ფორმის შემოტანაში ან სხვა ტოპონიმის მოშველიებაში ვეძებთ, მაგალითად: Mecklenburg-Vorpommern *მეკლენბურგ-ფორპომერნი*, *მეკლენბურგი-წინაპომერანია* თუ *მეკლენბურგი-დასავლეთპომერანია*, რადგან გერმანიის ტერიტორიაზე მდებარე Vorpommern დასავლეთად ითვლება პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარე **Hinterpommern**-ის ანუ *უკანა-აღმოსავლეთპომერანიის* მიმართ;
- ზოგიერთ შემთხვევაში ორიგინალის ენაზე სახელის ფონემური სურათის შეუთავსებლობა თვით ამ ენის ფონოლოგიურ სისტემასთან, რაც შესაძლოა ისტორიულად, სახელის ეტიმოლოგიით იყოს შეპირობებული და ეკვივალენტის შერჩევისას ქმნიდეს საჭიროებას, ნასესხობის ენას/ამოსავალ ენას დავეყრდნობ. აღწერილი მოვლენა შედარებით ეპიზოდურია გერმანულისთვის, მაგრამ არა უცხო: Corvey ['kərvai] / Grevenbroich [gre:vn'bro:ix]...;
- ორიგინალის ენაზე სახელის გრაფემული სურათის არაიდენტურობა ფონემურთან, რაც ამჯერად უკვე არა ეპიზოდური, არამედ სისტემატური ხასიათი აქვს, ე.ი. ენის სისტემური კანონზომიერებით არის ნაკარნახევი. ამ შემთხვევაში სირთულეებს ის ქმნის, თუ როგორ გავავლოთ ზღვარი ტრანსპონირების თვალსაზრისით რელევანტურ და არა-

რელევანტურ ფონოლოგიურ მოვლენებს შორის. დავუშვათ, მივიჩნით ტრანსპონირების ღირსად: ბოლოკიდური მარცვლის რედუცირება: Alster ['alstɐ] *ალსტერ-ი* თუ *ალსტა* / Paderborn [pa:dɐ'bo:rn] *პადერბორნ-ი* თუ *პადაბორნ-ი* / Greven ['gre:vən] *გრევენ-ი* თუ *გრევენ-ი*. მკლერი თანხმოვნის გადასვლა ყრუ თანხმოვანში მარცვლის დასასრულს/ გასაყარს: Bamberg ['bambɛrk] *ბამბერგ-ი* თუ *ბამბერგ-ი* / Bitterfeld ['bitɐ'fɛlt] *ბიტერფელდ-ი* თუ *ბიტა-ფელტ-ი* / Brend ['brɛnt] *ბრენდ-ი* თუ *ბრენტ-ი*, სისინა თანხმოვნისა – შიშინაში Ems ['ɛms] *ემზ-ი* თუ *ემს-ი...* და ა.შ.; სხვაგვარად, მივაკუთვნოთ თუ არა ზემოილუსტრირებული მოვლენები იმავე რანგის ფონოლოგიურ ცვლილებებს, რომელთა რელევანტურობაც ტრანსპონირების თვალსაზრისით ეჭვს არ ბადებს, ანუ რომელთაც ქართულად არა ამოსავალი ცალკეული გრაფემების, არამედ გრაფემათნაერთის შესატყვის თანხმოვანს მივუსადაგებთ, კერძოდ როგორებიცაა: **sch** → [ʃ] / **tsch** → [tʃ] / **st** → [st] / **sp** → [sp]: Schmalkalde ['ʃmal'ka:lɔ] *შმალკალდე* / Crimmitschau ['krɪmɪtʃaʊ] *კრიმიჩაუ* / Staufēn ['ʃtaʊfən]

შტაუფენ-ი / Spree ['ʃpre:] *შპრეე...* და ა.შ.;

- ერთი და იმავე გრაფემის/გრაფემათა კომპლექსის რეალიზაციის შესაძლებლობა რამდენიმე ურთიერთგანსხვავებული ფონემური ვერსიის/კომბინატორული ვარიანტის სახით შესაბამისად გარემოცვისა, რაც თავისთავად შესაძლოა ამა თუ იმ ეტაპზე ენის ფონემური სისტემის ცვალებადობითაც იყო შეპირობებული. შევადართო, ერთი მხრივ: **c**-გრაფემის ორი **[ts]/[k]**-ფონემური ვარიანტი ტოპონიმებში: Celle ['tɛlə] *ცელე* და არა **კელე* / Calf ['kalf] *კალფი* და არა **ცალფი* / Crimmitschau ['krɪmɪtʃaʊ] *კრიმიჩაუ*, მეორე მხრივ კი **[ts]**-ფონემის რეალიზაციის შესაძლებლობა სამი **c/z/tz**-გრაფემის საშუალებით ტოპონიმებში: Celle ['tɛlə] *ცელე* / Zittau ['tʃɪtaʊ] *ციტაუ* / Zeitz ['tʃaɪts] *ცაიც-ი*; ანალოგიურად, ერთი მხრივ, **ch**-ასოთნაერთის შესატყვისად სამი **[ç]/[x]/[k]**-ფონემური ვარიანტის არსებობა ტოპონიმებში: Lichtenberg ['liçtən'berk] *ლიჰტენბერგ-ი* / Zürich ['tʃy:rɪç] *ციურიჰ-ი* / Buchholz ['bu:x'holtʃ] *ბუხჰოლც-ი* / Ansbach ['ansbax] *ანსბახ-ი* / Cham ['ka:m] *ჩამ-ი*, მეორე მხრივ კი: **[ç]**-ფონემის რეპრეზენტაცია ორი გრაფემათნაერთით **ch/ig** სახელებში: Lichtenstein ['liçtən'ʃtaɪn] *ლიჰტენშტაინ-ი* / Danzig ['dantsɪç] *დანციგ-ი* (მაგრამ ქართულად არა *დანციჰ-ი*, რადგან ბოლოკიდური დახურული მარცვლის გახსნის შემდეგ **ig** [ɪç]-ფონემათნაერთი გადადის [ɪg]-ში: Danziger Schloss ['dantsɪçɐ ...]);
- საგრძნობი ასიმეტრიულობა გერმანული და ქართული ენების ხმოვანთა სისტემებს შორის, რაც განსაკუთრებული სიმძლავრით ვლინდება გერმანულისთვის სპეციფიკური უმლაუტების, დიფთონგების, ნახევარხმოვნების, ასევე გრძელი და მოკლე ხმოვნების ქართულად გადმოტანისას. შეადარე: Münster ['mʏnstɛ] *მიუნსტერ-ი* / Köln ['kœln] *კელნ-ი* თუ *კიოლნ-ი* / Torgau ['to:rgaʊ] *ტორგაუ* / Jüterbog ['jute'bo:k] *იუტერბოგ-ი* / Sylt ['zylt] *ზულტ-ი* თუ *ზილტი* / Lahn ['la:n] *ლანი* თუ *ლაანი*, ანალოგიურად Saale ['sa:le] *ზაალესი*, რადგან ორივე შემთხვევაში განსხვავებული გრაფემული გამოხატულების **aa/ah** ერთსა და იმავე ფონემასთან, კერძოდ, გრძელ **[a:]**-სთან ასოცირდება. ვფიქრობთ, საერთოდაც საგანგებო განსჯის საგანს წარმოადგენს ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე (რომლის დიფერენციაციაც ქართულში არ ხდება) გერმანული ტოპონიმებისთვის ქართული ეკვივალენტების დაძებნისას, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მოვლენას გერმანულში ფონემატიური დატვირთულობა აქვს. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია შევუდართო ქვემოთოტანილი გერმანულ ტოპონიმთა წყვილები მათ ზღვარწაშლილ ქართულ ეკვივალენტს, კერძოდ, ორი სახელი: Nidda ['nɪda] მაინის მარჯვენა შენაკადი და Nida ['ni:da] ყოფილი რომაული დასახლება დღევანდელი მაინის ფრანკფურტის ტერიტორიაზე – დავუპირისპიროთ ქართულ ეკვივალენტს *ნიდა*, რომელშიც ოპოზიცია ნეიტრალიზებულია. სხვაობა ასევე წაშლილია

დამე-ს შემთხვევაშიც, რომლის გრძელხმოვნიან ვერსიაში Dahme ['da:me] მდინარე შპრეეს მარცხენა შენაკადი იგულისხმება, მოკლესმოვნიანში Damme ['dame] – კი ქალაქი ქვემო-საქსონიაში;

- ტრანსკრიფციული ჩანაწერის არარსებობა *გერმანულ გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონებში* ან მისი არსებობა მხოლოდ გამონაკლისის სახით ფრაგმენტულად/ნასესხობებთან, რაც ენის მატარებლისთვის შესაძლოა სავსებით დამაკმაყოფილებელიც იყოს, მაგრამ არა ორთოგრაფიული ლექსიკონის უცხოელი შემდგენლისთვის; აღწერილი ვითარების გამო აქტუალური ტოპონიმის ტრანსკრიფციული ჩანაწერის მოძიების აუცილებლობა *გერმანული ენის დიდ საწარმოთქმო ლექსიკონში*, რაც თავისთავად დამატებით ძალისხმევას უკავშირდება, შესაძლო უარყოფით შედეგზე (წარმოუდგენელია, ზემოხსენებულ ლექსიკონში ჩართული იყოს უკლებლივ ყველა ტოპონიმი) რომ აღარაფერი ვთქვათ;
- რუსულის, როგორც შუალედური ენის დიქტატის, მართალია, რამდენადმე შესუსტებული, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილი უარყოფითი ზეგავლენა (იხ. ქვემოთ). საზოგადოდ, შუალედური ენის მოშველიება გეოგრაფიულ სახელთა შემთხვევაში გამართლებული მეთოდია როგორც ფონოლოგიური, ისე პრაგმატული თვალსაზრისით, რადგან იგი სახელის ჟღერადობის კორექტულობასთან ერთად მის მეტ-ნაკლებ ინტერნაციონალიზაციას, ანუ საერთაშორისო მასშტაბით გასაგებადობას, უზრუნველყოფს. ამისი დადებითი ნიმუშებია ქართულში: Österreich *ავსტრია* და არა **იოსტერრაიბი* / Roma *რომი* და არა **რომა* / Schweiz *შვეიცარია* და არა **შეაიცი* და ა.შ.; მაგრამ საგანგებო გადასინჯვის ღირსია ის შემთხვევები, როცა შუალედურ ენას გარკვეული დისონანსი შეაქვს მშობლიურ ენაში, ან სულაც ეკვივალენტის შეცდომა-უზუსტობის წყაროდ იქცევა.

– **სუბიექტური ხასიათის ფაქტორებიდან** მოხსენიების ღირსია:

- ცალკეული ინდივიდის მიერ საჭიროებისამებრ სახელის სპონტანური/საცნობარო ლიტერატურაში გადაუმოწმებელი გადატანა უცხოური ენიდან მშობლიურზე და ამ პროცესში მხოლოდ საკუთარ გემოვნებაზე, გამოცდილებაზე, ერუდიციასა თუ ენობრივ აღლოზე დაყრდნობა. აღწერილი ფენომენი შედარებით იშვიათია, დაუშვავთ, სამეცნიერო წერილობით დისკურსში, მაგრამ საკმაოდ გავრცელებულია ზეპირ მეტყველებაში (საზოგადო მოღვაწეთა/პოლიტიკოსთა/ჟურნალისტთა/მოდერატორთა/თარჯიმანთა და ა.შ. საჯარო გამოსვლებში). უარყოფითი ამ შემთხვევაში ის არის, რომ შედეგად მატულობს მსმენელთა მხრიდან არასწორი ფორმის მაშინვე ატაცებისა და შემდგომ მისი ასევე არასწორად გამოყენების ალბათობა;
- საზოგადოების მხრიდან ეროვნული მენტალობის რამდენადმე სტაბილურობა-კონსერვატულობა, სააზროვნო პროცესების ეგოცენტრიზმი, შესაბამისად კი ახალშემოთავაზებულ ვერსიის უკვე არსებულის ფილტრში გატარებისას არჩევანის გაკეთება ტრადიციულის/შეჩვეულის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ასაკობრივი ზღვარი თაობებს შორის, ისევე როგორც კულტურული ტრადიციებისა და ესთეტიკური შეხედულებების ზეგავლენა;
- ვიწრო დარგობრივი ჯგუფების მხრიდან პროფესიული მახსოვრობის სტაბილურობა-კონსერვატიულობასთან ერთად პრაქტიკულ-პროფესიული ინტერესების დაცვის ინსტინქტი, რამდენადაც მათთვის ყოველ ახალ, თუნდაც უფრო კორექტულ/პროგრესულ ფორმაზე გადასვლა უპირველესად დარგობრივ ლიტერატურაში შესაბამისი ცვლილების შეტანის აუცილებელი, მაგრამ იმავდროულად შრომატევად და ნაკლებსასიამოვნო პროცესთან ასოცირდება (საკმარისია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენი ძალისხმევის ფასად უჯდება კარტოგრაფს თუნდაც ერთი ორთოგრაფიაშეცვლილი სახელის გადატანა სხვადასხვა პროფილისა და დანიშნულების რუკაზე).

წინამდებარე პუბლიკაციაში ზემოხსენილულ სირთულეთა გათვალისწინებით ისე ვიკვლიეთ გერმანული ტოპონიმები (სხვა ქვეყნის ტოპონიმები ან პირთა სახელები მხოლოდ ზოგან პა-

რადიკალის გასაგებებად მოვიშველიეთ) და მათი ქართული ეკვივალენტები, რომ შევეცადეთ სინქრონულად შედარებითი ანალიზიც წარგვემართა თვით ქართულში არსებულ ვარიანტულობასთან მიმართებით სამ წერილობით წყაროზე – *საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიულ ლექსიკონზე*, ქართულ მსოფლიო ატლასზე და ქართულ ინტერნეტ-საიტებზე განთავსებულ გერმანიის რუკაზე (იხ. ბიბლიოგრაფია) – დაყრდნობით; იმავდროულად შეძლებისდაგვარად ვაკვირდებოდით ასევე მედიის ენასა და საურთიერთო/სალაპარაკო ქართულს.

შედგებად გამოიკვეთა სრულიად არაპროგნოზირებადი სურათი (საილუსტრაციო მასალა, სისტემურად კლასიფიცირებული, იხ. ქვემოთ), რომლის ანალიზმაც მიგვიყვანა ერთ განზოგადებულ დასკვნამდე: თანამედროვე ადამიანის, მათ შორის თუნდაც რიგითი ქართველის, ცნობიერებაში მსოფლიომ სრულიად სხვა მასშტაბები შეიძინა. სამყაროს მოწყობის ახლებურმა სურათმა, საზოგადოებრივი ყოფიერების ყველა სფეროში დამკვიდრებულმა ღიაობამ, საბაზრო ეკონომიკისა და უცხოეთთან კულტურულ-საგანმანათლებლო-სამეცნიერო თანამშრომლობის ინოვაციურმა მოდელმა, ნებისმიერი სახის ტურიზმის განვითარებამ, შერეულმა ქორწინებებმა გაზარდა ინდივიდის, განსაკუთრებით ახალგაზრდა ადამიანის, გეოგრაფიული თვალსაწიერი და მისი პრაქტიკულ-მხარეთმცოდნეობრივი გამოცდილება (საგულისხმოა, რომ საზოგადოებაში მიმდინარე ეს ცვლილებები გერმანულ ენაშიც აირეკლა ამ ბოლო დროს შექმნილი ტერმინებით: *erlebte Landeskunde / erlebte Geographie* ანუ *განცდილი მხარეთმცოდნეობა / საკუთარი თვალთ ნახი/ხილული გეოგრაფია*). აღწერილი ფენომენის დადებითი შედეგი ის გახდა, რომ სალაპარაკო, ცოცხალმა ქართულმა, ისევე როგორც თანამედროვე ქართულმა მსოფლიო ატლასმა და ინტერნეტ-გვერდებზე შემოთავაზებულმა მასალამ, რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო წინ *საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონით* შემოთავაზებულ ერთეულებსა და დაკანონებულ ნორმებს უპირველესად რიცხობრივად, მაგრამ, რაც მთავარია, იმავდროულად თვისობრივადაც, კერძოდ კი, ამ მიმართებით მსოფლიოში ფუნქციონირებული ახალი ტენდენციის ანგარიშგაწევის – ანუ საკუთარი სახელის ტრანსლირებისას ამოსავლად მისი ფონემური და არა გრაფემული სურათის აღიარების – თვალსაზრისით. თუმცა ვერ ვიტყვით, რამდენად გაცნობიერებულად, რადგან არ მოგვეპოვება არანაირი ინფორმაცია იმის თაობაზე: იცნობდნენ თუ არა ქართული ინტერნეტ-რუკისა და ქართული მსოფლიო ატლასის შემდგენლები ერთმანეთის ნაღვაწს და ორივე ერთად მათ წინამორბედ ორთოგრაფიულ ლექსიკონს; თუ იცნობდნენ, რამდენად რაციონალურები იყვნენ მისდამი კრიტიკული მიდგომისას; გადიოდნენ კონსულტაციებს ლინგვისტებთან და წინა თაობის კარტოგრაფებთან, თუ მოქმედი ფორმების უარყოფისა და მათი ახლით ჩანაცვლებისას ეყრდნობოდნენ მხოლოდ საკუთარ ინტუიციას, ყურით დაჭერილსა და შემთხვევით ამოკითხულს; სხვაგვარად, მათი შემოთავაზებები – ბევრჯერ სრულიად მისაღებიც – იყო ლოგიკური ანალიზის ნაყოფი თუ მხოლოდ თაობათა შორის განსხვავებულობის გაუცნობიერებელი, სპონტანური გამოძახილი. საკითხავია ისიც, თუ რას მიიჩნევდნენ ისინი კრიტერიუმად გერმანულ ტოპონიმთა დოკუმენტში შეტანა-არშეტანის დასადგენად: რიცხობრივ მონაცემებს (დავუშვათ, ქალაქის სიდიდეს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით), გეოგრაფიული რეალიების მნიშვნელობა-პოპულარობას, მათ აქტუალობას ქართველი საზოგადოებისთვის... თუ ტოპონიმთა ტრანსლირება-ტრანსსკონირების სიმარტივეს. საკითხის ასე დაყენების – განსაკუთრებით კი ატლასისა და ინტერნეტ-რუკის სისტემურობაში, წინასწარ შემუშავებულ ერთიან კრიტერიუმთა არსებობაში ეჭვის შეტანის – საფუძველს გვაძლევს, ერთი მხრივ, შეუთავსებლობა ამ ორ დოკუმენტს შორის; მეორე მხრივ კი, თითოეულ მათგანში ავტონომიურად არსებული განმეორებადი შეცდომები, ისევე როგორც ერთი და იმავე კანონზომიერებისთვის ერთდროულად ორი განსხვავებული გამოსავლის მონახვის ფაქტები; აღარაფერს ვამბობთ შემთხვევით/ერთეულ შეცდომებზე, რომლებიც სამივე წყაროში შეინიშნება: **დორტმუდი* (ატლასი 58–59:B 6), ნაცვლად *დორტმუნდ-ისა Dortmund / *პორცჰაიმი* (ატლასი 58–59:C 10), ნაცვლად *პფორცჰაიმი-ისა Pforzheim / ზეელე* (ატლასი 58–59:F 6), ნაცვლად *ზააღე-სი Saale... *Zugersee/*Thunersee* (ლექსიკონი), ნაცვლად *Zuger See/Thuner See*-სი და ა.შ.

სხვაგვარი შედეგი არც იყო მოსალოდნელი: მეტყველებამ/ენამ აითვისა ის პროგრესული/მოდური, რომლის გადამოწმება-კორიგირებაც ვერ მოასწრო ლექსიკონმა. თუმცა საქმისთვის აჯობებდა, პირუკუ მოვლენას ჰქონოდა ადგილი, ანუ კანონმდებელი ყოფილიყო ორთოგრაფიული ლექსიკონი, როგორც ერთგვარი ინსტიტუციური მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელსაც დაეყრდნობოდა როგორც ცალკეული ინდივიდი, ისე ატლასი და ინტერნეტ-რუკა. ამით ნებისმიერი მათგანი თავიდან აიცილებდა გაუცნობიერებლად დაშვებულ შეცდომებს პარალელურ/სიმეტრიულ ფორმებში მაინც.

ნათქვამთან მიმართებით ისმება კითხვა, თუ რა ვითარებაა დღევანდელი გადასახედიდან ზემოხსენებულ ძირითად დოკუმენტში – ანუ ამჟამად მოქმედ *საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში* –, რომელიც 1989 წელს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თაოსნობით შედგა, და შეიძლება თუ არა მასზე დაყრდნობა. ამ ლექსიკონმა თავის დროზე ნამდვილად დიდი საქმე გააკეთა; კერძოდ, მას უნდა ვუძაღლოდეთ, რომ ენიდან განიდევნა რუსულის ზეგავლენით შემოსული, ათწლეულების მანძილზე მოქმედი არაკორექტული ფორმები გერმანულ ტოპონიმთა აღსანიშნად: **ვეიმარი Weimar / *გეილბრონი Heilbronn / *განოვერი Hannover / *გამბურგი Hamburg...* და მათ სანაცვლოდ დამკვიდრდა: *ვაიმარი / ჰამბურგი / ჰაილბრონი / ჰანოვერი* (ანალოგიურად პირთა სახელებშიც: **სტეფან ცვეიგი Stefan Zweig / *ტომას მანი Thomas Mann / *გეტე Goethe / *გენრიხ გეინე Heinrich Heine / *გენდელი Händel...* ჩანაცვლდა კორექტული ფორმებით: *შტეფან ცვაიგი / თომას მანი / გოეთე / ჰაინრიჰ ჰაინე / ჰენდელი...*) და ა.შ.; მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმ შეცდომა-უზუსტობებზე შეიძლება თვალის დახევა, რომლებსაც ეს ლექსიკონი შეიცავს და რომლებიც, ჩვენი აზრით, სერიოზულ შესწავლა-კორიგირებას საჭიროებს თანამედროვეობის პოზიციებიდან, მით უმეტეს, რომ ამისი აუცილებლობა – ლექსიკონის გამოსვლიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ – საზოგადოებაში რეალურად მომწიფდა. ვფიქრობთ, ასევე აუცილებელია ზრუნვა მასში გერმანულ ტოპონიმთა სრულყოფილი პრეზენტაციისთვის, თუკი გავითვალისწინებთ (გარკვეულ გარემოებათა გამო) დასავლეთგერმანული (ანუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის) რეალების შედარებით მწირედ წარმოდგენის ფაქტს აღმოსავლეთგერმანიის (ანუ ყოფილი დემოკრატიული რესპუბლიკის) რეალებთან შედარებით.

ამ მიმართებით შევეცადეთ – სამომავლოდ სავარაუდო რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად გარკვეული საფუძვლების მომზადების მიზნით – **ლინგვისტურ პრინციპებზე დაგვეფუძნებინა გამოვლენილ შეცდომა-უზუსტობათა აღწერა და წარმოგვედგინა ისინი სისტემური წესით:**

- სამივე ზემოხსენებულ დოკუმენტში განთავსებულ ტოპონიმთა ქართული ეკვივალენტები მხოლოდ მაშინ ემთხვევა ერთმანეთს, და თავისთავად კორექტულადაც მიიჩნევა, როცა სახელის ფონემური სურათი ორიგინალის ენაზე ისედაც იდენტურია გრაფემულისა და, შესაბამისად, არც ტრანსლაცია-ტრანსპონირებისას გვიქმნის საგანგებო სირთულეებს. აღნიშნული ტიპის სახელთა გადმოქართულებისას მხოლოდ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი – ფუძის ბოლოკიდური ბგერის რაგვარობა:
 - ბოლოკიდურხმოვნანი (როგორც მონოფთონგიანი, ისე დიფთონგიანი) ტოპონიმები, წესისამებრ, უცვლელად გადმოდის ქართულად. შეადარე: *Fulda ფულდა / Hoyerswerda ჰოიერსვერდა / Bode ბოდე / Rheine რაინე / Spree შპრეე / Kleve კლევე / Heidenau ჰაიდენაუ / Ilmenau ილმენაუ / Schandau შანდაუ / Dessau დესაუ* და ა.შ.
 - ბოლოკიდურთანხმოვნანი ტოპონიმებზე კი აუცილებელია სახელობითი ბრუნვის მარკერის **-ი**-მორფემის დართვა: *Berlin ბერლინ-ი / Heidelberg ჰაიდელბერგ-ი / Hamburg ჰამბურგ-ი / Bamberg ბამბერგ-ი / Kiel კილ-ი / Bremen ბრემენ-ი / Mannheim მანჰაიმ-ი...*

წესით ეს უნივერსალური კანონზომიერება (რომელიც დამაჯერებლობას ნამდვილად არ არის მოკლებული) დაცული უნდა ყოფილიყო ყველა სხვა ტოპონიმთანაც, თუკი ნორმიდან გადასახვევად სხვა ხელმოსაკიდებელი მიზეზი არ გვექნებოდა, მაგრამ, როგორც დაკვირვებამ გვაჩვენა, აღწერილი კანონზომიერება ატლასში მაინც ირღვევა, რაც იმით გა-

მოვლინდება, რომ თანხმობაზე დაბოლოებულ ზოგიერთ სახელთან -ი-სახელობითი ბრუნვის ნიშანი ჩანაცვლდება ა-თი, მაგალითად: Ems *ემზა (ატლასი: 58–59: B 4) / Konstanz *კონსტანცა (ატლასი 58–59: D 11). ლექსიკონი სწორ ფორმებს გვთავაზობს: ემს-ი / კონსტანც-ი. იგივე ითქმის ნიდერლანდების სამეფო-სარეზიდენციო ქალაქ Den Haag-ის მიმართაც, რომელიც ყველა წყაროში მოხსენიებულია როგორც *ჰააგ-ა. ვფიქრობთ, მართებული იქნებოდა ჰააგო, მით უმეტეს, რომ ლექსიკონი მისი ანალოგიური ფუძე-ლექსემის მქონე Ha Dong – ვიეტნამური ტოპონიმის ჩაწერას ზემოგანმარტებული წესის მიხედვით გვთავაზობს, ანუ: ჰადონგი და არა *ჰადონგა (ცალკე მსჯელობის საგანია, თუ რატომ უშვებს ლექსიკონი ამ ტიპის ორკომპონენტიან ტოპონიმთა ჩაწერას ორი განსხვავებული წესით: Ha Dong ჰადონგის, ისევე როგორც Des Moines (აშშ) [ˈdɪmɔɪn] დე-მოინის შემთხვევაში პირველი კომპონენტის შენარჩუნებით და Den Haag *ჰააგა-სთან Den-ის, როგორც იშვიათი მოვლენის, უგულებელყოფით. ამ დროს Den ნიდერლანდურში Haag-ის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა და შესატყვისად უმახვილოდ, მოკლე დახურული e-თი და დახურული გადასვლით [denˈhaːx] წარმოითქმის).

ვფიქრობთ, ლექსიკონი, ისევე როგორც ატლასი, უმართებულოდ იქცევა ხმოვანზე დაბოლოებულ ზოგიერთ სახელთანაც, როცა რუსულის ზეგავლენით ბოლოკიდურ ე-ს ანაცვლებს ა-ხმოვნით, როგორც, მაგალითად, ტოპონიმებში: Rhône [ˈroːne] *რონ-ა ნაცვლად რონე-სი / Elbe *ელბა ნაცვლად ელბე-სი; თუმცა შემდეგ ის თვითონვე არღვევს საკუთარ შემოთავაზებას, როცა ანალოგიური ფონემური სტრუქტურის Elde-ს (Elbe-ს მარჯვენა შენაკადს) ქართულ ეკვივალენტად მიუსადაგებს ელდე-ს და არა *ელდა-ს. საგულისხმოა ისიც, რომ ზემოაღწერილი ცვლილების შედეგად: Elbe ელბე-ს შემთხვევაში ხდება გერმანული მდინარის სახელის დამთხვევა კუნძულ Elba ელბა-სთან იტალიაში, გერმანული ქალაქ Konstanz კონსტანცისა კი – რუმინეთის საპორტო ქალაქ Constanta კონსტანცა-სთან. ძნელი სათქმელია, რა ფუნქციურ დატვირთულობას ანიჭებენ ლექსიკონის ავტორები ამ ა-ს: მიიჩნევენ მას სავრცობ/დამხმარე ფონემად და ამდენად ფუძის შემადგენელ ნაწილად, თუ, დაუშვათ, მორფემად მსგავსად სახელობითის ი-სა. ფაქტია, რომ ნათესაობით ბრუნვაში ლექსიკონი უშვებს ა-ს კვეცას: რონ-ის არხი / ელბ-ის ქვიშიანი მთები / ჰააგ-ის ტრიბუნალი...; სავარაუდოა, ის მოქმედებდეს ა-ბოლოკიდურხმოვნიათი ტოპონიმების: აფრიკა – აფრიკის / ამერიკა – ამერიკის... ანალოგიით, მაგრამ ალბათ ამ მოვლენის ხელაღებით გადატანას ა-ზე დაბოლოებული გერმანული წარმომავლობის სახელების Gera გერა / Fulda ფულდა / Eldena ელდენა / Gotha გოთა...-ს მიმართაც გადახედვა სჭირდება. უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მათთვის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის შენარჩუნება, ანუ: გერას მდებარეობა / ფულდას მოსახლეობა / „ელდენას ნანგრევები“ (სახელწოდება კასპარ დავიდ ფრიდრიჰის ნახატისა) / გოთას სენატი... ნაცვლად, ცოტა არ იყოს, უხერხული ფორმებისა: *გერის მდებარეობა / *ფულდის მოსახლეობა / *ელდენის ნანგრევები / *გოთის სენატი...;

- ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეინიშნება სიმეტრიულობის პრინციპის დარღვევა ერთტიპური/სიმეტრიული უმლაუტების ü/ue [y:/|y] / ö/oe [ø:/|æ], ისევე როგორც ä/ae [ɛ:/|ɛ]-ს ტრანსპონირების შემთხვევაში, სახელდობრ:

- ლექსიკონი, ერთი მხრივ, სამართლიანად უშვებს ü/ue→[y:/|y]-უმლაუტის გადმოტანას იუ-ასოთნაერთით: Lübeck [ˈlyːbɛk] ლიუბეკი / Düsseldorf [ˈdʏsɛldɔrf] დიუსელდორფი / Warnemünde [ˈvarnɐˈmyndə] ვარნემიუნდე / Würzburg [ˈvʏrzbʊrk] ვიურცბურგი...; მის ამ პოზიციას იზიარებს დანარჩენი ორი წყაროც – თანამედროვე ქართული მსოფლიო ატლასი და ქართული ინტერნეტ-რუკა (რის გამოც ნიმუშებს აღარ დავიმოწმებთ);
- მეორე მხრივ კი, ლექსიკონი ö/oe→[ø:/|æ]-უმლაუტის შესატყვისად ე-გრაფემას გვთავაზობს: Köln [ˈkœln] *კელნ-ი / Döbeln [ˈdøːbɛln] *დებელნი / Schönebeck [ˈʃøːnˈbɛk] *შენბერკი-ი / Görlitz [ˈgøːrlɪts] *გერლიცი-ი / Göttingen [ˈgœtɪŋən] *გეტინგენ-ი... რასაც

აღარ იზიარებს დანარჩენი ორი წყარო და შემოთავაზებულ **ე**-ს სრულიად ცალსახად უპირისპირებს **-ი**-ასოთნაერთს: Köln *კოლნი*-ი (ინტერნეტ-რუკა) / Görlitz *გორლიცი*-ი (ატლასი 58–59:I 7) / Göttingen *გოტინგენ*-ი (ატლასი 58–59:E 6) / Altötting *ალტოტინგი*-ი (ატლასი 58–59:G 11) და ა.შ.;

- გერმანულ ტოპონიმებში ნაკლებგავრცელებული **ä**→[e:]/[ɛ]-უმლაუტის გადმოტანისას ლექსიკონი იცავს ნორმას სახელში: Vänern (შეუდ.) [ˈvɛ:nɐn] *ვენერნი*-ი, მაგრამ მსგავსი Kärnten (ავსტრია) [ˈkɛrntən] *კერენტენ*-ის ეკვივალენტად, ვფიქრობთ, რუსულის ზეგავლენით **კარინტია*-ს გვთავაზობს. ამ შემთხვევაში პარალელის გავლების შესაძლებლობას, სამწუხაროდ, მოკლებულნი ვართ, რამდენადაც ნიმუშად შემოთავაზებული ტოპონიმები დანარჩენ ორ წყაროში არ არის ასახული;
- არასწორად არის გადმოტანილი ატლასში, ისევე როგორც ინტერნეტ-რუკაზე eu/äu/au-ლიფთონგები: Allgäu [alˈgɔy] **ალგეუ* (ატლასი 58–59:E 12), ნაცვლად *ალგოი-ისა* / Plauen [ˈplɔʊən] **პლოიენი* (ატლასი 58–59:G 8), ნაცვლად *პლაუენ-ისა*, eu-ს გადმოსაცემად კი ატლასი პარალელურად ორ ასოთნაერთს გვთავაზობს – არასწორ **აუ**-ს და სწორ **ოი**-ს, როგორც, მაგალითად, ტოპონიმებში: Euskirchen [ˈɔyskɪrçən] **აუსკირხენ*-ი, ნაცვლად *ოისკირხენ-ისა* (ატლასი 58–59:B 7) და Neuß [ˈnɔys] *ნოის*-ი (ატლასი 58–59:B 7). ამ მხრივ ლექსიკონში დაცულია კორექტულობა;
- არასწორად მიგვაჩნია **ow**-ბოლოკიდური მარცვლის რედუცირების შედეგად მიღებული [o]-მონოფთონგის ჩანაცვლება **ოუ**-ასოთნაერთით: Eberswalde-Finow [...ˈfɪno] *ებერსვალდე-ფინოუ* (ატლასი 58–59:E 5), რომლის შესატყვისადაც ლექსიკონი, ვფიქრობთ, რუსულის ზეგავლენით, თუმცა უფრო მისაღებ ვერსიას – *ებერსვალდე-ფინოუ-ს* გვთავაზობს. ანალოგებია: Treptow *ტრეპტოუ*-ი [ˈtʁɛptɔ] / Pankow [ˈpanko] *პანკოუ*-ი / Güstrow [ˈgʏstro] *გიუსტროუ*-ი...; საერთოდ ცალკე განსჯის საგანია (როგორც ზემოთაც მივუთითებდით) ამ ფონოლოგიური მოვლენის – ბოლოკიდური მარცვლის რედუცირების – რელევანტურობა-არარელევანტურობა ტრანსპონირების თვალსაზრისით; მაგრამ, თუ ის ეკვივალენტებში მაინცდამაინც ორთოგრაფიულადაც უნდა აისახებოდეს, მაშინ ალბათ აჯობებს უპირატესობა **ოვ**-ს ან **ო**-ს მიეცეს **ოუ**-სთან შედარებით;
- სამივე წყარო რადიკალურად სცილდება ერთმანეთს თანხმოვანთა ბგერათკომპლექსების გადმოტანისას; იმავდროულად თითოეული მათგანი უშვებს გარკვეულ ასიმეტრიულობას თვით ერთტიპურ ტოპონიმებთანაც კი. კერძოდ: დაუსაბუთებლად არღვევს ტრანსპონირების გრაფიკული და ფონემური პრინციპის გატარების სწორხაზოვნებას, არ გამიჯნავს ერთმანეთისგან ტრანსპონირების თვალსაზრისით რელევანტურ და არარელევანტურ ფონოლოგიურ მოვლენებს (იხ. ზემოთ) და ა.შ.; სახელდობრ:
 - **-tz**-ასოთნაერთის (ფონემური რეალიზაცია [ts]) ქართულად გადმოტანისას ლექსიკონი ორიენტირად იხდის სახელის ფონემურ სურათს და მას სამართლიანად მიუსადაგებს ც-გრაფემას: Lausitz [ˈlaʊsɪts] *ლაუზიცი* / Bautzen [ˈbaʊtsən] *ბაუცენი* / Görlitz [ˈgɛrlɪts] *გორლიცი*-ი (და არა **ლაუზიტცი*-ი / **ბაუტცენი*-ი / **გერლიტცი*-ი)... ამ მოსაზრებას ქართული ატლასიც იზიარებს, ინტერნეტ-რუკაზე ეს სახელები სამწუხაროდ არ არის წარმოდგენილი;
 - **-ts**-ასოთნაერთს (ფონემური რეალიზაცია ისევე [ts]) ლექსიკონი **ტს**-ს მიუსადაგებს, რითაც არღვევს **-tz**-ს შემთხვევაში ზემოშემოთავაზებულ კანონზომიერებას, ანუ ამჯერად უსაფუძვლოდ ანაცვლებს ჩაწერის ფონემურ პრინციპს გრაფიკულით. ვფიქრობთ, ქართულში ც-გრაფემა უფრო მისადაგისი იქნებოდა: Potsdam [ˈpɒtsdɑm] **პოტსდამი*-ის ნაცვლად *პოცდამი*-ი, მით უმეტეს, რომ ქართული ატლასიც (58–59:G 5) ამ ფორმის მომხრეა. ამით, უპირველესად, ავიცილებდით ქართული ენის ფონოლოგიური სისტემისთვის უჩვეულო ბგერათმიმდევრობის თავსმოხვევას და აღარც გერმანულის ნორმას დავარდვევდით;

- **-dt-**ასოთნაერთი გერმანულში რეალიზდება [t]-ფონემის სახით და მისი დანიშნულება მხოლოდ წინამავალი ხმოვნის სიგრძის შემოკლებაა. ამდენად ის ქართულში, წესით, **-ტ-**გრაფემით უნდა გადმოდიოდეს, თუმცა მას ლექსიკონი **დტ-**ს მიუსადაგებს. ვფიქრობთ, მსგავსი ბგერათმომდევრობა, გარდა იმისა, რომ ის გერმანულ რეალობას არ ასახავს, არც ქართული ენის ფონოლოგიური სისტემისთვის უნდა იყოს მთლად მისაღები: Rheydt ['raet] *რაიდტ-ი / Darmstadt ['darmʃtat] *დარმშტადტ-ი / Hardt ['hart] *ჰარდტ-ი / Ingolstadt ['iŋəʃtat] *ინგოლშტადტ-ი...; უმჯობესი იქნებოდა: რაიტი / ჰარტი / დარმშტატი... შესაძლოა ლექსიკონი ამ შემთხვევაში სიფრთხილეს იჩენს, რომ **-stadt-**ზე დაბოლოებული ქალაქის სახელი არ დაემთხვას ადმინისტრაციულ ერთეულს **შტატი**, მაგრამ ამ ორის განმასხვავებლად ისიც კმარა, რომ ქალაქის სახელი **-stadt-**თან ერთად ერთ ლექსიკურ ერთეულს ქმნის, მაშინ, როცა **შტატს** ადმინისტრაციული ერთეულის ფუნქციით წინ საკუთარი სახელი უძღვის ნათესაობით ბრუნვაში: *პენსილვანიის შტატი / ვირჯინიის შტატი / მიხიგანის შტატი* და ა.შ. ახალი ქართული ატლასი იზიარებს ლექსიკონის ტრადიციას, ინტერნეტ-რუკა კი **-dt-**ს ქართულში ცალსახად **ტ-**გრაფემას მიუსადაგებს: *რუდოლშტატი-ი / დარმშტატი-ი / ინგოლშტატი-ი / ლენეშტატი-ი...*
- **st-**ასოთნაერთი, რომლის ფონემური შესატყვისიც არის [ʃt], ქართულში შესაბამისად **შტ-**ს სახით უნდა გადმოდიოდეს. ეს კანონზომიერება მართლაც დაცულია ლექსიკონში მრავალ სახელთან, როგორცაა: Stuttgart ['ʃtutgart] *შტუტგარტი-ი* / Sternberg ['ʃtɛrn'berk] *შტერნბერტი-ი* / Stendal ['ʃtɛndal] *შტენდალი-ი* / Staufen ['ʃtaufən] *შტაუფენ-ი...*, მაგრამ დაუსაბუთებლად ირღვევა ისეთი სახელების გადმოქართულებისას, როგორცაა: Unstrut [ʊn'ʃtrʊt] *უნსტრუტი-ი, ნაცვლად *უნშტრუტი-სა* / Neustrelitz [nɔʊ'stʀe:liʦ] *ნოისტრელიცი-ი, ნაცვლად *ნოიშტრელიცი-სა*. ატლასში, ისევე როგორც ინტერნეტ-რუკაზე, ეს კანონზომიერება დაცულია და **st-**ს გამონაკლისის გარეშე ყველგან **შტ** აქვს მისაღები;
- ფრაგმენტული/ეპიზოდური ანგარიშგაწვევა თანხმობანთა მქედრობა-სიყრუის მიმართ, კერძოდ:
 - ატლასში ზღვარია წაშლილი მქედრ **-s [z]** და ყრუ **-ss/ß [s]**-ს შორის, რაც იმით გამოვლინდება, რომ სწორად არის გადმოტანილი, მაგ.: Bassum ['basum] *ბასუმი-ი* (ატლასი 58–59:D 4) / Sassnitz ['zasniʦ] *ზასნიცი-ი* (ატლასი 58–59:H 2), მაგრამ არასწორია Husum *ჰუსუმი (ატლასი 58–59:D 2), ნაცვლად *ჰუზუმი-სა* / Saarbrücken ['zair'brykən] *ზაარბრიუკენი (ატლასი 58–59:B 10), ნაცვლად *ზაარბრიუკენ-ისა* / Sylt ['zylt] *სილტი (ატლასი 58–59:C 2), ნაცვლად *ზულტი-სა* / Neißة ['naesə] *ნაიზე (ატლასი 58–59:I 7), ნაცვლად *ნაესესი*. დანარჩენ წყაროებთან პარალელის გავლების შედეგადაც ვერ იკვეთება ზუსტი სურათი, რადგან იქაც დარღვეულია კანონზომიერება: Bassum/Husum/Sylt/Neißة/Sassnitz არ არის წარმოდგენილი ინტერნეტ-რუკაზე, *ზაარბრიუკენ-თან* დაცულია სიზუსტე. ლექსიკონში კორექტულადაა ტრანსპონირებული Sassnitz/Saarbrücken, სამაგიეროდ კანონზომიერება ირღვევა Sachsen-თან, ხოლო Bassum/Husum/Sylt/Neißة მასში საერთოდ არ არის წარმოდგენილი.
 - **k/ck/ch/q/c-**გრაფემებისადმი ყველა პოზიციაში ხელაღებით **კ-**გრაფემის მისადაგება, როგორც ამას ლექსიკონი გვთავაზობს, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული, მით უმეტეს, რომ მათ მიერ რეკრუზენტირებული ურთიერთგანსხვავებული ფონემების (რომელთაც მკაფიოდ გამოიხნავს ერთმანეთისგან გერმანელის მეტყველება) დიფერენციაციის საშუალებას ქართულიც იძლევა ზედმიწევნით სამი შესაბამისი გრაფემის **კ/ქ/ც-**ს მეშვეობით. ამდენად:

სავსებით ვეთანხმებით მაგარი და რბილი **k/ck-**ს ტრანსპონირებას ქართულში **კ-**გრაფემით, რომელიც სამივე წყაროში ერთნაირადაა დაცული: Rostock ['rɔstɔk] *როსტოკი* / Klingental ['kɪŋgɛl'ta:l] *კლინგელტალი-ი* / Kassel ['kasəl] *კასელი-ი* / Koblenz ['ko:blɛnts] *კობლენცი-ი...*

გვინდა სიფრთხილედ გამოვიჩინოთ თავიკიდურ პოზიციაში მოხვედრილი **ch**-ასოთნაერთის (სიტყვის შუა ან ბოლოკიდურ პოზიციაში მოხვედრისას კომბინატორული ვარიანტების შესახებ იხ. ქვემოთ) მიმართ, რადგან მისი ტრანსპონირებისას უპირველესად ანგარიშგასაწევია საკუთარი სახელის სადაურობა, კერძოდ: გერმანული წარმომავლობის სახელებთან ის ქართულად **ქ**-გრაფემით უნდა გადმოდიოდეს: Chemnitz ['kɛmɪtʃ] *ქემნიც-ი* და არა **ქემნიც-ი* (ლექსიკონი) ან **ხემნიც-ი* (ატლასი 58–59:G 8) / Chiemsee ['ki:m'zɛ:] *ქიმზე* და არა **ქიმზე* (ლექსიკონი) ან **ხიმის ტბა* (ატლასი 58–59:G 12) / Christnach (ლუქსემბურგი) ['krɪstnax] *ქრისტნახი* და არა **ქრისტნახი* ან **ხრისტნახი...*; ლათინურძირიანი ანალოგებია: Christus ['krɪstʊs] *ქრისტე* და არა **ქრისტე***ხრისტე* / Chemie ['kɛmi:] *ქიმია* და არა **ქიმია***ხიმია...*; იგივე ითქმის იტალიური წარმომავლობის სახელთა მიმართაც: Chianti ['kʲanti] *ქიანტი* / Chiavari ['kʲa:vəri] *ქიავარი* / Cherubini (კომპოზიტორი) [kɛru'biɲi] *ქერუბინი* და არა **ქიანტი***ქიავარი***ქერუბინი***ხიანტი...*; ფრანგული წარმომავლობის სახელებთან **ch**-ს წესით **შ**-გრაფემა ენაცვლება: Cherbourg [ʃɛr'bu:r] *შერბური* / Chartres [ʃartr] *შარტრი...*, ინგლისურძირიანთან – **ჩ**-გრაფემა: Chester ['tʃɛstɚ] *ჩესტერი* და ა.შ.

ც-გრაფემის ტრანსპონირების შემთხვევაშიც ასევე საჭიროა ერთდროულად ვიხელმძღვანელოთ მისი პოზიციითა და სახელის წარმომავლობით. მართებულია მისი გადმოტანა **კ**-ს სახით ტოპონიმებში: Calau ['kalaʊ] *კალაუ* / Coburg ['kɔ'bu:rk] *კობურგ-ი* / Cottbus ['kɔt'bu:s] *კოტბუს-ი* / Cuxhaven ['kʊks'ha:fən] *კუქსჰავენ-ი* / Clausthal ['klaʊs'ta:l] *კლაუსტალ-ი* და ა.შ., ანუ ა/ო/უ-ხმოვნების, ისევე როგორც თანხმოვნების წინა პოზიციაში, როგორც ამას სამივე წყაროდ მოწმობს; მაგრამ Celle ['tsɛlə] ქართულად უნდა გადმოდიოდეს როგორც *ცელე*, შედეგად შუა საუკუნეებში გერმანულში განხორციელებული ასიბილაციისა **k**→**c**[ts] (Zetazismus, ბერგერი 1999:89) – და არა *კელე*, როგორც ეს ლექსიკონსა და ატლასშია წარმოდგენილი; ნათქვამის მართებულობას ადასტურებს ანალოგიური ტოპონიმიც Cecilienhof [tʃɛ'ʦɪlɪən'ho:f] *ცეცილიენჰოფ-ი* და არა **კეცილიენჰოფ-ი*. კონტრასტისთვის შეგვიძლია იმავე **ც**-ს წარმოთქმის ილუსტრირება იტალიური წარმომავლობის სახელებში, რომლებიც ქართულში **ჩ**-გრაფემით გადმოვვაქვს: Ticino [ti'tʃino] *ტიჩინო* და არა **ტიცინო* / Cellini [tʃɛ'li:ni] *ჩელინი* და არა **ცელინი* და ა.შ.

ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა, **qu**-სთვის ქართულადაც **ქვ**-ასოთნაერთი მიგვესადაგებინა, მით უმეტეს, რომ ეს ბგერათმომდევრობა არ ეწინააღმდეგება ქართულის ფონოლოგიურ სისტემას, ანუ: Quedlinburg ['kvedlin'bu:rk] *ქვედლინბურგ-ი*, ნაცვლად ლექსიკონსა და ატლასში შემოთავაზებული *კვედლინბურგ-ისა*. კონტრასტის ნათესაყოფად საკმარისია შევადართო მკვეთრი **კ**, რეალიზებული **c**/**k**-თი, ტოპონიმებში: Como (იტალია) *კომო* / Locarno (შვეიცარია) *ლოკარნო* / Komárno (სლოვაკეთი) *კომარნო...* და რბილი ფშვინიერი **ქ** ტოპონიმებში: Querfurt *ქვერფურტი-ი* / Quedlinburg *ქვედლინბურგ-ი* / Quakenbrück *ქვაკენბრიუკ-ი...*, რომელთაც გერმანელის მეტყველება მკაფიოდ გამიჯნავს (იხ. დუდენის ელექტრონული ვერსიის ხმოვანი გვერდები).

- სამივე წყაროში ზღვარი წაშლილია სიტყვის შუა – ან ბოლოკიდურ პოზიციაში მოხვედრილი **ch**-ასოთნაერთის ორ კომბინატორულ ვარიანტს [tʃ]-**იშ-ლაუტსა** და [x]-**ახ-ლაუტს** შორის. არ შეიძლება ერთი და იმავე გრაფემით გადმოდიოდეს ის, რასაც გერმანული საწარმოთქმო ლექსიკონი ორ სხვადასხვა ფონემას მიუსადაგებს, შეადარე, ერთი მხრივ: Aachen ['a:xən] *ახენ-ი* / Glauchau ['glɑʊxɑʊ] *გლაუხაუ* / Eisenach ['aɪzənax] *აიზენახ-ი* და, მეორე მხრივ: Zürich ['tʃy:rɪç] **ციურიხ-ი*, ნაცვლად *ციურაჰ-ისა* / Lichtenberg ['liçtən'berk] **ლიხტენბერგი*, ნაცვლად *ლიჰტენბერგი-ისა* / München ['myŋçən] **მიუნხენ-ი*,

ნაცვლად *მიუნჰენ-ისა* / Gelsenkirche ['gelzən'kirçə] **გელზენკირხე*, ნაცვლად *გელზენკირხე-სი*. საპირისპიროდ ამ სამი წერილობითი დოკუმენტისა, ქართული ბეჭდვითი მედიის ენაში, ისევე როგორც რადიოსა და ტელევიზიაში, შეინიშნება [ç]-იპ-ლაუტისა და [x]-ახ-ლაუტის აშკარა გამიჯვნის ტენდენცია.

- არასწორად აქვს მისადაგებული Leipzig ['laeptʃɪç]-ს **ლაიფციგ-ი* როგორც ორთოგრაფიულ ლექსიკონში, ისე ქართულ ატლასში (58–59:G 7). შესწორებულ ვერსიას *ლაიპციგ-ს* გვთავაზობს ინტერნეტ-რუკა, რის სასარგებლოდაც განხილული ტოპონიმის როგორც გრაფიკული, ისე ფონემური, ანუ ტრანსკრიფციული სურათიც მეტყველებს.
- ანალოგიურობის პრინციპის დარღვევა შეინიშნება სამივე დოკუმენტში ორ – ან მეტკომპონენტთან (ტბების/მთების/ტყეების/ზოგიერთი ქალაქის) სახელთა ტრანსლირება-ჩაწერის თვალსაზრისით, მიუხედავად გერმანულში მათი აღმნიშვნელი სინტაგმების ერთტიპურობისა ან, სულაც, იდენტურობისა (იხ. ზემოთ). შედეგად თვით ერთი და იგივე წყარო ერთმანეთის გვერდით გვთავაზობს ჩაწერის ორ ასიმეტრიულ ფორმას – ტრანსპონირებულსა და ტრანსლირებულს, რომ აღარაფერი ვთქვათ წყაროებს შორის არსებულ არათანხედენილობაზე. შეადარეთ:
 - ერთი მხრივ, ლექსიკონში შემოთავაზებული ვერსიები: Starnberger See *შტარნბერგერზე* / Neusiedler See *ნოიზიდლერზე*..., მეორე მხრივ კი: Zuger See *ცუგის ტბა* / Thuner See *თუნის ტბა*; ვფიქრობთ, აღარ საჭიროებს კომენტარს ატლასში დაშვებული შეცდომები: Schweriner See *შვერინერის ტბა* (ატლასი 58–59:F 3) / Plauer See *პლაუერის ტბა* (ატლასი 58–59:G 4)..., თუკი ამ ეკვივალენტებს ამოსავალ ლექსემებთან (←Schwerin / ←Plau) მიმართებაში განვიხილავთ;
 - ანალოგიურად წინა პუნქტში განხილულისა, ლექსიკონს, ერთი მხრივ, უცვლელად გადმოაქვს: Fichtelgebirge *ფიხტელგებირგე*, მეორე მხრივ კი Erzgebirge-ს ანაცვლებს ქართული თარგმანით *მადნიანი მთები*, ატლასი მის ეკვივალენტად *ერცის მთებს* (58–59:G 8) გვთავაზობს; ასევე უცვლელადაა გადმოტანილი ლექსიკონში Schwarzwald *შვარცვალდი*, ატლასში მას *შავი ტყეები* (58–59:D 11) უპირისპირდება. ატლასი ერთმანეთის პარალელურად გვთავაზობს ფორმებს: Frankenwald *ფრანკენვალდი* (58–59:F 8) და Thüringer Wald *თიურინგიის ტყეები* (58–59:E 7) / Böhmerwald *ბოჰემიის ტყეები* (58–59:G 10), თანაც, რატომღაც, *ტყეები* მრავლობითი რიცხვის ფორმით. ვფიქრობთ, ახსნა არც იმას მოეძებნება, რატომ ხმარობს ატლასი ერთსა და იმავე ძირის მქონე სახელებთან ერთ შემთხვევაში Frankenwald *ფრანკენვალდ-ს*, მეორე შემთხვევაში კი *ფრანკიშე ალბი-ს* (58–59:E 7) Fränkische Alb;
 - ლექსიკონში, ერთი მხრივ, გვხვდება ტრანსლირებული: Dortmund-Ems-Kanal *დორტმუნდ-ემსის არხი* და, მეორე მხრივ კი, ტრანსპონირებული: Göta Kanal *გეტა-კანალი*... დანარჩენ ორ წყაროში ეს ერთეულები არ არის შეტანილი;
 - ლექსიკონი, ერთი მხრივ, მომხრეა იმისა, რომ ორტოპონიმიან ქალაქის სახელში მდინარის სახელი მოიხსენიებოდეს ქალაქთან ერთად გადმოქართულებული ფორმით: Frankfurt am Main *მაინის ფრანკფურტი* / Frankfurt an der Oder *ოდერის ფრანკფურტი*, მაგრამ, მეორე მხრივ, ანალოგიურ შემთხვევაში ჩაწერის სხვა ფორმას მიმართავს, კერძოდ: Limburg an der Lahn *ლიმბურგ-ან-დერ-ლან-ი* / Eßlingen am Neckar *ესლინგენ-ამ-ნეკარ...*; ინტერნეტ-რუკა და ატლასი პირველი ორი სახელის შემთხვევაში ლექსიკონს მიჰყვება, მაგრამ სხვა ანალოგიური სტრუქტურის სახელებს სამწუხაროდ არ გვთავაზობს;
 - ვფიქრობთ, ირღვევა ლექსიკონში ისეთი ორლექსემიანი სახელის გადმოქართულების პრინციპიც, როგორიცაა: Nordrhein-Westfalen **ჩრდილოეთი რაინ-ვესტფალია* (რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს შეიძლება, *სამხრეთი რაინ-ვესტფალიაც* არსებობდეს). საგულისხმოა, რომ ამოსავალ ტოპონიმში ატრიბუტი *ჩრდილოეთი* ნახმარია მხოლოდ მდინარე *რაინის* მიმართ, რაზედაც თვით ფედერალური მიწის გეოგრაფიული მდებარეობაც მეტყველებს, შესაბამისად სახელის აღწერილობითი ფორმაც: *ვესტფალია, რომელიც მდებარეობს რაინის ჩრდილოეთ წელზე* = *ჩრდილორაინის ვესტფალია*.

ამრიგად, წინამდებარე გამოკვლევაში ჩატარებული ანალიზი გერმანულ გეოგრაფიულ სახელთა ქართული შესატყვისების კორექტულობის გამოსავლენად შეიძლება მეტ-ნაკლებად ამოწურულად მივიჩნიოთ ქართულენოვანი მასალის სიმწირის გამო. გამოვლენილი არათანხვდენილობა ზემოწარმოდგენილ სამ დოკუმენტს შორის, ისევე როგორც თითოეულ მათგანში არსებული შეცდომა-უზუსტობები, გვაძლევს საფუძველს რამდენიმე **პრაქტიკული დასკვნისთვის**:

- მომწიფდა ნიადაგი გერმანულ ტოპონიმთა ახალი ქართული ორთოგრაფიული ლექსიკონის შესადგენად, რომელიც გახდება ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი ყველა სხვა ტიპის ანალოგიური საცნობარო ლიტერატურისთვის – იქნება ეს ატლასი თუ ინტერნეტ-რუკა – რადგან დაუშვებელია, ერთსა და იმავე გერმანული ტოპონიმის ეკვივალენტად ყოველი ახალი წყარო საკუთარ ვერსიას გეთავაზობდეს. ვფიქრობთ, ამ ტიპის ლექსიკონი ასევე უნდა იქცეს საყრდენად კერძო პირთა სამუშაო ლაბორატორიებისთვის, იმ იურიდიული დაწესებულებებისთვის, ნოტარიალურ-სათარჯიმნო ბიუროებისთვის და ა.შ., რომელთაც თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაში გეოგრაფიულ სახელთა გამოყენება უხდებათ იურიდიული მოწმობების გაცემისას თუ თარგმანის შესრულებისას;
- აუცილებელია, არსებული ლექსიკონი შეივსოს ახალი მასალით, რათა იგი მაქსიმალურად სრულყოფილად წარმოსახავდეს გერმანულ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეალებს. პირველწყაროს სახით გამოყენებული იყოს აქტუალური გერმანულენოვანი დოკუმენტები, რომლებშიც ასახული იქნება გერმანიის გაერთიანების შემდეგ დროინდელი ცვლილებები და დაცული იქნება გერმანულ სახელთა ჩაწერის ნორმები ორთოგრაფიული რეფორმის (2007 წლის აგვისტოს ვერსიის) შესაბამისად;
- უპირველესად კი, რაოდენ რთულიც უნდა იყოს, გეოგრაფ-კარტოგრაფთა და ლინგვისტთა ერთობლივი ძალისხმევით მომზადდეს თანამედროვეობის გადასახედიდან გეოგრაფიულ სახელთა ტრანსლირება-ტრანსპონირებისთვის ისეთი მყარი ამოსავალი კრიტერიუმები (პუბლიკაციაში განხილულ პუნქტებთან მიმართებით), რომლებიც გარკვეულწილად დაგვიცავს მოსალოდნელი უზუსტობებისგან და იმავდროულად დაგვეხმარება კიდევ პირთა სახელების ტრანსპონირებაში. ბუნებრივია, გეოგრაფიულ სახელთა ჰეტეროგენულობის ფონზე ვერ შევძლებთ უნიფიცირების პრინციპის რადიკალურ/მაქსიმალისტურ გატარებას, მაგრამ ზომიერი ლოგიკურობისა და სწორხაზოვნობის დაცვა ანალოგიურ/სიმეტრიულ ფორმათა შემთხვევაში გარკვეულწილად შეძლებს ლექსიკონის სანდოობის უზრუნველყოფას.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ მოსამზადებელ სამუშაოთა რაციონალურად წარმართვაში წინამდებარე გამოკვლევაც შეიტანს თავის წვლილს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Brockhaus. Bibliographisches Institut & F. A. Brockhaus AG. Mannheim [CD-ROM]. 2003
Duden. Taschenbücher, Bd. 25. Geographische Namen in Deutschland. 2., überarbeitete Auflage von Dieter Berger. Mannheim: Dudenverlag. 1999
Duden – Deutsches Universalwörterbuch, 6. Aufl. Mannheim 2006 [CD-ROM].
Duden – Das Fremdwörterbuch, 9. Aufl. Mannheim 2007 [CD-ROM].
Duden – Richtiges und gutes Deutsch, 6. Aufl. Mannheim 2007 [CD-ROM].
Eisenberg, Peter. Grundriss der deutschen Grammatik. Bd. 1 Das Wort. 3., durchgesehene Aufl. Stuttgart: Metzler. 2006.
Hans-Heinrich, Wängler. Atlas deutscher Sprachlaute. Berlin: Akademie-Verlag. 1968.
Landkarte. Bundesrepublik Deutschland. Gotha: Verlag Klett-Perthes. 2008.
Wörterbuch der deutschen Aussprache Leipzig: VEB Bibliographisches Institut. 1964.
მსოფლიოს ატლასი: თბილისი: გამომცემლობა *ელფი*. 2008.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი: საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. 1989. <http://ka.wikipedia.org/wiki/>.

MARINA ANDRAZASHVILI

SPECIFIC DIFFICULTIES AT THE TIME OF TRANSPOSITION OF GERMAN GEOGRAPHICAL NAMES INTO GEORGIAN AND THE EXISTING INACCURACIES

Summary

Due to the semantic and structural heterogeneity of geographical names, their translation from one language to another is always linked with specific difficulties. Correctly found equivalents play a crucial role in unhampered operation in such branches of science as geography, hydrography, cartography, etc., not to mention the importance of using these names with their primary, practical purpose – i.e. mutual understanding in everyday communication.

The aim of the present publication is to study Georgian equivalents of German geographical names in their interrelation, on the basis of three written sources – *Spelling Dictionary of Geographical Names of Foreign Countries*, the Georgian *World Atlas* and the Georgian *Internet-map*, and also the basis of spoken Georgian; to describe from linguistic positions the inaccuracies discovered in each of them, as well as differences and variances and to explain their genesis.

The observation of empirical material has brought to light the hindering factors being at work in the process of rendering into Georgian German place names proper: radical difference of the alphabetic systems of both languages; sharp asymmetry of the phonemic systems, especially the vowel groups; irrelevance of the vowel length-shortness in Georgian, whereas it has the phonemic character in German; frequent confusion of the graphemic and phonemic principle at the time of transposition; lack of demarcation of relevant and irrelevant phonological phenomena from the viewpoint of transposition; disregard of combinatorial variants of the consonant sounds/sound complexes in the process of matching Georgian graphemes to them; the influence of the dictates of Russian, as an intermediary language.

The classification of inaccuracies on the basis of illustrative material, offered in the present study, in my view, will facilitate to a certain extent the formation of new, logical and consecutive criteria for the purpose of perfection and correction-innovation of the existing Georgian sources.

ნინო დარასელია

დ. უზნაძის განწყობის თეორია კოგნიტოლოგიის ჰრილში

როგორც ცნობილია, კოგნიტიურმა პარადიგმამ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებაში. დღესდღეობით კოგნიტოლოგია (კოგნიტიური მეცნიერება) აერთიანებს ყველა იმ ფუნდამენტურ მეცნიერებას (ენათმეცნიერება, ფილოსოფია, კოგნიტიური ფსიქოლოგია, ხელოვნური ინტელექტი, ნეირომეცნიერება, ანთროპოლოგია და სხვ.), რომელიც ადამიანის ტვინს, გონებასა და აზროვნებით და შემეცნებით პროცესებს შეისწავლის, ანუ ტერმინი *კოგნიტოლოგია* „ქოლგისებრი“ ტერმინია. კოგნიტოლოგია არის ასევე ნიშნად იმისა, რომ მეცნიერული აზროვნების თანამედროვე ეტაპზე ცალკეული მოვლენის სრულყოფილი შესწავლა მხოლოდ ინტერდისციპლინარული კვლევის მეშვეობით არის შესაძლებელი. ინტერდისციპლინარული მიდგომა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სწორედ ადამიანის ცოდნისა და შემეცნებითი პროცესების კვლევისას. ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, დაგროვება და შენახვა, საჭიროებისამებრ გარკვეული ტიპის ინფორმაციის გამოძახება და კომუნიკაციისას მისი გამოყენება, ცოდნის მიმართება ადამიანის ქცევასთან – ეს ის საკითხებია, რომელთა შესწავლა წარმოუდგენელია კომპლექსური მიდგომის გარეშე. კოგნიტიური მეცნიერების კონტურები გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოიკვეთა, მის ინტელექტუალურ საფუძვლებად კი მიჩნეულია 1950-იან წლებში შექმნილი ჯორჯ მილერის ნაშრომები კოგნიტიურ ფსიქოლოგიაში, ნოემ ჩომსკის თეორიათა წყება მენტალური გრამატიკის შესახებ და ასევე ხელოვნური ინტელექტის ფუძემდებლების (ჯ. მაკარტის, მ. მინსკის, ა. ნიუელისა და ჰ. საიმონის) მოძღვრება. თუმცა, გაცილებით დიდია იმ მეცნიერთა რიცხვი, რომლებმაც თავიანთი კვლევებით დიდი წვლილი შეიტანეს კოგნიტიური პარადიგმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. კოგნიტიური მეცნიერების სათავეების განხილვისას აუცილებლად მიმაჩნია დ. უზნაძის განწყობის თეორიის მოხსენიება. ადამიანის ქცევის მარეგულირებელი მენტალური პროცესების შემსწავლელი და ამხსნელი თეორია – ასე შეიძლება ზოგადად დავახასიათოთ განწყობის თეორია, რომლის პირველი მონახაზი, როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 20-იან – 30-იან წლებში შეიქმნა. სტატის მიზანია, დაადგინოს განწყობის თეორიის ადგილი კოგნიტიური მეცნიერების ისტორიაში.

კოგნიტოლოგიის განსაზღვრებათა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სტივენ ანდერსონის (Anderson, 1988: 808) დეფინიცია; მისი თვალსაზრისით, კოგნიტოლოგია შეისწავლის ცოდნის გარკვეული სტრუქტურებით დეტერმინირებულ ადამიანის ქცევას. როგორ ჯდება კოგნიტოლოგიის აღნიშნული განსაზღვრების სქემაში დ. უზნაძის განწყობის თეორია? განწყობის თეორიის მიზანია სწორად დაადგინოს, თუ როგორ იმართება ადამიანის ქცევა, რამდენად არის მისი მართვის მექანიზმი მოცემული ინდივიდში და რა წარმოადგენს მის ფსიქოლოგიურ განზომილებას.

წარმოადგენს რა ქცევის ზოგად თეორიას, განწყობის თეორია ეფუძნება და აერთიანებს ისეთ ბაზისურ კატეგორიებს, როგორცაა: პიროვნება, ქცევა, ცნობიერი და არაცნობიერი; აღნიშნული კატეგორიები დიალექტიკურ მთლიანს ქმნის; „არაცნობიერი შეიძლება ცნობიერში გადავიდეს ან პირიქით“ (უზნაძე, 1977: 8), შესაბამისად, ქმედებასა და ცნობიერს განსაზღვრავს მათი წინმსწრები ფსიქიკის განწყობის დონე. ეს უკანასკნელი კი არის შედეგი სიტუაციური, მოტივაციური და ოპერაციული ფაქტორების ერთობლიობისა, ანუ პირველად ფსიქიკური რეალობა ასრულებს შუამავლის როლს გარე სამყაროსა და ცნობიერს შორის. ფიზიკური და ფსიქოლოგიური პროცესების დიალექტიკური მთლიანობის ხაზგასმა განსაზღვრავდა თავის დროზე განწყობის თეორიის ნოვატორულ ხასიათს. დ. უზნაძის თვალ-

საზრისით, ჩვენს ცნობიერს განაპირობებს სოციალური და ისტორიული ფაქტორები. აქედან გამომდინარე, ადამიანის გონების ძირითადი ფუნქციაა, არა მხოლოდ ასახოს რეალობა, არამედ წარმოქმნას აღნიშნული რეალობის შესატყვისი ქცევა:

„...აზროვნებაც პირველ რიგში სოციალური კატეგორიის ფაქტად უნდა ჩავთვალოთ. უჭკველია, რომ ადამიანმა როგორც აზროვნება, ისე მეტყველებაც მაშინ დაიწყო, როცა იგი საზოგადოების წევრად იქცა, რადგან საზოგადოებაში ერთად ცხოვრება და ერთად მოქმედება აუცილებლად მოითხოვს როგორც ერთს, ისე მეორეს“ (უზნაძე, 1977: 306).

„... ადამიანის ძირითადი უნარები: ობიექტივაცია, იდენტიფიკაცია და ნომინაცია – რომელიც სოციალური ცხოვრების პირობებში აღმოცენდება, თავის მხრით, სოციალური ცხოვრების შემდგომი წინსვლის ფსიქოლოგიურ პირობად იქცევა“ (უზნაძე, 1977: 306).

„...ადამიანი, როგორც ინდივიდი, ამავე დროს ფსიქოლოგიურად საზოგადოების აქტიური მონაწილე ხდება და მისი ინდივიდუალური ფსიქიკის მექანიზმი ერთდროულად მისი სოციალურად წარმართული აქტივობის ორგანოდ იქცევა“ (უზნაძე, 1977: 307).

განწყობის თეორიის მიხედვით ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს შორის მიმართება უშუალოდ პრინციპით იმართება; ფიზიკური პროცესები წარმოადგენს ფსიქოლოგიური პროცესების უშუალო განმაპირობებელ მიზეზს. მაგალითად, განწყობა, რომელიც არის ინდივიდის სპეციფიკური მდგომარეობა, მზაობა, შეასრულოს ცალკეული ქმედება, ერთი მხრივ, წინ უსწრებს აღნიშნულ ქმედებას, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც აღინიშნა, არის შედეგი სიტუაციური, მოტივაციური და ოპერაციული ფაქტორების ურთიერთქმედებისა; ანუ, განწყობის ცნება გულისხმობს როგორც სუბიექტურ (ინდივიდის მოთხოვნილებას, შეასრულოს გარკვეული მოქმედება), ასევე ობიექტურ (უშუალო სიტუაციას, რომელშიც ეს მოთხოვნილება რეალიზდება) ფაქტორებს. მაშასადამე, რა არის განწყობა? არის ის ერთგვარი გეგმა, ჩვენი ქცევის განმსაზღვრელი მენტალური სქემა? აღნიშნულ კითხვაზე პასუხს თავად განწყობის თეორია იძლევა.

განწყობის ცნება მჭიდრო კავშირშია დ. უზნაძის მიერ გამოყოფილ ცნობიერის მოქმედების ორ განსხვავებულ პლანთან, იმპულსურისა და გაშუალებული ქცევის პლანთან. უზნაძის განსაზღვრებით: „იმპულსური ქცევის პლანს, ... მის ფსიქოლოგიურ სპეციფიკუმს, პირველ რიგში მისი უშუალოება შეადგენს – ის გარემოება, რომ სუბიექტი, ისევე როგორც მისი აქტებიც, მთლიანად ქცევის პროცესშია ჩართული“ (უზნაძე, 1977: 134).

„იმპულსურ ქცევაში ჩართული აქტები მთლიან ჯაჭვს ქმნიან, ისინი ქცევის მთლიან ჯაჭვში ცალკე რგოლებს წარმოადგენენ, იმ სიგანეების როლს ასრულებენ, რომლებიც ქცევის პროცესში მომდევნო ნაბიჯების სტიმულაციას ახდენენ. მათ არა აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ღირებულება, ისინი არ არსებობენ ამ როლის გარეშე თავისთავად, ამ ქცევის პროცესიდან გამოყოფილად, რომელშიც მთლიანად უნაშთოდ არიან ჩართული“ (უზნაძე, 1977: 135).

იმპულსური ქცევა იგივეობისა და იდენტურობის პრინციპებს ეფუძნება:

„ჩვენ... სამყაროს ჭერებზე შეგვიძლია და ვჭვრეტთ კიდეც მას, როგორც რაღაც მოცემულს, თავის თავის იდენტურს და როგორც რაღაც ისეთს, რაც შეიძლება გამეორდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც გნებავთ, მოკლედ რომ ვთქვათ, იგი იგივეობის ლოგიკური პრინციპის მიხედვით განიხილება. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის იმას, რომ ადამიანს სამყაროსადმი სპეციფიკური დამოკიდებულება უმუშავდება – იგი მის შემეცნებას იწყებს“ (უზნაძე, 1977: 309).

შეიძლება ითქვას, რომ ტერმინით „იმპულსური ქცევა“ უზნაძე ადამიანის როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური ქცევის რუტინიზებულ, რიტუალიზებულ ხასიათს აღნიშნავს. შესაბამისად, განწყობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ადამიანის სტერეოტიპული ქცევის დამაფიქსირებელი კოგნიტიური სტრუქტურა, რაც იმას გულისხმობს, რომ აღნიშნული ტერმინი შეესაბამება კოგნიტოლოგიაში დამკვიდრებულ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: ფრეიმი (Minski 1975, Fillmore 1982, Charniak 1975, Goffman 1974, Hayes 1979), სცენარი (Sanford, Garrod 1981), სკრიპტი (Schank, Abelson 1977), სქემა (Bartlett 1932), სქემატა (van Dijk 1986, Tannen 1979).

მიუხედავად მათ შორის არსებული მეტ-ნაკლები განსხვავებისა, ჩამოთვლილი ტერმინები აფიქსირებენ ადამიანის უნარს, გამოიტანოს სტერეოტიპული დასკვნები და გამოიმუშაოს გარკვეული დამოკიდებულება, განწყობა გარე სამყაროში არსებული ჩვეული საგნებისა და მოვლენების მიმართ. ამასთან ერთად, ისევე როგორც „განწყობა“, აღნიშნული ტერმინები ინდივიდის მეხსიერებაში სამყაროს შესახებ ცოდნის ორგანიზებისა და საჭიროებისამებრ მოცემული ცოდნის აქტივაციის მექანიზმებს გულისხმობენ. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ განწყობის ცნება ზემოქანითვლილი ტერმინებისაგან განსხვავებით გაცილებით უფრო ადრე, მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დ. უზნაძის მიერ გამოყოფილი ქცევის მეორე ტიპი, გაშუალებული ქცევა, ობიექტივაცია. ხშირად ობიექტივაციის პროცესი ადამიანის როგორც ვერბალური ასევე არავერბალური ქცევის სპეციფიკურ მახასიათებელს – შემოქმედებით ასპექტს გულისხმობს; ადამიანს შესწევს უნარი დაარღვიოს იმპულსური ქცევის შემადგენელ აქტთა მექანიზმული ჯაჭვი და ესა თუ ის ობიექტი, თუ მოვლენა ახალი კუთხით აღიქვას. ობიექტივაციის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იმპულსური ქცევის შემადგენელ აქტთა ჯაჭვის შემთხვევითი შეფერხება იყოს. მოულოდნელმა წინააღმდეგობამ შესაძლოა დაარღვიოს რიტუალიზებული ქცევის ჩვეული მსვლელობა და აქტთა ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი სუბიექტს ახალი თვალთ დაანახოს. ასე მაგალითად, სამიზნე ენისა და კულტურის ვერბალური თუ არავერბალური ეტიკეტის არცოდნამ, ან მეტაფორული ხასიათის რუტინის პირდაპირი თვალსაზრისით აღქმამ და შესაბამისად არასწორი რეაქციის გამოხატვამ შესაძლოა კომუნიკანტთა შორის, სულ მცირე, გაუგებრობა გამოიწვიოს. ასე მაგალითად, ამინდზე საუბარი ინგლისური კულტურისათვის მახასიათებელი ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშია; როგორც ვიცით, ფატიკური კომუნიკაციის ერთ-ერთი პრინციპი კომუნიკანტის თვალსაზრისის გაზიარებაა. თვით თბილ და მზიან ამინდშიც კი, თუ ჩვენი მოსაუბრე უკმაყოფილებას გამოხატავს (“Terrible weather, isn’t it?”), ფატიკური კომუნიკაციის თამაშის წესებიდან გამომდინარე, ჩვენ მას უნდა დავეთანხმობთ (“Yeah, awful”). თუმცა, ინგლისური კულტურის არცოდნამ შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს, მოსაუბრეს შევეკამათოთ, რაც ფატიკური კომუნიკაციის რიტუალის ჩაშლას გამოიწვევს. დაშვებული შეცდომის ანალიზი, ანუ ობიექტივაციის მიზეზის დადგენა დაგვეხმარება აღნიშნული რიტუალის გააზრებასა და გათავისებაში. ანუ, როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, „ობიექტივაციის პირობებში, სუბიექტი მიმართავს თავის ერთ-ერთ სპეციფიკურ უნარს – აზროვნებას. აზროვნება, რომელსაც ხელთ აქვს ფსიქიკური აქტივობის ყველა საშუალება – ყურადღება, დაკვირვება, წარმოდგენა – აღწევს იმას, რომ მთელი რიგი ძიებების შედეგად საბოლოოდ ჩერდება სუბიექტის წინაშე არსებული ამოცანის გადაწყვეტაზე“ (უზნაძე, 1977: 316).

ობიექტივაციის პროცესის გამოწვევა, ანუ სტერეოტიპული ქცევის რღვევა, შესაძლოა კომუნიკანტის მიზანს წარმოადგენდეს; გაცრეუბული მოლოდინის განცდა გარკვეულ ესთეტიკურ ეფექტს იწვევს და, როგორც ვიცით, ფართოდ გავრცელებული ხერხია მხატვრულ ლიტერატურაში, სახვით, კინოსა თუ თეატრალურ ხელოვნებაში. ასე მაგალითად, სტერეოტიპად ქცეული ცალკეული ჟანრის მახასიათებელთა კონფიგურაციის შეცვლა, უკვე კარგად ნაცნობ, ჟანრობრივ აზროვნებას ორგინალურ მსვლელობას მისცემს და შესაძლოა ახალი ჟანრობრივი სახეობის წარმოქმნის მიზეზი გახდეს; ეს უკანასკნელი დროთა განმავლობაში სტერეოტიპად იქცევა და კვლავ ობიექტივაციის პროცესია საჭირო, რომ უკვე კარგად ნაცნობი ქცევის საფუძველზე ახალი აღმოცენდეს. შეიძლება ითქვას, რომ ქცევის იმპულსური და გაშუალებული სახეობების დიალექტიკური მთლიანობა და მათი მონაცვლეობა ინდივიდის აზროვნებითი და სოციალური ევოლუციის განმაპირობებელი პირობაა:

„ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანმა, რომელიც სოციალურ არსებად იქცა, ამავე დროს თავის ინდივიდუალურ ცხოვრებაში რადიკალური გარდატეხის განხორციელების უნარი მოიპოვა, მისი იდეური შექერების, მისი ხელმეორედ განცდის უნარი. შეუჩერებელი დინების ნაცვლად მას შესაძლებლობა ეძლევა დააკვირდეს სინამდვილეს, როგორც რაღაც მოცემულსა და განმეორებადს. ამ გზით ადამიანი მიდის იქამდე, რომ იგი სამყაროს ჭერეტს, განიცდის მას

სიმშვიდისა და უძრაობის ასპექტში, როგორც რაღაც თავის თავის იდენტურს, განმეორებით აღქმისა და ზემოქმედებისათვის მისაწვდომს“ (უზნაძე, 1977: 309).

როგორც ცნობილია, ენას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა განწყობის თეორიაში. დიმიტრი უზნაძის თვალსაზრისით, იგი ჩვენი პიროვნული განწყობის ერთადერთი შიდა ფორმაა:

„ადამიანს მეტისმეტად გაუძნელებოდა იგივეობის ცნობიერების ფაქტის გამოყენება, რომ არ ყოფილიყო სიტყვა, რომელმაც აზრის ამ გადამწვევტი მონაპოვრის ფიქსირებით ადამიანს საშუალება მისცა აღადგინოს იგი ყოველ მოცემულ მომენტში. სიტყვა ჩვენ პრაქტიკულად შესაძლებლობას გვაძლევს ვისარგებლოთ იგივეობით საჭიროებისა და სურვილის მიხედვით“ (უზნაძე, 1977: 305).

ამგვარად, „აუცილებლობა სიტყვისა, რომელიც ადამიანთან ობიექტივაციის აქტის შედეგად და შემდეგ იდენტიფიკაციის საფუძველზე აღმოცენდება, საშუალებას გვაძლევს გავიგოთ როგორ უნდა გადაქცეულიყო ინდივიდუალური ადამიანის პერსონა სოციალურ ადამიანურ პიროვნებად“ (უზნაძე, 1977: 306).

ამრიგად, სიტყვა, მეტყველება გადამწვევტი მნიშვნელობისაა როგორც იმპულსური ქცევის, ასევე ობიექტივაციის პროცესის დროს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შემდეგი თვალსაზრისი:

„როცა ადამიანის ცნობიერებაში რომელიმე შესაძლებელი შინაარსი აღმოცენდება, იგი მასთან სიტყვის ფორმას იღებს და კავშირი სიტყვასა და მის შინაარსს შორის იმდენად მჭიდროა, რომ მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გააზრების შესაძლებლობა, შეიძლება ითქვას, სრულიად გამორიცხულია. ადამიანის ცნობიერებაში ისინი მჭიდრო განუყოფელი კავშირით არიან წარმოდგენილი“ (უზნაძე, 1977:305). აღნიშნული თვალსაზრისი გარკვეულწილად ეხმიანება კოგნიტიური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის – ჯ. ფილმორის შეხედულებას: „ცალკეულ სიტყვასთან მიმართებაში აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რომელი სცენის ან სცენათა ერთობლიობის აქტივაციას იწვევს ის“ (Fillmore, 1982: 91). რამდენადაც სიტყვასა და მის შინაარსს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, სიტყვის შინაარსი კი კონტექსტუალურ მიმართებებსაც გულისხმობს, ცალკეულმა სიტყვამ შესაძლოა იმპულსური ქცევის მექანიზმის ამოქმედება გამოიწვიოს, ანუ შეასრულოს იმ პირველადი სტიმულის როლი, რომელიც ადამიანის რიტუალიზებული ქცევის შემადგენელ აქტთა ჯაჭვს მოძრაობაში მოიყვანს. მეორე მხრივ, სიტყვის და საერთოდ ენის უჩვეულო, არაორდინარული გამოყენება ობიექტივაციის პროცესს გულისხმობს. ენის გამოყენების კრეატიული ასპექტი სწორედ ობიექტივაციის პრინციპს ეფუძნება. მაგალითად, ნაწყვეტში გალაკტიონის ლექსიდან:

ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, თმით – მიმოზებით.

ფრაზა „თმით მიმოზებით“ შთამბეჭდავ, მოულოდნელი შეხამების შემცველ ხატს შეიცავს და მკითხველში ობიექტივაციის პროცესს იწვევს; მკითხველი ენის შემოქმედებითი გამოყენების შედეგით ტკბება და თავად არის შემოქმედებითი ძიების პროცესში ჩართული (თავის წარმოსახვაში მან ასოციაციურად უნდა დააკავშიროს თმის ფაქტურა და მიმოზის ყვავილი, რათა გალაკტიონის მიერ შემოთავაზებული ხატის ინტერპრეტაცია შეძლოს).

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ცნებები „ენის გამოყენების შემოქმედებითი ასპექტი“, რომელიც ნ. ჩომსკისეული ლინგვისტიკის ბაზისური ცნებაა და „გაცრელებული მოლოდინის ეფექტი“ (Tannen, 1979), რომელიც ფრეიმულ სემანტიკასთან ასოცირდება, მეტი არაფერია, თუ არა დ. უზნაძის მიერ აღწერილი ქცევის ტიპი „ობიექტივაცია“.

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია, რომელიც გასული საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა კოგნიტიური მეცნიერების ერთ-ერთი, ფუძემდებლური ნაშრომია; განწყობის თეორიაში წარმოდგენილი პოსტულატები: თავად განწყობის ფენომენი, იმპულსური და საშუალებული ქცევის ტიპები, ადამიანის ქცევისათვის მახასიათებელი კრეატიული ასპექტი, ენისა და აზროვნების დია-

ლექტიკა და მათი მიმართება ქცევასთან და სხვ. – ეს ის საკითხებია, რომლებიც აქტიურად განიხილება კოგნიტოლოგიაში, განსაკუთრებით კოგნიტიურ ლინგვისტიკაში (კერძოდ, ფრეიმულ სემანტიკაში). თუმცა, აღნიშნულ სფეროში მომუშავე მეცნიერები, ხშირ შემთხვევაში, ველოსიპედს ხელახლა ქმნიან, ანუ დ. უზნაძის ნაშრომის მნიშვნელობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შეფასებული; კოგნიტიური პარადიგმის ბაზისური დებულებები, რომლებსაც განწყობის თეორია გვთავაზობს კოგნიტოლოგიის ისტორიაში, სამწუხაროდ, არ განიხილება.

გამოყენებული ლიტერატურა

- უზნაძე დ. შრომები, ტ. VI, თბილისი, „მეცნიერება“
- Anderson, St.R. Rev. on Johnson-Laird Ph.N. The Computer and the Mind. An introduction to cognitive science, Cambridge, 1988/ Language – vol.65, # 4
- Bartlett F. C. Remembering: A Study in Experimental and Social Psychology, Cambridge, CUP, 1932.
- Charniak E. ‘Organization and inference in a frame-like system of common-sense knowledge’, in (eds.) R.C. Schank and B.I.Nash-Webber, 1977.
- Fillmore Ch. I. Frame Semantics//Linguistics in the Morning Calm; Selected papers from SICOL, Seoul, 1982.
- Goffman, E., Frame Analysis, New York, Harper and Row, 1974..
- Hayes, P.J., The Logic of Frames, in (ed.) D. Metz, 1979.
- Ketchuashvili, G., Dimitri Uznadze, in: Prospects, UNESCO International Bureau of Education, vol. 24, no 3/4, Paris.
- Minski, M. A Framework for Representing Knowledge, in: (ed.) Winston, P. H., Psychology of Computer Vision, New York, McGraw-Hill, 1975.
- Sanford, A. J., Garrod, S. C., Understanding Written Language, Chichester, 1981,
- Schank R.C. Abelson R.P., Scripts, plans, goals and understanding: An inquiry into human knowledge structure, Hillsdale (N.J.), 1977.
- Tannen, D., What’s in a frame? Surface evidence for underlying expectations, in (ed.) R.O. Freedle, 1979.
- Кубрякова Е.С., Демьянков В.З., Панкрац Ю.Г., Лузина Л. Г., Краткий словарь когнитивных терминов, Москва, 1996.

NINO DARASELIA

DIMITRI UZNADZE’S PSYCHOLOGICAL THEORY OF SET FROM THE STANDPOINT OF COGNITIVE SCIENCE

Summary

The paper is an attempt to reveal the importance of Dimitri Uznadze’s (1886 – 1950) set theory (which is commonly viewed as a general theory of behavior) for the history of cognitive science.

As is known, D. Uznadze’s set theory (first developed in the 20s and 30s of the 20th c.) implies the unity of such fundamental categories as personality, behavior, consciousness and the unconscious. In his philosophical, educational and psychological works D. Uznadze stresses the dialectical unity between physical and psychological processes; he maintains that psychology can perform its explanatory mission properly only if the research is based on the idea that our consciousness is determined by social and historical factors; hence according to his definition the basic feature of mind is the reflection of reality and at the same time the capacity to produce suitable behavior on the basis of that reality. In his theory the relationship between psychological and physical processes is regulated by the principle of immediacy – physical processes being the direct cause of psychological ones; for instance, the set, (a conscious state of an individual’s readiness to perform a particular action) on the one hand, precedes an activity and, on the other, is the result of interaction of situational, motivational and operational factors. The notion of set implies both subjective (an individual’s need to perform a specific action) and objective (an actual situation in which the

need in question is realized) factors. Consequently, man's actions are rooted in his/her personality and his/her behavior is regulated by psychological processes.

The notion of set is closely tied with the two types of man's behavior singled out by D.Uznadze – impulsive and mediated or objectified.

The term impulsive behavior denotes reutilized, ritualized actions i.e. actions characteristic of stereotypical situations; impulsive behavior is a chain of interdependent acts, each signaling and stimulating the appearance of the next one, each creating in a person a state of readiness to perform a particular action. The specificity of impulsive behavior lies in its immediacy and sameness.

By contrast, the process of objectification can be associated with the creative aspect of man's behavior; this is a process during which the smoothness of impulsive behavior is interrupted by some kind of obstacle (the latter can occur accidentally or be created purposefully to achieve a certain goal, e.g.: an aesthetic effect) and an object is singled out and perceived afresh, anew.

Objectification implies the existence of impulsive behavior but not the other way round.

In his set theory D.Uznadze places special emphasis on the role of language; he considers it to be 'the only inner form of our personal disposition.' The feeling of 'identification or sameness' can hardly be achieved without words, since they imply the close link between meanings fixed in our memory and their corresponding structures; hence a word can serve as a stimulus and cause the emergence of a certain type of impulsive behavior or its creative use (i.e. objectification) can ascribe to it unusual, unexpected associations.

I argue that the above-discussed postulates of D.Uznadze's set theory have correspondences in different cognitive theories (developed in the 60s and 70s of the 20th c.) united under the general heading 'frame semantics' and this makes me conclude that the set theory developed by D.Uznadze can be regarded as the first sample of frame theory. Therefore, the theory in question should be regarded as an essential stage in the evolution of cognitive paradigm.

ნინო ქიმერიძე

**ტიქსტის სახეობა – კულტურით განპირობებული ენობრივი წარმონაქმნი
(ბერმანული და ქართული ტექსტის სახეობათა ანალიზის საფუძველზე)**

ტიქსტის ლინგვისტიკის ფარგლებში უკანასკნელ ხანებში ცალკე ქვემიმართულებად ყალიბდება ტექსტის სახეობათა ლინგვისტიკა. ტექსტის სახეობები ტექსტის ლინგვისტიკის ცენტრალური კატეგორიაა. ტექსტის სახეობათა ასეთი მნიშვნელობა და მათი მონაცემების კვლევებში აქტიურად ჩართვა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ისინი, როგორც პროტოტიპული და კულტურის სპეციფიკით განპირობებული ნიმუშები, არ გვხვდება მხოლოდ რომელიმე ერთ კონკრეტულ ენობრივ სივრცეში. ზოგადად ტექსტები ინდივიდუალური ენობრივი მოვლენებია, ერთგვარი „პაროლე სოსიურისეული გაგებით“ (ADAMZIK 2008:146), თუმცა ამ ინდივიდუალურ ენობრივ ერთეულებსაც აქვს მეტ-ნაკლებად მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები, რის მიხედვითაც ხდება მათი დაჯგუფება ტექსტის სხვადასხვა სახეობაში. ტექსტის სახეობების შესწავლა ტექსტში კონკრეტული კულტურის ტიპობრივი მახასიათებლების გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამ თვალსაზრისით ტექსტის სახეობები ერთდროულად შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კულტურის ერთგვარი არტეფაქტები და ინსტრუმენტები. უღა ფიქსი თვლის, რომ ტექსტის სახეობა არსებობს მხოლოდ მეტადონეზე, როცა განიხილავენ ტექსტს. მკვლევარი ასევე მიიჩნევს, რომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ სპეციფიკური ერთი ან რამდენიმე კულტურის ფარგლებში შექმნილი ტექსტის სახეობები (FIX 2008:119). ამრიგად, ტექსტის სახეობა იქმნება ერთი რომელიმე კულტურის საზღვრებში, თავის მხრივ, ქმნის კულტურას და, ამავდროულად, ინარჩუნებს მას. ფლორიან კულმასი (COULMAS 1979:24) კულტურას „ცხოვრების ორგანიზების ფორმას“ უწოდებს და ერთგვარ საკომუნიკაციო კომპეტენციის მსგავს ფენომენად წარმოგიდგენს. ენობრივ-საკომუნიკაციო კომპეტენციის მქონე არასისტემატურ ელემენტებად განიხილავს კირსტენ ადამიკი ტექსტის სახეობებს (ADAMŽIK 1995: 28), რომლებშიც ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება და რუტინა აისახება, შესაბამისად – კულტურაც. გამოძინარე იქიდან, რომ ტექსტის სახეობები ცალკეული ენის სპეციფიკას ასახავენ, სხვადასხვა ენაზე წარმოქმნილ ერთ კონკრეტულ ტექსტის სახეობაშიც კი შესაძლებელია წარმოჩნდეს სხვაობა განსხვავებული კულტურის ფონზე. თუმცა ისიც დასაშვებია, რომ შესაძლოა ტექსტის სახეობამ განიცადოს მოდიფიკაცია გარკვეული ნიშნით ან კულტურათა სხვაობამ გამოიწვიოს ტექსტის სახეობის არარსებობა ტექსტის სახეობათა რეგისტრში.

გასული საუკუნის დასასრულს არაერთი მკვლევარი მსჯელობდა ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც ინტერდისციპლინური სამეცნიერო დისციპლინის, შესახებ. რობერტ ალან დე ბოგრანდი მას განიხილავს როგორც მეცნიერებას ტექსტის შესახებ, რომელიც სამი განსხვავებული პერსპექტივით ვლინდება კვლევის პროცესში: ლინგვისტურით, კოგნიტურითა და სოციალურით (BEAUGRANDE 1997:9). უღა ფიქსი სოციალურ პერსპექტივაში უწინარესად ტექსტში მოქმედ კულტურალურობის კრიტერიუმს გულისხმობს (FIX 2008:103). ცალკეულ ტექსტის სახეობაში ეს ფაქტორი გარკვეულ კვალს ტოვებს და, შესაბამისად, უკანასკნელ პერიოდში ტექსტის ლინგვისტიკაში არის მსჯელობა, რომ ტექსტუალობის შვიდ კრიტერიუმს აუცილებლად უნდა დაერთოს კულტურალურობის მერვე კრიტერიუმი (იქვე, 134), რასაც კიდევ უფრო ამყარებს ჰერმანსის მიერ განმარტებული კულტურის ცნება, სადაც ცალსახად ფიგურირებს ტექსტის სახეობა, რომლის მეშვეობითაც ავტორი აყალიბებს კულტურის განმარტებას და დასძენს, რომ: „კულტურები ერთურთისაგან განსხვავდებიან როგორც მის სივრცეში არსებული ტექსტის სახეობებით, ასევე ამა თუ იმ კულტურისათვის მისაღები გამოსატვის ფორმებით“ (HERMANNNS 2003:369).

ყოველდღიურობა, სადაც ადამიანს უწევს ქმედება, არ არის დახურული, ის მუდმივად განიცდის ცვლილებას. იმისათვის, რომ ადამიანებმა მოახერხონ თანაცხოვრება, თანადგაწევა, ისინი ცდილობენ გახდნენ საზოგადოების, კულტურის ნაწილი. ამ პროცესებში ტექსტის სახეობას, რომლითაც ადამიანები ოპერირებენ, ქმედების საშუალების უმნიშვნელოვანესი სტატუსი ენიჭება. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჰარისი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ენის მანიფესტაცია ხდება არა ცალკეულ სიტყვებსა და წინადადებებში, არამედ ბმულ ტექსტებში (HARRIS 1952). შესაბამისად, ტექსტის სახეობა არის ენობრივი ქმედების ის საშუალება, რომელიც გარკვეულ კონტექსტში ივსება კულტურით, გარდა ამისა ნიშანდებულია ამ უკანასკნელით და შემდეგ მისი მანიფესტირება ხდება გარკვეულ საკომუნიკაციო სივრცეში.

შეპირისპირებითი კვლევები ენის სხვადასხვა დონეზე ხშირია. მსგავსი ელემენტების შედარება ხდება როგორც მორფოლოგიის, ისე სინტაქსის დონეზე. არცთუ იშვიათად მიმართავენ ტექსტის დონეზე შედარებით ანალიზს. ჩვენ გვქონდა საშუალება მსგავსი სამუშაო მოგვესინჯა ლიტერატურული ტექსტის შემთხვევაში, როცა ერთმანეთს შევადარეთ ქართული და გერმანული „ანბანთქების“ ტექსტები. უნდა აღინიშნოს ულა ფიქსის მოსაზრება ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების თაობაზე, რომელიც აღნიშნავდა, რომ ამ ტექსტების განხილვა შეუძლებელია, როგორც ძირეულად განსხვავებული ერთეულებისა, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ერთსა და იმავე კულტურათა არტეფაქტებს, შესაბამისად, მათ აქვთ მსგავსი სტატუსი. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ არიან გარკვეული სპეციფიკის მქონენი. ტექსტის სახეობები, როგორც ასეთი, გვხვდება მხოლოდ მეტადონეზე, როცა ვმსჯელობთ ტექსტებზე. სინამდვილეში, მეტყველების პროცესში მუდმივად გვხვდება მხოლოდ სპეციფიკური, ერთი ან რამდენიმე კულტურით მარკირებული ტექსტის სახეობა (FIX 2008:112).

ამჯერად, საანალიზო კორპუსი მოიცავს არა მხოლოდ ქართულ და გერმანულ არალიტერატურულ ტექსტებს, არამედ შევეცადეთ მსგავსი ანალიზი ჩავატარებინა გერმანული ენის საერთო სტანდარტის ფარგლებში. ერთი მხრივ, ანალიზის ობიექტი გახდა გერმანული ენის შიდა სტანდარტზე შექმნილი, ხოლო, მეორე მხრივ, ავსტრიულ სტანდარტებზე შესრულებული მსგავსი ტექსტის სახეობა. ფაქტობრივად, ეს ტექსტები ორივე გერმანულ ენაზეა, თუმც მათ შორის სტანდარტული განსხვავება ენობრივი იერარქიის გარკვეულ დონეებზე ცალკეულ განსხვავებებს იძლევა. საკვლევი კორპუსის ანალიზის საფუძველზე ასევე მნიშვნელოვანი იყო ტექსტის სახეობის შიგნით არსებულ სხვაობათა და მსგავსებათა დადგენა, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებული უნდა ყოფილიყო კულტურათა თვითმყოფადობით.

ტექსტის სახეობათა შედარებისას დგება საკვლევი მასალის კომპლექსური მულტიფუნქციონალური ანალიზის საკითხი. *Tertium comparationis*-ის თავის მხრივ გულისხმობს გარკვეული ტექსტური კატეგორიების შერჩევას და საკვლევ კორპუსზე მისადაგებას. გარკვეული მოსაზრებით შეირჩა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გერმანული, ავსტრიული და ქართული ისტორიული დოკუმენტები და სიგელები. კერძოდ, 1875 წლის 27 მაისს ბერლინში პრუსიის მეფე ვილჰელმის მიერ ხელმოწერილი და გრაფ გეორგ მენგდენის სახელზე გაცემული სიგელი, ამავე გვარის წარმომადგენლის, ერნსტ რაინჰოლდ ფონ მენგდენისადმი 1774 წლის 22 ივნისს ავსტრიის იმპერატორ იოზეფ II-ს სიგელი და ქართული წყალობისა (გაცემული ერეკლე მეორის მიერ) და საგვარეულო (მეფე გიორგი IX-ის მიერ 1458 წლის აგვისტოს ხელმოწერილი გამყრელიძეების საგვარეულო სიგელი) სიგელები.

სანამ უშუალოდ საკვლევი კორპუსის შედარებას შევუდგებოდეთ, მცირე განმარტება უნდა გაკეთდეს გერმანულ და ავსტრიულ ენობრივ ნაირსახეობათა (Sprachvarietäten) სტანდარტიზაციის შესახებ. საერთო ენის ფარგლებში სტანდარტიზაციის საკითხი გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებს და, კერძოდ კი, ავსტრალიელ გერმანისტ მიხეილ კლინს უკავშირდება, რომლის თეორია მოგვიანებით აგრეთვე გაზიარებულ იქნა ამ საკითხზე მომუშავე დარგის სპეციალისტთა მიერ (მათ შორისაა ულრიხ ამონი 1995, პეტერ ვიზინგერი 1988). თუმცა პირველი მცდელობა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იყო, გამოცემულიყო ავსტრიციზმების ლექსიკონი, სადაც, რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, ავსტრიციზმები არ იყო აქტიურად წარმოდგენილი.

ავსტრიის „ანშლუსმა“ დიდხანს შეაჩერა ავსტრიაში გერმანული ენის სტანდარტიზაციის საკითხი. ავსტრიელთა ე.წ. არასრულფასოვნების კომპლექსს საკუთარი სტანდარტული ენის მიმართ ისტორიულად გარკვეული საფუძველი ჰქონდა. 1774 წელს ავსტრიის იმპერატორი მარია ტერეზია შლეზიელ ავგუსტინელ აბატ ფელბიგერს ავალებს საყოველთაო სასკოლო რეფორმის გატარებას, რაც გულისხმობდა გერმანული ენის ინტენსიური კურსის დამკვიდრებას სკოლებში. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავდა „ერთოგრაფიულად მართებულ წერას და, შესაბამისად, წერილობით გაფორმებას (*orthographisch richtig zu schreiben und sich angemessen schriftlich auszudrücken*)“ (WIESINGER 1988: 15). საბოლოო ჯამში ამით ავსტრიული გერმანულის დაახლოება ხდება გერმანული ენის შიდა სტანდარტთან, ანუ იწყება ავსტრიაში სახელმწიფო ენის „ავსტრიციზმებისაგან დაწმენდის პერიოდი“ და მისი დაახლოება შიდაგერმანულ სტანდარტთან. ეს ნაბიჯი ავსტრიისათვის პოლიტიკურად მომგებიანი იყო, ის ხდებოდა საერთო გერმანული სივრცის წევრი. ეს პროცესები არ იყო მხოლოდ საიმპერატორო კარის უბრალო „ახირება“. ავსტრიას ჰყავდა პოლიტიკურად საკმაოდ დაწინაურებული მეზობელი პრუსიის იმპერია, რომელთანაც ის ხშირად იძულებული იყო შესულიყო სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში. ამდენად, ენობრივი პოლიტიკა საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის კურსს ემთხვევა.

თუ გადავამოწმებთ წინამდებარე ავსტრიული სიგელის თარიღს, შეუმჩნეველი არ დარჩება, რომ ტექსტი შედგენილია ე.წ. სასკოლო რეფორმამდე. შესაბამისად, მასში უნდა ფიქსირდებოდეს ენობრივ დონეზე გადახრა საერთო შიდასტანდარტული გერმანულიდან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, გარდა სტანდარტული განსხვავებისა, თავის მხრივ ტექსტის სახეობები, რომელთაც ქვევით განვიხილავთ, თავისთავად განეკუთვნებიან ნებისმიერ შიდასტანდარტში მოქმედ ენობრივ ვარიანტებს, კერძოდ კი, დარგობრივი ტექსტის სახეობებს, რასაც ხაზგასმით ადასტურებს ჰელმუტ ჰენეს მიერ აღწერილი ენის სტანდარტული მოდელი, რომელშიც ავტორი სტანდარტულ გერმანულ ენას, როგორც ენის მოქმედ ფორმას, არაერთი ენობრივი ვარიანტის წყაროდ მიიჩნევს. ის გერმანელი ერის კულტურის, პოლიტიკური ისტორიისა და ყოფის მატარებელია (HENNE 1986:218). იგი მკაცრად სტრუქტურირებულია და მასში აისახება ამ ენის მატარებელი საზოგადოების აღქმა და გამოცდილება, აზროვნების ყაიდა და ცოდნა, ემოციები. ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით ენობრივ სტანდარტს საკმაოდ მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ენის მატარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა არ საუბრობს სტანდარტით მიღებული ყველა ნორმის დაცვით. შესაბამისად, იქმნება სტანდარტის შიგნით მოქმედი ენის ვარიანტები. ხოლო, რაც შეეხება ერთი ენის ფარგლებში მოქმედ შიდა და გარეენობრივ სტანდარტებს, რაც გერმანული ენის შემთხვევაში უდაოდ ფიქსირდება, ისინი კიდევ უფრო აფართოებენ ვარიანტების სპექტრს. სავარაუდოა, რომ, მიუხედავად ერთი საერთო ენობრივი სტანდარტისა, დარგობრივი ტექსტის სახეობის ვარიაცია შესაძლოა შიდა და გარეენობრივი სტანდარტის ფარგლებში გარკვეული სახეცვლილებით დაფიქსირდეს, რაც მნიშვნელოვანწილად გარეენობრივი სტანდარტის ფარგლებში არსებული კულტურის განსხვავებულობით უნდა აიხსნას.

ენობრივი სტანდარტი და დარგობრივი ტექსტის სახეობა. საანალიზოდ წარმოდგენილი კორპუსი მიეკუთვნება არალიტერატურული ტექსტის სახეობებს, კერძოდ, ისინი სამართლებრივი ტექსტებია. ტექსტის ეს სახეობა დარგობრივი ტექსტების ჯგუფს მიეკუთვნება. ისინი კომპლექსური ენობრივი ერთეულებია: „ერთი მხრივ ამ შემთხვევაში წინ წამოიწევეს სოციალური, თემატური და სიტუაციური ფაქტორები, ხოლო – მეორე მხრივ, ტექსტის სტრუქტურული, სტილისტური და ფორმალური ნიშნები“ (BAUMANN 1992: 9).

სამართლებრივი დარგობრივი ტექსტები გერმანიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში გვხვდება, თუმცა პირველი სამართლებრივი დარგობრივი ტექსტების წერილობითი ენა ლათინურია. რაც შეეხება გერმანულენოვან სამართლებრივ ტექსტებს, ისინი მეცამეტე საუკუნეში ფიქსირდება. მათ შორის არის არაერთი საკანცელარიო-სამართლებრივი აქტი თუ სხვადასხვა თემატიკის მქონე სიგელი. ამ სფეროში რეფორმები კი უშუალოდ უკავშირდება 1794 წელს პრუსიაში გამოცემულ ზოგადსამართლებრივ ნორმებს (Preußisches Allgemeines Landrecht),

რამაც იმთავითვე იმ იურისტთა უკმაყოფილება გამოიწვია, რომლებიც დარგობრივი კომუნიკაციისას ტრადიციულად ლათინურს იყენებდნენ. ამრიგად, წინამდებარე საანალიზო ტექსტები გარკვეულ ინსტიტუციონალურ სივრცეში შექმნილი დარგობრივი ტექსტებია, რომელთაც ჰყავს კონკრეტული ადრესანტები – პრუსიის მეფე ვილჰელმი და ავსტრიის იმპერატორი იოზეფ მეორე. ქართულ სიგელს ხელს აწერს მეფე გიორგი მეცხრე და ერეკლე მეორე. სამივე შემთხვევაში ტექსტის ავტორი სახელმწიფოს პირველი პირია. ტექსტშივე ვხვდებით კონკრეტულ ადრესატს, ხოლო თუ საქმე ეხება სასისხლო ანუ საგვარეულო სიგელს, მაშინ ადრესატი რამდენიმე თაობას ითვლის. სახელით მოიხსენიება კონკრეტული პირი, ვიზეც უშუალოდ გაიცა სიგელი, ხოლო ზოგადად სახელდება მისი შთამომავალი. კონკრეტულად:

პრუსიული სიგელი წყალობის სიგელია და აქ მოიხსენიება მხოლოდ კონკრეტული პირი, გრაფი გეორგ მენგდენი ‘dem Kaiserlich Russischen Obersten und Flügel=Adjutanten Seiner Majestät des Kaisers, Grafen Georg Mengden’, განკარგულების ავტორია იმპერატორი ვილჰელმი ‘Wir Wilhelm, von Gottes Gnaden König von Preußen etc’; ანალოგიურ ქართულ წყალობის სიგელში წყალობის გამცემი, ამ შემთხვევაში კი მეფე მოიხსენიება თანამეცხედრესთან და ტახტის მემკვიდრებთან ერთად სახელობითად „მეფემან... მეორემან ირაკლიმ და თანამეცხედრემ ჩვენმან, ბატონის დადიანის ასულმან, დედოფალმან დარეჯანმა, პირმშომან...“; ასევე მხოლოდ წყალობის მიმღები და მოაჯე სახელდება პერსონალურად „საამის შვილს ზაალს“.

ავსტრიული ტექსტი საგვარეულო სისხლის სიგელია: ადრესანტი იმპერატორი იოზეფ მეორე – “Der Joseph der Andere von Gottes Gnaden... Bekennen für uns und Unsere Nachkommen”, ხოლო ადრესატი ‘der **Ernst Reinhold Freyherr von Mengden Landrath** [.....] daß ernannte **Ernst Reinhold Freyherr von Mengden**, dessen eheliche Leibeserben und Nachkommen absteigenden Stammes, Mann= und Frauens= Personen, für und für, Unsere und des **Heiligen Römischen Reichs Grafen und Gräfinnen, Herren und Frauen** seyn, sich also nennen und schreiben, von Uns und Unseren Nachkommen am **Heiligen Römischen Reich**’, **ქართული ტექსტის** მიხედვით ავტორი – „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფე გიორგისაგან... და მოგვახსენეს ჩვენ და თანამეცხედრესა ჩვენსა პატრონსა დედუფალთ-დედუფალსა ნესტან-დარეჯანსა და ძესა ჩვენსა ალექსანდრეს“, ხოლო ობიექტი: „მოვიდეს წინაშე ჩვენსა... დიდად მომჭირნენი გამყრელიძესა შალვა და შვილი ინდუა და მამისა, გვეაჯეს...“. ორივე სასისხლო სიგელში პირები, რომლებზეც გაიცემა სიგელი, არიან უშუალო ადრესატები, თუმცა ამავე ტექსტებში ვხვდებით არაპირდაპირ ადრესატებსაც, რომელთაც ასევე მიმართავს ავტორი. ესენი არიან ინსტიტუციური მოხელეები, მათ უნდა ხელმოწერით დაადასტურონ ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი. ხელმოწერის შემდეგ ძალაში შედის ზემოხსენებული სიგელი. ამ პირთა შორის სახელდება როგორც ერისკაცნი, ისე სასულიერო პირები:

ავსტრიული სიგელი: “Bebieten und befehlen demnach hiemit den Erzbischöffen zu Maynz, Trier und Köln, als Unseren und des Heiligen Römischen Reichs Kurfürsten und Erzkanzlern, durch Germanien, Gallien, das Königreich Arelat und Italien, auch allen anderen Unseren Kanzlern, Kanzley Verwaltern, und Secretarien gegenwärtigen und künftigen“

ქართული სიგელი: „აფხაზეთის კათალიკოზო, ქუთაისის ქუთათელო და წინამძღვარო, მოძღვარო, ოდიშის ჭყონდიდელო, ბედიელო, მოქველო, ცაგარელო, ქართლის კათალიკოზო, სამცხის [...] თქვენც **დაუმტკიცებთ**“

თუმცა ქართულ ვერსიაში სახელდება არა ზოგადად მოხელეები, ერისკაცნი და სასულიერო თანამდებობის პირები, რაც ნაკლები სიზუსტითაა მოცემული ავსტრიულ სიგელში, არამედ ამ შემთხვევაში კონკრეტდება თითოეული საცელო და ეპარქია, სათავადო და სახელმწიფოებრივი იერარქია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, – ქართულ ტექსტის მიხედვით სავაზირო უმტკიცებს სახელმწიფოს პირველ პირს წარმოდგენილ პროექტს, ანუ საბოლოო ინსტანცია სიგელმა უნდა გაიაროს სავაზიროში, რომელიც ერთგვარად თანამედროვე მინისტრთა კაბინეტის წინაპარია. ხოლო ავსტრიულ სიგელში სამართლებრივი დოკუმენტი უნდა აღიაროს საღვთო რომის

იმპერიის ყველა ქვეშევრდომმა. ხოლო პრუსიული ანალოგიური ტექსტის დასასრულს ხელმოწერით იმპერატორი ადასტურებს სამართლებრივი წყაროს ნამდვილობას და არ ითხოვს ამ დოკუმენტის არც დამტკიცებას და არც ვინმესგან აღიარებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, რაც უფრო გვიანდელია ქართული სიგელები, მით უფრო ზოგადად სახელდება ირიბი ადრესატი, ისიც მხოლოდ მოხელეები. შესაბამისად, ერეკლე მეორის მიერ გაცემულ წყალობის სიგელში მოხსენიებულია „კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვეზირხო და მდივანო“.

წყალობის სიგელებისაგან პრინციპულად განსხვავდება სასისხლო სიგელები, სადაც ერისკაცთა გვერდით სასულიერო პირებიც მოიხსენიება. სასისხლო სიგელი ერთგვარ სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს შუასაუკუნეებში, სადაც ინფორმაცია გვეძლევა კონკრეტული გვარის შესახებ. რაც უფრო ძველია ამ ტიპის ქართული სიგელები, მით უფრო დეტალურად და თანაუცილებელი იერარქიის დაცვით ხდება სასულიერო პირთა მოხსენიება ერისკაცთა გვერდით. გვიანდელ პერიოდში მსგავსი სამართლებრივი ძეგლები მცირდება, ვინაიდან ფეოდალური ურთიერთობები უკვე ჩამოყალიბებულია, რაც შეეხება ევროპულ სასისხლო სიგელებს, მასში ტექსტის შედგენისას პერსონიფიკაცია არ ხდება, მაგრამ ზოგადად მაინც მოიხსენიება როგორც მნიშვნელოვანი ერისკაცნი, ისე სასულიერო პირები.

ფუნქციური თვალსაზრისით, როგორც მოსალოდნელი იყო ამ ტექსტების ილოკუციური სტრუქტურა ასე გამოიყურება: ტექსტში მოქედებს რამდენიმე ფუნქცია, კერძოდ: ინფორმაციული, არგუმენტაციული, დეკლარაციული და ნაწილობრივ ექსპლიკაციური და აპელაციური. შესაბამისად, ფუნქციათა გადანაწილება ზემოხსენებულ ტექსტებში ასეთ სახეს იღებს:

წყალობის სიგელები. პრუსიული: დეკლარაციული ფუნქცია, რომელიც გამოიხატება პრედიკატი “Wir haben [...] verliehen.[...]”. თუმცა ტექსტში იმპლიციტურად ჩადებულია და ინტერპრეტაციის საფუძველზე იკითხება ასევე არგუმენტაციული ფუნქცია. ორდენის გაცემის საფუძველი გახდა გრაფ მენგდენის საზოგადოებრივი მოღვაწეობა და სამხედრო დამსახურება პრუსიის იმპერიის წინაშე, რაც ვერბალურად მხოლოდ აღნიშნული პირის ტიტულატურისა და თანამდებობების დასახელებით შემოიფარგლება, ანუ გვაქვს სახელადი ფორმები და შესაბამისი პრედიკატი მხოლოდ იგულისხმება: “dem Kaiserlich Russischen Obersten und Flügel=Adjutanten Seiner Majestät des Kaisers, Grafen Georg Mengden, Kommandeur des Husaren=Regiments „Baltijssk“ N12”.

ქართული წყალობის სიგელი: ტექსტში დომინანტურია დეკლარაციულ-არგუმენტაციული ფუნქცია, გამოხატული პრედიკატებით „შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ“. არგუმენტაციული ფუნქცია გადმოიცემა სახელადი ჯგუფით, რომელიც ატარებს ემოციურ ელფერს, რაც ზოგადად ქართული სამართლებრივი ძეგლების კულტურულ-სპეციფიკური მახასიათებელია: „ჩვენს დიდად ერთგულს და წესისამებრ მრავალრიგად თავდადებით ნამსახურს ყმასა...“. პრუსიულ ტექსტში არათუ ემოციური დატვირთვით შეფერილი არგუმენტი არ არის, არამედ არგუმენტიც იმპლიციტურად იკითხება. თითქოს პრუსიის საიმპერატორო კარი არც კი თვლის სავალდებულოდ დაასახელოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი.

ტექსტში დამატებით ფუნქციად უნდა დავასახელოდ აპელაციური ფუნქცია, გადმოცემული შემდეგი პრედიკატებით: „აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეჟილ-ვაზირხო და მდივანო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ წყალობა ესე ჩვენგან ქმნილი და ნურავინ შლად კელჰყოფ...“. მსგავსი ეპიზოდი არ არის პრუსიულ სიგელში. ქართულ ტექსტში გარკვეულ ეპიზოდში ასევე დამატებით ფუნქციად შესაძლოა დასახელდეს ინფორმაციული ფუნქცია, რითაც ობიექტის დინამიკურობა გამოიხატება: „მოგვიდევ კარსა დარბაზისა ჩვენისასა და მამის შენის საჯელოს, ყორიასაულბაშის, წყალობას დაგვეაჯე“.

სასისხლო სიგელები. სასისხლო სიგელები იმთავითვე თემატურად განსხვავდება წყალობის სიგელებისაგან. მაგრამ ფუნქციური თვალსაზრისით ძირითადი ფუნქციები ამ ტექსტის სახეობებში მსგავსია.

ავსტრიული სიგელი: ავსტრიულ ტექსტში წამყვანი ფუნქციაა დეკლარაციული ფუნქცია, გადმოცემული შემდეგი პრედიკატებით: “Bekennen für uns und Unsere Nachkommen/verliehen werden“, რომელსაც დამატებით ტექსტის ბოლოს დაერთვის შემავსებელი ფუნქციების სახით აპე-

ლაციური – “Bebiethen und befehlen.../erkennen, sie also dafür achten, würdigen, ehren, nennen”, აგრეთვე არგუმენტაციული, ექსპლიკაციური და, გარკვეულ ეპიზოდებში, ექსპრესიული ფუნქციაც კი, ისევე როგორც ქართულ ტექსტში. საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი ტექსტის არგუმენტაციული ნაწილი, სადაც, განსხვავებით ქართული ტექსტისა, გვარის დაწინაურებას საფუძვლად უდევს 4 თაობის დამსახურება ქვეყნის წინაშე. დიდი ადგილი ეთმობა ექსპლიკაციურ ფუნქციას ტექსტის იმ მონაკვეთში, სადაც დეტალურადაა აღწერილი სიგელზე თანდართული საგრაფო გერბის ცალკეული ელემენტი. რაც შეეხება ექსპრესიულ ფუნქციას, მისი გამოხატვა ხერხდება ცალკეული ლექსიკური ერთეულების მეშვეობით “*vortrefliche Thaten und Geschichtlichkeit, (III) edles Gemüth, vorzügliche Eigenschaften, wie auch getreue*”, როდესაც ტექსტში გადმოცემულია კეთილშობილი და ქვეყნისთვის დედაწლმოსილი გვარის დამსახურება.

ქართულ სიგელში მკაცრად გამოკვეთილი დეკლარაციული ფუნქციაა, არგუმენტაციულის პარალელურად. დამატებით ფუნქციებში ასევე ფიქსირდება აპელაციური ფუნქცია და ნაკლებად გამოხატული ექსპლიკაციური და ექსპრესიული ფუნქციები. მეთხუთმეტე საუკუნის ქართულ სასისხლო სიგელში მეფე ისევე მოითხოვს სავაზიროსგან თავისი ბრძანების დამტკიცებას, როგორც მოგვიანებით ერეკლე მეორის მიერ ხელმოწერილ წყალობის სიგელში, თუმცა სასულიერო პირები ამ სასისხლო სიგელში იერარქიის მიხედვით თითქმის სრულად არიან წარმოდგენილი, რაც ჯერ კიდევ ადასტურებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობას.

ტექსტის კომპოზიცია. გლობალური მაკროსტრუქტურა ტექსტში ყალიბდება ერთი მხრივ ფორმალურად – ენობრივ და სემიოტიკურ ნიშანთა კოჰეზიისა და ფუნქციონალურად – კოჰერენტულობის მიღწევით. ეს ზოგადი დებულება ვრცელდება დარგობრივ ტექსტებზე. თუმცა მაკროსტრუქტურის ჩამოყალიბების სრულიად ერთიანი პრინციპი არ დაფიქსირდა ჩვენი საკვლევი ტექსტების ანალიზის შედეგების მიხედვით.

პრუსიული სიგელი შედგება შემდეგი სტრუქტურული ელემენტებისაგან:

- ადრესანტი/ავტორი
- ადრესატი
- ცენტრალური ტექსტი
- თარიღი
- ხელმოწერა

ქართული წყალობის სიგელი კიდევ უფრო ინფორმატულია, რაც სტრუქტურული ელემენტების სიმრავლეშიც აისახა:

- მოხსენიებულია ქრისტე
- ადრესანტი და გვირგვინოსანის სახელი
- ადრესატი
- ცენტრალური ტექსტი
 - გადაწყვეტილება
 - არგუმენტაცია
 - კომუნიკანტთა შემდგომი ურთიერთობების პირობები
- მიმართვა საეზიროსადმი
- მდივანმწიგნობრის დასტური ხელმოწერით
- თარიღი

სასისხლო სიგელები მაკროსტრუქტურული ფორმატით განსხვავდება წყალობის სიგელების შესაბამისი მონაცემებისაგან. ქართულ და ავსტრიულ სიგელთა მაკროსტრუქტურებს შორის მკვეთრი განსხვავება არ დადასტურდა:

ავსტრიული სიგელი:

- ადრესანტი და გვირგვინოსნის სახელი
- ადრესატი

- ცენტრალური ტექსტი
 - არგუმენტაცია
 - გადაწყვეტილება
 - ჰერალდიკა
 - კომუნიკანტთა შემდგომი ურთიერთობების პირობები
- მიმართვა ქვემდგომი ინსტანციებისადმი
- მიმართვა ქვეშევრდომთა მიმართ
- ადრესანტის ხელმოწერა
- თარიღი

ქართული სიგელი:

- თარიღი
- მოხსენიებულია ქრისტე
- ადრესანტი და გვირგვინოსნის სახელი
- ადრესატი
- ცენტრალური ტექსტი
 - არგუმენტაცია
 - გადაწყვეტილება
 - კომუნიკანტთა შემდგომი ურთიერთობების პირობები
- მდივან-მწიგნობრის ხელმოწერა
- მიმართვა სავაზიროს და ქვეშევრდომთა მიმართ
- ადრესანტის ხელმოწერა

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ევროპული სამართლებრივი დოკუმენტის კიდევ ერთი თავისებურება, კერძოდ, ვერბალურ ტექსტს ერთვის საგვარეულო გერბი, რომლის დეტალური აღწერილობა და ცალკეული ფრაგმენტის განმარტება ტექსტშია ჩართული. როგორც ვხედავთ, შედარებული ტექსტების კორპუსის მონაცემების მიხედვით განსაკუთრებული სხვაობა მაკროსტრუქტურის ფარგლებში არ ყოფილა. ყველა არსებითი შემადგენელი სემანტი სახეზეა; მცირედი სხვაობა, რაც ტექსტებმა აჩვენეს, ეს იყო ევროპულ სიგელებში დამატებით ჰერალდიკური მონაცემების გაჩენა. ქართულ ტექსტებში არ დასტურდება ტექსტის შედგენის ადგილი, ძირითად კორპუსს დაერთვის დამატებით ინსტიტუცია სავაზიროს სახით. რაც შეეხება კონკრეტულად პრუსიულ სიგელს, მისი მაკროსტრუქტურა უკიდურესად გამარტივებულია. ყველა ეს განსხვავება განპირობებულია ზემოხსენებული ტექსტების პროდუცირებით განსხვავებულ კულტურულ სივრცეში.

ტექსტის ლინგვისტური თავისებურებისათვის. ჩვენ წინაშეა ერთსა და იმავე ენაზე შესრულებული ორი ტექსტი. აქვე მნიშვნელოვანია დავსძინოთ, რომ ერთი მათგანი შესრულებულია გერმანული ენის შიდა სტანდარტზე, ხოლო მეორე არის გერმანული ენის ავსტრიული სტანდარტი. თუ თარიღების მიხედვით ვიმსჯელებთ, ავსტრიულში ჯერ კიდევ არის მცდელობა, რომ ადგილობრივი გერმანულის დაახლოება მოხდეს შიდაგერმანულ სტანდარტთან. მაშასადამე, ენობრივი თვალსაზრისით ტექსტებში რაიმე განსაკუთრებული სხვაობა არ უნდა დაფიქსირდეს.

პრუსიული სიგელი. ტექსტი შედგება ერთი რთული წინადადებისაგან, დაწერილია მრავლობითი რიცხვის პირველ პირში, რაც გულისხმობს *პრუსია და მეფე ვილჰელმი*. მეფის სახელს თან ახლავს დასავლეთში აბსოლუტიზმის პერიოდში დამკვიდრებული მიმართვის ფორმა “Gottes Gnaden”, ხოლო, როგორც კი ფოკუსში ექცევა უშუალოდ მეფე, მიმართვის ფორმაში „მისი უმაღლესობა“ იცვლება კუთვნილებითი ნაცვალსახელით და გვაქვს მესამე პირის ფორმა, ჩაწერილი მაიუსკულით. რთული წინადადების პირველ ნაწილში, რომელიც დროში უსწრებს მომდევნოს, შემასმენელი წარმოდგენილია პერფექტის ფორმით, სადაც საუბარია გრაფ მენგდენის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოებაზე, ხოლო მომდევნო წინადადებაში შემასმენელი პრეზენტის

ფორმითაა და მასში დასტურდება ამავე პირისთვის რწმუნების სიგელის გადაცემა. ტექსტში გვაქვს გამეორება პროფორმებით. ტექსტი მინიმალური ზომისაა, შესრულებული საკანცელარიო ნორმების მაქსიმალური დაცვით.

ავსტრიული სიგელი. ტექსტის კომპოზიცია ზედმიწევნით ასახავს ამ იურიდიული დოკუმენტის შინაარსს. განსხვავებით პრუსიული სიგელისაგან, ავსტრიული ტექსტი რამდენიმე სეგმენტისაგან შედგება. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ სეგმენტში სახელდება ავსტრიის იმპერატორი იოზეფ მეორე თავისი ტიტულატურით, მასთან ერთად მოხსენიებულია აგრეთვე რეგენტი და ტახტის მემკვიდრე. ქართული ტექსტებისაგან განსხვავებით, ტექსტში არაფერია ნათქვამი იმპერატორის თანამეცხედრეზე. იმპერატორი მოიხსენიება შემდეგი ფორმით: “Der Ioseph der Andere”, რიგობით სახელს აქ ანაცვლებს პარაფრაზირებული აღწერილობითი ვერსია. მთელი ტექსტი ჩაწერილია აგრეთვე მრავლობითი რიცხვის პირველ პირში. პირი, რომელსაც ეკუთვნის სიგელი, ტექსტში პირველად პროფორმებით შემოდის და პროფორმები კატაფორული მიმართებით უკავშირდება ტექსტის შემდეგ სეგმენტში საკუთარ სახელით მოხსენიებულ სიგელის მფლობელს. პროფორმათა გამეორების სქემა ასე გამოიყურება:

den wohlverdienten => denselben Namen => der **Ernst Reinhold Freyherr von Mengden** Landrath des Herzogthums Liefland => welche => dessen => **Ernst Reinhold** => ihm => welch => er => ihm **Ernst Reinhold Freyherrn von Mengden** => ihn => ihnen => **Ernst Reinhold Freyherr von Mengden** => obgedachten **Ernst Reinhold des Heiligen Römischen Reichs Grafen von Mengden etc.**

ის, რომ გრაფი მენგდენი იმთავითვე სახელობითად არ არის მოხსენიებული დოკუმენტში, ასევე გამიზნულად არის გაკეთებული. პირველად სახელით ტექსტში მონარქი მოიხსენიება, როგორც იერარქიის ზედა საფეხურზე მდგომი. მხოლოდ ამის შემდეგ პროფორმების იზოტოპიურ ჯაჭვში ერთ-ერთ რგოლად ჯდება გრაფი მენგდენის სახელი.

ტექსტში ჩართულია დამოუკიდებელ ერთეულად გერბის აღწერა, რომელიც ჩვეულებრივ მხოლობითი რიცხვის მესამე პირშია გადმოცემული. ფაქტების დეკლარირება ხდება მოქმედებით გვარში, რაც ნაკლებად ტიპურია დარგობრივი და, კერძოდ, სამართლის დარგის ტექსტებისათვის. სინტაქსური ფორმები რთულია, ხშირია რთული წინადადებების ჯაჭვი, ინფინიტიური კონსტრუქციების ჩართვით. როგორც უკვე აღინიშნა, XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე პრუსიაში ახდენენ სამართლის დარგიდან ლათინურის გამოძევებას, თუმცა, ავსტრიულ სიგელში მინიმალური ოდენობით მაინც რჩება ლათინური ტერმინები, ზოგიერთის გაგერმანულებაც კი ხდება, მაგ., eine Poen (nula poena sine lege – keine Strafe ohne Gesetz), რაც ნიშნავს სასჯელს. ასევე ლათინურადაა კანცელარიაში მდივნის მიერ გაკეთებული ხელმოწერა: “Ad Mandatum Sac: Cæs: Majestatis proprium CollL=et RegustL=R = de (R.F.)”.

ამრიგად, ორივე გერმანულენოვანი ტექსტის შედარებისას საანალიზო მასალამ აჩვენა, რომ ავსტრიული სიგელის ტექსტი ფაქტობრივად დაცლილია ავსტრიციზმებისაგან, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე დექსიკურ ერთეულს, რომელიც ამოვარდნილია სალიტერატურო გერმანული ენის კონტექსტიდან: ‘hiemit, angebohrnen Großmuth, vor andern, dahero obbesagter, fürohin, die zweien aüssere, mit auswärts gewendten Köpfe, hinfüro, mehrgemeldtem, würdign, geruhiglich, gegeben’. ტექსტი მაქსიმალურად დაახლოებულია გერმანული ენის შიდა სტანდარტს. შესაბამისად, იოზეფ მეორის სასისხლო სიგელი მენგდენების გვარისადმი სალიტერატურო ენის ნორმების ფარგლებში რჩება, ანუ გერმანული საკანცელარიო და სამართლის ენა XVIII-XIX სს-ში ვრცელდება ორივე გერმანულენოვან სივრცეში.

ქართული სიგელების ანალიზის შემდგომ აღმოჩნდა გარკვეული მსგავსება ანალოგიურ გერმანულენოვან ტექსტებთან ენობრივ დონეზე: ფაქტების გაცხადება აქაც მრავლობითი რიცხვის პირველ პირში ხდება; ზოგიერთ ეპიზოდში კვლავაც შემორჩენილია ართრონის ზოგიერთი ფორმა – „ბრძანება ესე ნიშნად გვიბოძებია“. სიგელის გამცემი უშუალო მიმართვის ფორმასაც იყენებს: „ვინცა თქვენთაგანი და თქვენის სისხლისა და გვარისა უბრალოდ მოგკლას [...]“, ანუ ქართულ ტექსტში მონაცვლეობს თხრობითი და ბრძანებითი კილო. ტექსტის

საფინანსო ეპიზოდში მეფე მიმართავს სასულიერო და საერო პირთ, სავაზიროს: „აფხაზეთის კათალიკოზო, ქუთაისის ქუთათელი და წინამძღვარო, [...] ხელისუფალნო, დიდნო და მცირენო თქვენც დაუმტკიცეთ“. მსგავსი ფორმები არ მოიძებდა გერმანულენოვან ტექსტებში, რაც განსხვავებული პოლიტიკური კულტურის შედეგია.

ჩვენ მიერ განხილული ტექსტის სახეობები ფიქსირდება როგორც ქართულ, ისე გერმანულ და ავსტრიულ სინამდვილეში. როგორც ანალიზიდან გამოჩნდა, მათ საერთო პარამეტრები აქვთ გარკვეულ ასპექტებში, მაგრამ განსხვავებული კულტურა მკვეთრ დადს ასვამს ამ, ერთი შეხედვით, თითქოსდა მკაცრ ლინგვისტურ სტანდარტებში მოქცეულ ტექსტის სახეობას. ტექსტის სახეობა „სიგელი“ არალიტერატურული ტექსტების კლასიფიკაციაშია მოქცეული როგორც ქართულ, ისე გერმანულენოვან სივრცეში. შესაბამისად, ვარიაციული განსხვავება მათ შორის მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წლების მანძილზე, მიუხედავად საქმიანი ქაღალდების წარმოების ერთგვაროვნებისა, გერმანულ და ავსტრიულ კანცელარიაში მსგავსი ტექსტის სახეობა, გერმანული ენის შიდა და გარე სტანდარტზე კულტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარად ჩამოყალიბდა. სხვაობა კარგად გამოიკვეთა ტექსტის ფუნქციითა განსაზღვრისას: თუკი დეკლარაციული ფუნქცია დომინანტურ როლს ასრულებდა ორივე ტექსტში, ავსტრიულ სიგელში, პარალელურად ტექსტში, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა არგუმენტაციულმა ფუნქციამ, რაც ასევე ნიშანდობლივი იყო ქართული სიგელებისათვის. არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართული და ავსტრიული სიგელების ემოციური შეფერილობა, რისგანაც სრულიად დაცლილია პრუსიული ტექსტის ვარიანტი, რაც მარტივად აიხსნება ამ ქვეყნების ისტორიულ-კულტურული ფონის სხვადასხვაობით. ფაქტობრივად, პრუსიის მეფისათვის გრაფი მენგდენი არის მხოლოდ დაქირავებული პირი, რომელიც სახელმწიფოს სამსახურში მცირე ხნით იმყოფებოდა და, ბუნებრივია, მისი ცნობადობის ხარისხი არ უტოლდება მისი წინაპრის მიმართებას ავსტრიის იმპერიისადმი. გეორგ მენგდენის წინათობა ავსტრიის სახელმწიფოს ქვეშევრდომია, რომელიც თავისი შთამომავლობითა და წინაპრებით მის სამსახურში დგას, აქვს სახელმწიფოებრივი სტატუსი და, შესაბამისად, მისი წყალობის სიგელში დეტალურად არის აღწერილი შესაბამისი ატრიბუტებით სახელმწიფოს დამოკიდებულება ღირსეული ქვეშევრდომის მიმართ. კიდევ უფრო ფართოა ემოციური სპექტრი ქართულ სიგელებში, რაც ასევე განპირობებულია იმით, რომ ქართულ სინამდვილეში ისტორიულად დასტურდება არა ბატონყმური, არამედ პატონყმური დამოკიდებულება ქვეშევრდომის მიმართ.

ამრიგად, ტექსტში კარგად იკითხება სხვადასხვა სოციალურ ფენათა მიმართება. ევროპული საიმპერატორო კარისათვის ყველა დანარჩენი მომდევნო ფენა ქვეშევრდომია ანუ ხაზი ესმება სიუხერენულ ურთიერთობებს. ხოლო ქართულ სამართლებრივ ძეგლებში გვიან პერიოდშიც მკაფიოდ არის გამოკვეთილი სოციალურ ფენათა შედარებით უფრო ტოლერანტული ურთიერთ-მიმართებები. რაც შეეხება პრუსიას, ის, როგორც სამხედრო ძლიერების სიმბოლო, ერთპიროვნულად მეფის სახელით იღებს გადაწყვეტილებას, არა აქვს რაიმე მჭიდრო ვალდებულება გარკვეული დროით დაქირავებული სუბიექტებისადმი.

ქართული სამართლის ძეგლების ძალაში შესვლა ხდება სავაზიროს გავლით, ამას ერთპიროვნულად არ წყვეტს მეფე. წარმოდგენილ დოკუმენტს ესაჭიროება აღმასრულებელი ორგანოს დასტური. ავსტრიულ სინამდვილეში იმპერატორის გადაწყვეტილება ცალსახაა და ის იმპერიის ფარგლებში მცხოვრები ნებისმიერი სოციალური ფენისა, თუ ადმინისტრაციული და სასულიერო იერარქიის წარმომადგენლისაგან ითხოვს პირველი სახელმწიფო პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღიარებას და პატივისცემას. ხოლო პრუსიის მეფე, იღებს რა გადაწყვეტილებას, ეს უკანასკნელი ხელმოწერისთანავე უპირობოდ უნდა იქნეს მიღებული იმპერიის ქვეშევრდომთა მიერ, ანუ ყველა იმათ მიერ, ვისზეც ვრცელდება იმპერიის გავლენა. განსხვავება მმართველობის სისტემაში გარკვეულწილად ამ ქვეყნების ისტორიული განვითარებითაც არის განპირობებული. საქართველოს და ავსტრიას თავისი სახელმწიფოებრივი განვითარების უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვთ, ვიდრე პრუსიას. ის, როგორც პოლიტიკური ერთეული, გვიან ჩნდება გერმანიის ტერიტორიაზე და საკუთარი მითიური სამხედრო ძლიერების შესუსტების შემდეგ კარგავს თავის პოლიტიკურ გავლენას ევროპის ქვეყნებზე.

თავისთავად ტექსტის სახეობები შეიცავს გარკვეულ უნივერსალურ მახასიათებლებს, რაც ტიპური უნდა იყოს გარკვეული ტექსტის სახეობისათვის ნებისმიერ ენაში, მაგრამ ცდომილება შესაძლებელია დაფიქსირდეს არამარტო განსხვავებულ ენობრივ სივრცეში. ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ, მიუხედავად შიდაენობრივი სტანდარტის არსებობისა, პლურიცენტრულ გერმანულ ენაში ენათა ნაირსახეობებშიც ვლინდება არა მარტო ენის სხვადასხვა დონეზე არსებული თავისებურებები, არამედ ერთი და იმავე ტექსტის სახეობის მეტ-ნაკლებად განსხვავებული სურათი. ორივე გერმანულენოვან ტექსტში ჯერ კიდევ გვხვდება ლექსიკურ დონეზე საკანცელარიო ლათინურის ცალკეული ერთეულები, შიდა და გარეენობრივი სტანდარტის ნიშნები. ტექსტის ამ სახეობის თანამედროვე ვარიანტისაგან განსხვავებით, ისტორიულ ტექსტებში პერიორიტეტულია მოქმედებითი გვარი, ნაცვლად ვნებითისა და აგრეთვე მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ფორმები, რაც აგრეთვე ტიპური უნდა იყოს მონარქიული სახელმწიფოს სამართლებრივი დარგობრივი ენისათვის. აგრეთვე ნიშანდობლივია ბრძანებითი კილოს აქტიური გამოყენება ქართულსა და ავსტრიულ ტექსტებში, სადაც ტექსტის სახეობაშივე გვეძლევა მონარქიული სახელმწიფოს საკმაოდ სრულყოფილი სურათი, რაც აგრეთვე შესაბამისად არის გაფორმებული ენობრივ დონეზე. ამრიგად, კიდევ უფრო მარტივია განმასხვავებელი ნიშნების მოძიება სხვა ენაზე წარმოქმნილი ტექსტის თუნდაც მსგავს სახეობაში. მაგრამ საკმარისია გარკვეული ისტორიული, სოციო-კულტურული მსგავსების დაფიქსირება სხვადასხვა ენის მატარებელ კოლექტივში, რომ ტექსტის ფორმირებისას ხშირად შესაძლოა ამოქმედდეს მსგავსი ენობრივი ფორმები, მოვლენები და, შესაბამისად, ხდება ტექსტის სახეობის სტანდარტიზაცია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექსტის სახეობა, როგორც ენობრივი ქმედების კონკრეტული ფორმა, გარკვეული კულტურის ანარეკლია, რის გამოც ენობრივი თავისებურება ხშირად კულტურის სპეციფიკითაა განპირობებული.

ლიტერატურა:

- ავსტრიელი იმპერატორის – იოზეფ II-ის სიგელი ერნსტ ბურგარდტ ფონ მენგდენისათვის გრაფის ტიტულის მინიჭების შესახებ (22.06.1774): დაცული საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ფონდი: VAR 58^a;
- გამყრელიძეების საგარეულო სისხლის სიგელი [1446]. (1909): კრებულში: *საქართველოს სიძველენი*. ტ. 2. პროფ. ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. თბილისი;
- პრუსიის მეფე ვილჰელმის მიერ რუსეთის იმპერიის პოლკოვნიკისა და ფლიეგელ-ადიუტანტის, ჰუსართა პოლკის მეთაურ გეორგ მენგდენზე გაცემული მეორე ხარისხის ორდენი (27.05.1875): დაცული საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ფონდი: VAR 58^b;
- სახელის წყალობის წიგნი ერეკლე II-ისა ზაალ საამისშვილისადმი [1783]. (1965): კრებულში: *ქართული სამართლის ძეგლები*. ტ. II. საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება;

Adamzik, Kirsten

- (1995): *Textsorten – Texttypologie*. Eine kommentierte Bibliographie. Münster: Nodus Publikationen;
- (2008): *Textsorten und ihre Beschreibung*. In: Janich (Hrsg.) *Textlinguistik*. Tübingen: Narr. 145-177;

Ammon, Ulrich (1995): *Die deutsche Sprache in Deutschland, Österreich und der Schweiz*. Das Problem der nationalen Varietäten. Berlin: de Gruyter

Baumann, Klaus-Dieter (1992): *Kontrastive Fachsprachenforschung*. Tübingen: Narr.

Beaugrande, Robert-Alain de (1997): *Textlinguistik: Zu neuen Ufern?* In: Antos/Tietz (Hg.): *Die Zukunft der Textlinguistik*. Traditionen, Transformationen, Trends. Tübingen: Niemeyer. SS. 1-11;

Clyne, Michael (1984): *Language and Society in the German Speaking Countries*. Cambridge: Cambridge University Press.

Coulmas, Florian (1979): *Sprache und Kultur*. Einleitung zu Hymes, Dell: *Soziolinguistik*. Zur Ethnographie der Kommunikation. Frankfurt/M., SS. 7-25;

- Fix, Ulla** (2008): *Texte und Textsorten – sprachliche, kommunikative und kulturelle Phänomene*. Berlin: Frank & Timme;
- Harris, Z.S.** (1952): *Discourse Analysis*. In: *Language*. Vol. 28. SS. 1-30;
- Henne, Helmut** (1986): *Jugend und ihre Sprache*. Darstellung, Materialien, Kritik. Berlin/NY: de Gruyter;
- Hermanns, Fritz** (2003): *Interkulturelle Linguistik*. In: Wierlacher, Alois/Bogner, Andrea (Hg.): *Handbuch interkulturelle Germanistik*. Stuttgart/Weimar: Metzler. SS. 363-373;
- Wiesinger, Peter** (1988): *Das österreichische Deutsch*. Wien: Böhlau

NINO KIMERIDZE

**TEXT TYPES – CULTURE-SPECIFIC LINGUISTIC PHENOMENON
(BASED ON THE ANALYSIS OF GERMAN AND GEORGIAN TEXT TYPES)**

Summary

Recently in scholarly literature special emphasis has been placed on the large scale interdisciplinary resources of Text Linguistics. This is particularly so when the object of research is a certain type of text, especially a text in a particular field of man's activity. In the texts in question universal textual peculiarities are combined with the features typical of specific fields. Therefore, for the comprehensive interpretation of different text types, an interdisciplinary approach is of vital importance. Since a particular text is characterized by prototypical as well as culture specific features, the study of text types has become an essential part of Text Linguistics.

The study of text types makes it possible to investigate culture-specific peculiarities of texts, i.e. text types can be viewed as cultural artifacts, tools for conveying cultural values. It can be said that the text creates as well as preserves culture. The data examined in the paper is a proof of it. The study has been carried out on the material of Austrian and Prussian grants of the 18th and 19th centuries preserved at the National Centre of Manuscripts. The analysis of the juridical texts in question has revealed linguistic peculiarities and variability of the varieties of Standard German and Standard Austrian of the discussed period. Apart from the comparative study, a contrastive analysis has also been carried out; the German texts in question were contrasted with the Georgian grants of the same period. The contrastive study has revealed cultural specificity in the linguistic realization of the texts of the same genre.

თარგმანები

დაღუპული გემის მეზღვაურის მოთხრობის ინტერპრეტაცია
ჯონ ბენისის მიერ¹

სტატიის თარგმანი ეკუთვნის ე. ავალიანს. კომენტარები ტექსტის ბოლოს ჯ. ბენისისა და ე. ავალიანის მიერ არის გაკეთებული

დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი წერილობითი ლიტერატურის კომპლექსურ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელიც ნაწილობრივ დაფუძნებულია ეზოთერულ სიბრძნეზე. ტექსტის ზედაპირული წაკითხვის დროსაც კი აშკარაა მისი ნათესაობა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან: სტილის, სიტუაციის, ანონიმურობის და ხასიათთან მიდგომის თვალსაზრისით, რაც ტრადიციულ და ანდაზურ სიბრძნესთან მსგავსებაში ვლინდება. აღნიშნული ტექსტი არ ატარებს ალეგორიულ ხასიათს. მზის ღვთაების სამოცდათოთხმეტი ფორმის კონცეფცია მოქცეულია ხალხური ზეპირი გადმოცემის ფორმატში, მაშინ, როცა ღვთიური სიბრძნე, რომელიც ღვთაებებისადმი მსხვერპლის შეწირვის შესახებ არის წარმოდგენილი, ყოველგვარ აზრს მოკლებულია და რელატივიზებულია ღვთაების მიერ აღნიშნული საკითხის წამოჭრით. ნაწარმოების ბოლო ნაწილი მითს წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია მორალის საკითხების ზომიერ ქადაგებასთან; აღნიშნულ თემას პარალელები დაეძებნება რელიგიურ ტექსტებში. „თხრობა“ წარმოდგენილია ციკლურ ფორმატში, სადაც პირველი პირობის თხრობა ირონიული ეფექტის გასაძლიერებლად არის გამოყენებული.

ტექსტი არ არის უშუალოდ დიდაქტიკური ხასიათის, თუმცა აერთიანებს თავგადასავლის და თავგადასავლიდან მიღებული გამოცდილების საკითხებს.

დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი თავდაპირველად მიიჩნეოდა მარტივ ხალხურ ტექსტად, თუმცა მოგვიანებით მისი ინტერპრეტაცია შეიცვალა და შეიძინა რთული, მრავალშრიანი ნარატივის ხასიათი, რომელშიც მოგზაური მოძრაობს დროსა და სივრცეში და აღწევს კოსმოსადე, მითიურ ადგილამდე, სადაც იგი ხვდება უძველეს დემეტოს, რომელიც უამბობს მას სამყაროს დასასრულის შესახებ (ქარავმების სახით), ამის შემდეგ მეზღვაური ბრუნდება ეგვიპტეში. ტექსტის ახლებური მიდგომით წაკითხვა ტექსტის მნიშვნელობას უფრო აზუსტებს, თუმცა ეს მიღწეულ იქნა მისი წინამორბედი გამოცემების გათვალისწინებით და იმითაც, რასაც თავად ტექსტი ამბობს და ეყრდნობა. საინტერესოა ტექსტთან დაბრუნება მისი ფორმისა და ასოციაციების განხილვის თვალსაზრისით, ისევე როგორც დამატებითი კვლევების ჩართვა, რათა მოხდეს მისი, როგორც ერთიანი, მთლიანი ლიტერატურული ნაწარმოების გაგება. თუ აღნიშნულ მოთხრობას ერთ მთლიანობაში განვიხილავთ, აუცილებელია, დაისვას მისი ერთიანობის საკითხი ისევე, როგორც დაისვას საკითხი სხვადასხვა თემატიკის ერთიანობისა, ან მათი სხვადასხვა მიმართულების შესახებ. მსგავსი საკითხების წამოჭრა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული მოთხრობა წარმოადგენს თვითცნობიერ, თვითკმარ ლიტერატურულ ნაწარმოებს და ის არ არის „გულუბრყვილო“ შემთხვევითობის პროდუქტი.

აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს თითქმის ყველა ის ავტორი, ვისაც ამ ბოლო დროს რაიმე დაუწერია მოცემულ ტექსტთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ შენიშვნა 2), თუმცა აღსანიშნავია თეორიული მიდგომებიც, რაზეც აქ აღარ შეეხერხებოდა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დისკუსია ეყრდნობა და იკვლევს ერთი ავტორის კონცეფციას, აღნიშნული მი-

¹ საავტორო უფლება თარგმანზე ეკუთვნის ჟურნალს „ცივილიზაციური ძიებანი“.

ზნად არ ისახავს ავტორის განზრახულის ხელახალ გააზრებას. ჩემი მიზანია, მოვახდინო ერთგვარი მოდელირება ამ მოთხრობისა, რაც თანამედროვეობისათვის გასაგები იქნება და ძველი საზოგადოებისათვის იდეალური. გარკვეულწილად ჩვენი მიდგომა დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ეგვიპტური ტექსტებისა და ცოდნის გარკვეული ნაწილი ატარებდა ექსკლუზიურ, ან ეზოთერულ ხასიათს (იხ. კომენტარი 1).

აუცილებელია ტექსტი მივაკუთვნოთ სავარაუდო გარემოსა და პერიოდს, საიდანაც მისი წერილობითი ფორმა წარმოიშვა. რადგანაც ამ ტექსტის მხოლოდ ერთი მანუსკრიპტია ცნობილი და მისი შესადარი ტექსტი არ შემორჩენილა, ინტერპრეტაცია მეტწილად დამოკიდებული უნდა იყოს თვითონ ტექსტის წაკითხვაზე და თემატურ, ან კულტურულ ანალოგიებზე, რომელთა გარკვეული ნაწილი ნაკლებად მნიშვნელოვანია და მისგან დაცილებული (იხ. კომენტარი 2). ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ თვით ერთადერთი ტექსტიც კი, შესაძლებელია, განხილულ იქნეს სხვა ლიტერატურულ და თუნდაც არაწერილობითი ფორმით შექმნილი მოთხრობების გვერდით, ერთგვარ ჰიპოთეზურ კონტექსტში; ამგვარ მიდგომებზე დაფუძნებულმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა, რომ არ გაამართლოს, თუმცა მსგავსი მიდგომა უფრო მისაღებია, ვიდრე ის ვარაუდები, რომლებიც ამ მიდგომას არ ითვალისწინებენ. ის, რაც ფაქტობრივად უცნობია ჩვენთვის, არის ის, თუ როგორ აღიქვამდნენ თვითონ ეგვიპტელები აღნიშნულ ტექსტს; ამ თვალსაზრისით სინამდვილეს ფარდა ახედებოდა, თუ გავითვალისწინებდით მრავალ ანალოგიურ ასლებს, ამ ჟანრის განვითარების მოგვიანო პერიოდიდან ცნობილ სხვადასხვა ტექსტს, ისევე როგორც ზეპირი, ან სხვა სახის ინფორმაციას, თუმცა მსგავსი ინფორმაცია ძალზე მწირია. აღნიშნული შეფასება შესაძლოა შეიცვალოს ახალი გარემოებით, თუმცა დარიგებების ტექსტებთან შედარებით, დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი არ წარმოადგენს ფართო ხასიათის ჟანრის შემადგენელ ნაწილს.

დაღუპული გემის მეზღვაური

ფოლკლორული ანალოგიები: ნარატივის ქარგა და მისი ფართო მნიშვნელობა, სცილდება საკუთრივ იმას, რასაც გვთავაზობს და მოიცავს ფოლკლორული ანალოგია.

დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი შუა ხანის ეგვიპტურ ლიტერატურულ ტექსტებთან შედარებით სტილისტურად უფრო „ზეპირი“ გადმოცემის ხასიათს ატარებს; დღემდე შემორჩენილი ეგვიპტური ლიტერატურის ყველა ნიმუში პატარა ჯგუფის წიგნიერი ელიტისთვის იყო შექმნილი და მისი შეფასება უნდა მოხდეს აღნიშნული კონტექსტიდან გამომდინარე. მეტად რთულია წარმოვიდგინოთ წერილობითი ასლების, ან წერილობითი თხზულებების როლი არაწიგნიერ დიდ კულტურაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზემოთ ხსენებული ლიტერატურის ნიმუშის მოტივებს არ იცნობდნენ ისინი, ვისაც უშუალო შეხება არ ჰქონდა დამწერლობასთან, თუმცა აღსანიშნავია, რომ წერილობითი ტექსტები კომუნიკაციის საშუალებას არ წარმოადგენდა ამ ხალხისათვის. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ახალი სამეფოს პერიოდში ჰორის და სეთის ამბავი შუა სამეფოს ლიტერატურულ ნამუშევრებთან შედარებით ნაკლებად ელიტური კომპოზიციის ხასიათს ატარებს, გარდინერის მოსაზრება აღნიშნული ტექსტის თაობაზე, რომელიც მას მიიჩნევს „წმინდა სახალხო გამოყენებისათვის გამიზნულად“, არ შეესაბამება არსებულ სოციალურ რეალობას. მის მიერ დანახული რეცეფცია, რომ თითქოსდა „სოფლელი ამბავის მთქმელი ამბავს ყველა ჩაცუცქული როხროხა გლეხების წრეში“, არადამაჯერებლად გამოიყურება. ზეპირი გადმოცემის ტრადიციული ფორმა და შინაარსი უცნობია, თუმცა მეტრის ფართოდ გავრცელება, სავარაუდოდ, დაკავშირებულია მის გამოყენებასთან ფორმალურ და ამადლებულ ზეპირ ორატორობაში; ამგვარი კონტექსტიდან გამომდინარე, ზეპირმა გადმოცემამ, სავარაუდოდ, ლოგიკურად აჯობა დამწერლობას. მეტრიკა შესაძლოა ატარებდეს ზოგად ხასიათს მაღალი კულტურებისათვის და გვხვდებოდეს ჩვეულებრივ ზეპირ პრაქტიკაში, ამდენად, არსებობს ალბათობა იმისა, რომ ამბავის მოთხრობელი ორივე კონტექსტში გამოჩნდეს. მომდევნო ხანის წერილობითი ტექსტები წინამორბედ გამოცდილებას ზეპირი პრაქტიკის სახით გამოიყენებენ, თუმცა წერილობითი ვარიანტების დაკავშირება ფორმებისა და მოცულობის თვალსაზრისით რთულია და განს-

ხვავებულია მათი პირველადი ზეპირი კომპოზიციებისგან, რაც მცირე საფუძველს გვაძლევს თავად ზეპირი ფორმების აღდგენისათვის.

დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი არ უნდა მივიჩნიოთ შუა ეგვიპტური ხანის სხვა ლიტერატურულ ტექსტებზე ადრეული პერიოდის ნაწარმოებად იქიდან გამომდინარე, რომ ეს ტექსტი უფრო მეტად ზეპირი ხასიათის მატარებელია. ამიტომ, შეცდომა იქნებოდა მისი პოზიციის განსაზღვრა წერილობით და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან მიმართებაში (იხ. კომენტარი 3). მისი „ზეპირი“ ხასიათი მნიშვნელოვანია არა ზეპირ ნარატივთან კავშირში, არამედ იგი სხვა ლიტერატურულ ტექსტებთან მიმართებაში ვლინდება. ტექსტის ზედაპირული მახასიათებლები თვალსაჩინოდ მარტივ ხასიათს ატარებს. ლექსიკა და სტილი მარტივია, მაშინ, როცა სტრუქტურა დახვეწილი, მრავალმრიანი ხასიათისაა და მისდევს კარგად ჩამოყალიბებულ თხრობის ხაზს, მთლიანი პასაჟი მეორდება მხოლოდ უმნიშვნელო ვარიაციებით (23-40=89-110). სხვა მსგავსი შემორჩენილი „გულუბრყვილო“ ხასიათის თხზულება არის ფ. ვესტკარი (P. Westcar), რომლის ჩვენამდე მოღწეული ფორმა, როგორც ჩანს, ერთი საუკუნით გვიან შეიქმნა. ამგვარად, დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ზედაპირული სიმარტივე და სისადავე ტექსტისა, ეს მაშინ, როცა სხვა შუა ეგვიპტური ხანის „კლასიკა“ ორიენტირებულია გამოცემის კომპლექსურობაზე და გამოთქმების სიუხვეზე. მისი სტილი და ტონალობა უფრო მეტად განსხვავდება მისი თანამედროვე ტექსტებისაგან, ვიდრე ახალი სამეფოს ტექსტებისა და ოდნავ მოგვიანო პერიოდის ამბებისაგან, რომელთა ძირითადი ნაწილი მეტად ფორმულირებულია (იხ. კომენტარი 4); თუმცა არსებობს გამონაკლისი ტექსტიც – ვენამუნი (ჭენამუნი). დაღუპული გემის ამბავი რთული დატვირთვებისა და ქარაგმული თემების გამო შეიძლება შუა სამეფოს ეზოთერიკას უკავშირდებოდეს, მისი ზედაპირული სიმარტივე საეჭვოა აღმოცენებულიყო უშუალოდ ზეპირი ხალხური თხრობის ჟანრიდან. სავარაუდოდ, სოციალურ, რეალურ, ზეპირმეტყველების კონტექსტში ეს სიმარტივე უკეთესად იქნებოდა შესწავლილი და გაგებული. მიუხედავად ამისა, ქარაგმები, როგორც ჩანს, ხშირ შემთხვევაში ეზოთერულ ხასიათს ატარებს, თუმცა სტილის გარკვეული მახასიათებლები და ფრაზების ზეპირად გამეორების სიხშირე, როგორც ჩანს, ახლოს იყო ზეპირმეტყველების ფორმასთან, კომპოზიცია კი, ერთი მთლიანი კონტექსტის სახით, სავარაუდოდ არ შეესაბამებოდა ზეპირსიტყვიერების ტექსტების ნიმუშებს. ძირითადად, თხრობის ქარგა ახორციელებს ზეპირი ფორმის იმიტაციას არა იმიტომ, რომ თვითონ ამბავი სამ ნაწილად არის წარმოდგენილი ერთი მოთხრობის შიგნით, არამედ იმიტომ, რომ უმატებს ქარაგმებს და ამჭიდროვებს ტექსტს იმის ნაცვლად, რომ გაამდიდროს ტექსტი უხვი სტილისტური გამოთქმებით. „ამბავი“ წერილობითი ლიტერატურის სტატუსის მატარებელი უნდა იყოს და განსხვავებულია პაპირუსისაგან, რომელიც აფიქსირებს ზეპირ კომპოზიციას. ეს მოსაზრება წარმოჩენილია ტექსტის დაკნინებით (ხარვეზებით), რომელსაც უნდა ჰქონოდა წერილობითი სახე (იხ. კომენტარი 5).

ნებისმიერ შემთხვევაში საეჭვოა, რომ მომხდარიყო ზეპირი კომპოზიციის მხოლოდ ერთი ჩანაწერის სახით გადარჩენა და ჩვენამდე მოღწევა.

„ზეპირი“ კონტექსტი გაძლიერებულია ტექსტის პირველი სიტყვებით – *dd jn*, რომელიც, როგორც ჩანს, იკითხებოდა, როგორც „ღირსეული მთქმელის საუბარი“ და არა როგორც „შემდეგ ღირსეულმა მოსაუბრემ დაილაპარაკა“. ეს წინადადება წარმოადგენს არა მთლიან სინტაქსურ ფორმას, არამედ წერილობითი კონტექსტების დამახასიათებელ ჩანაწერებს, თუმცა აღნიშნული არ არის იდენტური წერილობითი ფორმით წარმოდგენილი საუბრებისა (ჩვეულებრივ *dd mdw*, ამ ფორმატში გამოყენებისთვის ზედმეტად ფორმალურ ხასიათს ატარებს); აღნიშნული შესავალი, როგორც ჩანს, ამტკიცებს ტექსტის წერილობითი სახის კომპოზიციურ ხასიათს, რომლის მიზანს საუბარი წარმოადგენს. ამის შემდგომ, თუკი ხდებოდა ტექსტის ზეპირსიტყვიერებაში გადატანა და ეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო ასე, ტექსტი იძენს უკვე დამატებით ფორმალურ შესავალს.

ამდენად, ტექსტის პრეზენტაცია ქმნის ისეთ ფორმას, რომ აუდიტორიამ წარმოდგენილში შეიცნოს ზეპირსიტყვიერებაში შექმნილი სახალხო ამბის იმიტაციური სახე, რაც ეს კონ-

ტექსტი ზემოქმედებას ახდენს და განმარტავს შინაარსს. აღნიშნული ზეპირსიტყვიერების, ან ფოლკლორული ანალოგიის ასპექტების გათვალისწინება საინტერესოა, მაგრამ ჩემს მიზანს წარმოადგენს არა ტექსტის მოტივის ანალიზი ფოლკლორული კვლევის საფუძველზე, არამედ მისი მოჩვენებითი ფოლკლორული ასპექტების დანახვა ლიტერატურული კონტექსტის ფარგლებში; ამ თვალსაზრისით ფართო ხასიათის ინტერკულტურული შედარებანი უადგილოა, თუმცა სხვა საკითხებთან მიმართებაში მათ შესაძლოა ჰქონდეთ უფრო მნიშვნელოვანი ღირებულება.

ფოლკლორული მოთხრობებისათვის დამახასიათებელ ტიპურ თავისებურებას წარმოადგენს მის გმირთა სახელების არაღნიშვნა. მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაშია მითითებული კონკრეტული ადგილები, მოქცეული ქარგაში, სადაც ვავატი და ბიგა არიან მოხსენიებულნი (9-10) და ესეც ძირითადი მოთხრობის პირველ წინადადებაშია, რომელიც, როგორც ჩანს, სინაში ხდება (23-4, მეორდება 89-90). პერსონაჟები იცნობა მათი ტიტულების მიხედვით, *HAṯj-af* და *Smsw*, და არა მათი როლის კონკრეტული მითითებით. მეფე მოხსენიებულია შესავალში, ისევე როგორც მოთხრობაში, თუმცა მეფის სახელი არ არის მოხსენიებული და არც გველი არ არის დასახელებული საკუთარი სახელით. აღნიშნულ ანონიმურობას შესაძლოა ჰქონდა უფრო ფართო, თითქმის კვაზიმითოსური დატვირთვა.

მაყურებლის მოტივი (როგორც შეიძლება დახასიათდეს *smsw/მოთხრობელი*), რომელიც იპყრობს ყურადღებას საკუთარი ამბით, სავარაუდოდ ფოლკლორული საწყისის მატარებელია, რომელსაც ჰქონდა მოთხრობისათვის ერთგვარი შესავლის სახე; ტექსტის ფარგლებში ეს ქმნის ერთგვარ სიმბაზრეს იმასთან დაკავშირებით, რომ ის, რაც ყველაზე საინტერესოა, მოცემულია არა მოთხრობაში, არამედ ჩნდება მის კონტექსტში. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ მოთხრობების მთელი ციკლის დამუშავება და დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი, შესაძლოა, წარმოიქმნა კიდევ აღნიშნული ციკლიდან, ან მსგავსი სახის მოთხრობისაგან. არსებული წყობა ტოვებს ერთგვარ სივრცეს დიდი ციკლისთვის, რადგან მთავარი პერსონაჟი არ იძლევა ცნობას საკუთარი თავის შესახებ, თუმცა ნარატორი გვთავაზობს მორალურ მხარდაჭერას მისთვის მანამ, სანამ ის მიაღწევს სატახტო ქალაქს, საზღვრის ჩრდილოეთით, მრავალდღიანი მოგზაურობის შემდეგ. ციკლები და ციკლური კონტექსტები გავრცელებულია როგორც ეგვიპტურ ლიტერატურაში, ისევე ფოლკლორულ მოთხრობებში, თუმცა გველის მოთხრობის ძირითადი შინაარსი, როგორც ჩანს, არ შეესაბამება ციკლს და უფრო მეტად სავარაუდოდ ხდება ციკლის ფორმასთან ერთგვარი სიმბოლური მიმართება და არა მისი წარმოშობა აღნიშნული ციკლიდან.

მაყურებელი, ე.წ. „მეზღვაურის“ სახით, განეკუთვნება ჯგუფს, რომელიც ბევრ საზოგადოებაში ცნობილი არის ე.წ. გრძელი ამბების მოთხრობელის სახით: ასეთი ადამიანის პირში მოთხრობის „განთავსება“ ნიშნავს, რომ ეს პირობითად უნდა იქნეს აღქმული. იგივე მიდგომა დამუშავებულია ჰარდიედის (*Hardjedef*) მიერ ფ. ვესტკარში (*P. Westcar*), სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ საკუთარი ეპიზოდის წინმსწრები ამბები დაკავშირებულია წინა პერიოდებთან და მათში გადმოცემული სიმართლის გარჩევა გამოგონილი ამბისაგან მეტად რთულ საკითხს წარმოადგენს. მაგალითისათვის, საინტერესოა ჯედის (*Djedi*) საქმენი და განსაკუთრებით სამი მომავალი მეფის დაბადების ამბავი. ნარატორის მიერ დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავზე არჩევანის გაკეთება შედარებით გაურკვეველია და შესაძლოა ეს საკითხი შესწავლილ იქნეს მრავალ დონეზე. ძირითადი შინაარსი იმდენად სერიოზულია, რომ ღიად არ არის ფორმულირებული, შესაბამისად, ნარატორის მიერ მის გაუფასურებას და გაუბრალოებას აზრი ეკარგება. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ტექსტი გრძელი ამბის ერთი ნაწილია, რომელიც ნებისმიერი წიგნიერი მკითხველისთვის არის გათვალისწინებული და შინაარსის დაფარვის მიზნით მოთხრობილია არარეალური ნარატორის მიერ. თვითონ მოთხრობელი შეიძლება აკეთებდეს ერთგვარ მინიშნებას საკუთარ ორაზროვან სტატუსზე სიტყვებით, როცა ის ამბობს, რომ ის: „თავისუფალია გაზვიადებებისგან“ (12-13), თუმცა ეს ფრაზა ყველგან ჩნდება, დაკავშირებულია მოგზაურობასთან და სავსებით შესაძლებელია,

რომ წარმოადგენდეს *šmas*-სათვის ჩვეულებრივ განსაზღვრებას. თუმცა, უკვე მომდევნო ამბის თხრობაში აღნიშნული გამოთქმა უნდა ატარებდეს ერთგვარ ირონიულ დატვირთვას.

ბრაიანის (Bryan) შენიშვნის თანახმად, მოთხრობელი შორს არის თავად „გმირის“ სახისაგან, ის იზიარებს პროტაგონისტის სახეს, რაც გვხვდება სხვა მოთხრობელთა მომენტშიც, მთავარი გმირების პერსონასთან მიმართებაში, თუმცა უიღბლო მოგზაური, რომელიც მარცხს განიცდის და არ იცის როგორ მოიქცეს არსებულ სიტუაციაში, შესაძლოა, წარმოადგენდეს არა „ცუდ კომიკურ მაგალითს“, არამედ მოთხრობის სახასიათო გმირს, რომელსაც წარმოგვიჩენს ნარატორი. მისი სახის ძირითადი დატვირთვა იმაში მდგომარეობს, რომ წარმართოს მოთხრობა. ეს მომენტი არ გვაძლევს დაკვნიების გაკეთების საშუალებას ტექსტის ფოლკლორული ანალოგიების შესახებ, თუმცა ბრაიანი მართალი უნდა იყოს, როდესაც მიიჩნევს, რომ მოთხრობელი წარმოადგენს გარკვეულ „ტიპაჟს“, ანუ ჟანრის სახეს და არა სრულიად დამოუკიდებელ სახეს. მისი განმეორებითი შეცდომები და გაუგებრობები შესაძლოა მომდინარეობდეს ნაცნობი რეპერტუარის სიტუაციებიდან და ატარებს თავად მოთხრობის განვითარებისათვის არსებით ხასიათს. ის, რაც განსახვავებს ნარატორს სინუსეს სახასიათო გმირისაგან (ასევე *šmas*, ზემოთ შენიშვნა. 19), ან გლესს „ელოქენტის გლესში“ (Eloquent Peasant), ამ შემთხვევაში არის მოთხრობელის ზედაპირული ხასიათი: არაფერი ფსიქოლოგიური არ ჩნდება მის მიერ განვლილ ტრანსფორმაციებში და ეს ასპექტი არეკლილია თხრობის სტილზეც. ერთგვარი მორალური, ან დიდაქტიკური გზავნილები მოთხრობელს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მისი და გველის სენტენციურ, ანდაზური ხასიათის გამონათქვამებში. მოთხრობაში და მისი კონტექსტის სხვა მოცემულობებში ეთიკური ქვეტექსტები პერსონაჟის დახმარებით არ არის რეალიზებული. ფოლკლორული ანალოგია ტექსტს აქაც სქემატურობის მნიშვნელობას სძენს, მაგრამ კონტექსტი და სქემის დიდებულება საკმაოდ რთულ, კომპლექსურ ხასიათს იძენს, მაშინ, როცა პირველი პირის თხრობის მანერა გამორიცხავს ნებისმიერ მარტივ მიმართებას ფოლკლორულ ისტორიებთან.

ძირითადი მოტივების, სიტუაციებისა და ფორმულირებების გამოყენება თავალში საცემია მოთხრობის ორი ამბის შესავალ ნაწილში, რომელიც მოქცეულია თავად მოთხრობაში. *šmas* შესავლის ბოლო ნაწილს იწყებს შემდეგი ანდაზით: „ადამიანს გადაარჩენს მისი პირი“ (17-18), თხრობას კი იწყებს ფორმულით: „ნება მომეცი მოგიყვე შენ ისე, როგორც / რაც მოხდა...“ (21-2), რაც სიტყვასიტყვით მეორდება აგრეთვე გველის მიერ (125). მოთხრობები წარმოდგენილია „ანდაზისებრი“ პასუხების ფორმით გარკვეულ სიტუაციებთან მიმართებაში და მათი დეტალური დასაბუთებული ხასიათი, ერთიმეორის ანალოგიების სახით, გამახვილებულია ფორმალური პარალელიზმით. აღნიშნული ქარგა კონტრასტულია გველის შესავალ მოთხრობაში, რაც უახლოვდება გადამწყვეტ, ძირითად აზრს (124):

როგორი იღბლიანია ის, ვინც ყვება მის (მწარე) გამოცდილების შესახებ (მას შემდეგ), რაც მისმა ტანჯვამ ჩაიარა.

ეს განცხადება, რომელიც ასევე ანდაზის ხასიათს ატარებს, ფოლკლორის წიაღში და სხვა მოთხრობებშია წარმოდგენილი, რადგან ის უზრუნველყოფს ამბის თხრობის დასრულებას და განჭვრეტს „ბედნიერ დასასრულს“, ან, სულ მცირე, მიგვანიშნებს პროტაგონისტის საფრთხეებიდან გადარჩენაზე. თუმცა ეს მიზანი ტექსტში სავარაუდოდ უფრო სრულად არის წარმოდგენილი. ეს კომენტარი უკეთდება როგორც მეზღვაურის, ისე გველის ამბავსაც, რომელიც მაშინვე მოსდევს პირველ მოთხრობას, მაშინ, როცა განაცხადი მართებულია ტექსტის ფარგლებში და მის გარეთაც. აღნიშნული განცხადება ასევე უკავშირდება გველის მორალის თვითკონტროლირების საკითხს და იმასაც, თუ როგორ დაეხმარება იგი მეზღვაურს სახლში დაბრუნებაში, რაც მოხდა არაპირდაპირი გზითა და გაგებით, არამედ საზოგადოებაში მეზღვაურის ინტეგრირებით.

აღნიშნული მორალური დებულებები კონტრასტულია სხვა ჩართვებთან შედარებით, ერთიანი მოთხრობის შიგნით, რომელიც შემდგომ ერთ ანდაზისებრი ქარგას ქმნის, ან, სულ

მცირე, სტერეოტიპული დებულებების სახე აქვს. ნარატორის შეფასება, რომელიც ექსპედიციის ხელმძღვანელის ნათქვამს გადმოგვცემს: – „აღამიანს გადაარჩენს მისი პირი“, ირონიული უნდა იყოს კონტექსტში, რადგანაც წინამძღოლის სრული დუმილი სიტუაციის ირონიზირებაა და შესანიშნავი პარალელი დაექებნება ელოქენტის გლეხის ამბავში. ბოლოს ნარატორი ამბობს (180-2):

შემომხედე მე მას შემდეგ, რაც მივადწიე მიწას,
მას შემდეგ, რაც მე გამოვცადე.
ამის შემდეგ, მომისმინე [მე]. მოსმენა კარგია ადამიანისთვის.

აღნიშნული პასაჟი კვლავ პარადოქსულ ხასიათს ატარებს, რადგან ყველაფერი, რაც წინამძღოლმა გააკეთა, არის ის, რომ იგი იქცევა დატყვევებული აუდიტორიის მსგავსად (იხ. კომენტარი 7), თუმცა ამჯერად მან უნდა ილაპარაკოს, მოსმენის ნაცვლად. აღნიშნულ ორ დებულებას შორის კონტრასტი გაძლიერებულია იმით, რომ ორივეს წინ უძღვის ფრაზა „მომისმინე მე“ (12, 181-2 [საეჭვოა, იხ. ბოლო შენიშვნა]). „მიწაზე მისვლამ (მიღწევამ)“ შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილი და დაკრძალვა, საბოლოო შეჩერება და მიწასთან მიახლოება, რაც გველმა ადრე ასხენა (169). შესამაბისად, „გამოცდილება“ (*dpp*) წარმოადგენს ამოსავალ სიტყვას, რომელიც გველის მოთხრობის შესავალში ჩნდება და იღებს ფორმალურ სახეს. სინუხეს ამბავში მოყვანილია ამ ფორმულირების პარალელები, თუმცა მათი მნიშვნელობა შესაძლოა იყოს უფრო ღრმა და ნაკლებად ლიტერატურული, რაც ეფუძნება ძირითად კატეგორიებს და სიბრძნეს, რომელიც აქ აღწერს პროცესსა და მის სასრულს როგორც რეალურ მოვლენებთან, ასევე მოთხრობის შედეგებთან მიმართებაში, და თანაც ისე, რომ მათი ხასიათი განსხვავებულია დარიგებების ტექსტებში წარმოდგენილი მსგავსი ხასიათის დებულებებისაგან.

ტექსტის ბოლო წინადადება წარმოთქმულია ექსპედიციის წინამძღოლის მიერ (185-6):
ვინ აძლევს ჩიტ[ს] წყალს განთიადისას,
როდესაც მას დაკლავენ (მოკლავენ) დილას?

ეს გამოთქმა ანდაზის, ან აფორიზმის ხასიათს ატარებს, თუმცა სხვა ანდაზებისაგან განსხვავებით, მისი მნიშვნელობა ქარაგმაშია გადმოცემული და არა პირდაპირ ნათქვამში. ამ გამოთქმამ შესაძლოა ტექსტის მნიშვნელობას შესძინოს ირონიული ხასიათი, ან მისი ფუნქცია დაუკავშიროს უფრო მეტად მოთხრობას და წინამძღოლის გადაუწყვეტელ ბედისწერას. სველინგერმა და დევაუჩელემ (Spalinger, Devauchelle) ამ გამონათქვამის მნიშვნელობა პარალელებით გაამდიდრეს: წინამძღოლი მოიხსენიებს ფრინველისათვის წყლის მიცემის წეს-ჩვეულებას მის დაკვლამდე, რისი რელიგიური კონტექსტი, ან შესაძლო რელიგიური მნიშვნელობაც, არ არის ცნობილი. აღნიშნული ტრადიცია გამორიცხავს ფრაზის: „ვინც მისცემდა წყალს...“ ადრე გავრცელებულ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ქმედებას არ გააჩნია არანაირი მნიშვნელობა. ამის სანაცვლოდ, წინამძღოლი არის ჩიტი და მისი ანდაზისებური შეკითხვის პასუხია: „მკვლელი“ – მოთხრობელი, ნარატორი, რომელიც გასცემს „წყალს“, ანუ მოთხრობას. აღნიშნული ხედვა სიტუაციის სავარაუდო ინტერპრეტაციაა, რომლის თანახმადაც წინამძღოლი ხედავს მოთხრობელს მის ბრალმდებლად, მამხილებლად, მისი ექსპედიციის წარუმატებლობის გამო, მაგრამ ეს საეჭვოა, რადგან წინამძღოლის ექსპედიცია დაბრუნდა მარცხის გარეშე უკან (7-11), მიუხედავად იმისა, რომ მიზანი მიღწეული მაინც არ იქნა. ერთადერთი შესაბამისი თანამიმდევრული ინტერპრეტაცია, რომლის შემოთავაზებაც მე შემიძლია, არის ის, რომ: წინამძღოლი იმდენად სასოწარკვეთილია, ნარატორი დახმარების ნაცვლად, მას საკუთარი ამბის თხრობით უტევს.

ანდაზების გამოყენება თხრობის ფორმულისაგან განსხვავებულია და ირიბად მიმართებას ამჟღავნებს „ფოლკლორულ“ შინაარსთან, თუმცა ამ ორ მექანიზმს შესაძლოა ჰქონდეს საერთო მიზანი. ანდაზების მორალი სერიოზულად უნდა იყოს აღქმული, თუმცა ტექსტის ნებისმიერი სახის შემცირება პრეზენტაციის მომენტში გაცილებით ბანალურს ხდის მის მო-

რალურ მხარეს და ეს არ არის მართებული. ანდაზა თავის ხარისხს ინარჩუნებს, როგორც ზეპირსიტყვიერების სიბრძნის ნიმუში. ის ჩნდება ტექსტის მნიშვნელოვანი ხასიათის ეპიზოდებში, ისევე, როგორც უმნიშვნელო ადგილებშიც და წარმოადგენს მექანიკურად შეკუმშულ იდეა-გზავნილის. მსგავსი მიდგომა დამახასიათებელია ზეპირი საუბრების, ზეპირი თხრობისა და სხვა ზეპირი ჟანრებისათვის, ასევე წერილობით და მაღალკულტურულ კონტექსტშიც ჩნდება, სადაც ფრჩხილებშია მოთავსებული. ისინი მოვლენების მნიშვნელობას აყალიბებენ, როგორც ეს ხდება ფოლკლორულ ამბავში და, შესაბამისად, ეყრდნობიან არა სხვა აბსოლუტურ მნიშვნელობებს, არამედ ფოლკლორულ კატეგორიებს. აღნიშნული რელატიურობა ეწინააღმდეგება ზოგიერთ კანონს ანდაზების განზოგადებული ღირებულებების გამო, რაც კარგი იქნებოდა თითქმის ნებისმიერ სიტუაციაში, თუმცა საკითხი იმაშია, რომ ტექსტი წარმოგიდგინოს თანაბრად როგორც მოვლენებს, ისე გარკვეულ ზნეობრივ კომენტარებს იმ ფორმით, რომელიც მათ ღირებულებას არა ზოგადი თვალსაზრისით, არამედ უფრო შიდა დისკურსში, მსჯელობის პროცესში ავლენს.

მაშინ, როცა ანდაზების ეს რელატივიზაცია და მათი მორალი შეიძლება არ იყოს კრიტიკული, ანალოგიური რელატივიზაცია და კრიტიკულობა შეიძლება ახასიათებდეს მთელ მოთხრობას მთლიანობაში. მ. თ. დერჩაინ-ურთელის (M. T. Derchain-Urtel) თანახმად, ტექსტში ნაჩვენებია გველი, შესაქმის ღვთაება, რომელიც გადაურჩა, საგარაუდოდ, მის ქალიშვილ მაატთან ერთად, სამყაროს დასასრულის კატასტროფას და, სხვა ღვთაებების განადგურების გვერდით, ეს იდეა სიმბოლურად გამოხატულია მზის ღვთაების სამოცდაათოთხმეტი ფორმით. კუნძული, სადაც ცხოვრობს აღნიშნული არსება, წარმოადგენს კოსმოსის გარეთ მყოფ ნამდვილად ფანტასტიკურ სივრცეს, რომელიც არსებობს დროსა და სივრცის გარეშე; აღნიშნული ადგილი არსებობს მხოლოდ ტექსტში და გაუჩინარდება მოთხრობელის მიერ გველთან შეხვედრის შემდეგ. ამბის ამგვარი გააზრება არ გამოირიცხავს სხვა ინტერპრეტაციებს. ალტერნატიულ აზრს გვთავაზობს სიმპსონი (W. K. Simpson):

ტექსტის წაკითხვა ნაწილობრივ შეიძლება ასტრონომიული მეტაფორის სახით; გველის მზის სახით, ჩამოვარდნილი ვარსკვლავი ..., ოთხი თვის ვადა, ორი თვის შემდეგ მოგზაურობიდან დაბრუნება, და გემი, რომელიც იძირება ტალღებში 120 ადამიანით, რომელნიც მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდებიან ხელახლა(?).

აღნიშნული ტექსტის წაკითხვა, ისევე როგორც კურთის (Kurth) ინტერპრეტაცია, რომელიც ხედავს მოთხრობას ყოველდღიური სოლარული ციკლის გამოვლინებად, შეესაბამება გოედიკისეულ (Goedicke) (იხ. ზემოთ შენიშვნა 31) ალეგორიულ ინტერპრეტაციას. ამ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს ის, რომ მოთხრობა მხოლოდ „ნაწილობრივ“ არის ალეგორიული – რაც არ არის ზუსტი და ბოლომდე ნათელი სიმართლისა და სიცრუის ალეგორიის შემთხვევაში, რომელთა სიუჟეტი ქმნის უფრო თანამიმდევრულ ანალოგიას ოსირისისა და სეთის მითებთან მიმართებაში. კურთის და სიმპსონის წაკითხვამ შესაძლოა დატვირთვა დაუმატოს მოთხრობელის გამოცდილებას, მისი გამოცდილების სხვა კოსმიურ ნიმუშში ასახვით, თუმცა აღნიშნული არ აკნინებს ტექსტის მნიშვნელობას, ან არ გამოირიცხავს დერჩაინ-ურთელის (Derchain-Urtel) ნაკლებად მორიდებულ და მეტად დასაბუთებულ ინტერპრეტაციას; ამ მოსაზრებებს შორის არჩევანის გაკეთებაც რთული ხდება. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება შინაარსის მრავალშრიანობა, მაშინ როგორც მოთხრობის მრავალშრიანი ხასიათი, ისე თხზულების „ფოლკლორული“ მახასიათებლები, შეინარჩუნებს ინტერპრეტაციისათვის განუყრელი ნაწილის ხასიათს.

ძირითადი კონცეფცია სამყაროს დასასრულის შესახებ და მზის ღვთაების სამოცდაათოთხმეტი ვარიანტის იდეა წარმოდგენილია ისე, როგორც ფოლკლორის ნიმუშებისათვის იყო დამახასიათებელი. სამყაროს დასასრულთან დაკავშირებული სხვა ტექსტები, როგორცაა, მაგალითად, სარკოფაგების ტექსტების (Coffin Texts) აღნიშვნა 1130 და მიცვალებულთა წიგნის (Book of the Dead) 175-ე თავი, შემონახულია შედარებით ფართოდ გავრცელებულ წყაროებში და ძირითადად მიჩნეულია, რომ ისინი არ წარმოადგენს სამგლოვიარო ტექსტებიდან მომდინარე ტექსტებსა და წარმოიქმნა დამოუკიდებელი ლიტერატურული კომპოზიციუ-

ბისგან, თუმცა მზის ღვთაების სამოცდათოთხმეტი ფორმა ცნობილია მხოლოდ რა-ს ლიტანიიდან, რომელიც პირველად დადასტურებულია ახალ სამეფოში და შემდგომ უკვე მეტად შეზღუდულ კონტექსტებში გვხვდება. ვენტეს და ასმანის (Wente, Assmann) მსგავსად მიმაჩნია, რომ ლიტანია, მიწისქვეშეთის წიგნების დარად, შეიქმნა შუა სამეფოს ხანაში, ისე, როგორც დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი, თუმცა აღნიშნული ტექსტები მონუმენტებზე არ დაწერილა ახალ სამეფოს ხანამდე. სამოცდათოთხმეტი სახელის ჩამონათვალი, რომელიც არ წარმოადგენს უწყვეტ გადმოცემას, შესაძლოა, იყოს შუა სამეფოს წერილობით ვერსიებთან შედარებით ძველი, შესაბამისად, წარმოადგენდეს დაფარული ცოდნის ნაწილს იმ პერიოდიდან, სანამ ადგილი ექნებოდა წერილობითი ტექსტების გამოყენებას; საკითხის ამგვარი შეფასება არ მიმაჩნია მართებულიად. აღნიშნული მოსაზრებები მომდინარეობს ვენტესა და ასმანის სხვადასხვა ინტერპრეტაციიდან, რომ თავდაპირველი კონტექსტი მიცვალებულთა წიგნებისა არ წარმოადგენდა გარდაცვლილი მეფის ბედის ამბავს იმ ქვეყნად, არამედ ჩვეულებრივ სოლარულ კულტს ეხებოდა (ასმანი) ან მისმა ასპექტმა მოახდინა ინდივიდების „ინიციაციაში“ ჩართვა (ვენტე).

დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი შესაძლოა იმ რწმენის გამოძახილი იყოს, რომელიც ლიტანიაში სამოცდათოთხმეტი (აღნიშნული უფრო მეტად წარმოადგენს ჩამონათვალს და არა ექსპოზიციას) ფორმით ჩნდება, ან თვითონ მიგვითითებდეს ლიტანიაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მრწამსის განსაკუთრებულობა ინარჩუნებს თვითმყოფადობას: ამბავი წარმოგვიდგენს გასაიდუმლოებული ცოდნის გარკვეულ ნაწილს, რომელიც არასაკრალურ კონტექსტშია წარმოდგენილი. იგივე სავარაუდოდ შეესაბამება სიმპსონის „ასტრონომიული მეტაფორის“ ვერსიას. გასაიდუმლოებული ცოდნის აღნიშნული მაგალითები, ცვლილების გარეშე, ძნელად თუ მოხვდებოდა მოთხრობაში ისე, რომ მათი არაპირდაპირი გამოყენების ხასიათი წარმოადგენდეს მათი არსებობის განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული ცვლილებების გარდა, „ფოლკლორული“ ფორმა შესაძლოა იყოს სწორედ ის, რაც შესაძლებელს ხდის მათ გამოყენებას. ამის შედეგი არის ის დელიკატური ბალანსი, რომელიც ვლინდება ეხოთერული მასალის წარმოჩენასა და დაფარვაში. აღნიშნული ტრანსპოზიცია დაკავშირებულია ეგვიპტურ კულტურულ არტეფაქტებში დეკორუმის გავრცელებასთან (შენიშვნა 8).

ჯერჯერობით, ჩემ მიერ განხილულ იქნა კავშირები მოთხრობის წერილობით სტილსა და სხვა ვარიაციას შორის და, მეორე მხრივ კი, ზეპირსა და ფოლკლორულ სტილს შორის არსებული დამოკიდებულება, თუმცა მე არ დამიკავშირებია მოთხრობა რეალურ ფოლკლორულ ამბებთან, რის საფუძველს წარმოადგენდა მოთხრობისა და ეგვიპტურ რელიგიურ კონცეფციებს შორის არსებული კავშირები. ეს მიდგომა ერთგვარად შეზღუდულია, რადგანაც არსებობს ანალოგიები სიუჟეტსა და ფოლკლორულ ამბებს შორის. კურთის (Kurth) შენიშვნის თანახმად, შედარებები მოგზაურობასთან, გემის დაღუპვასთან და სხვა მაგალითებთან, სხვა კულტურებსა და ეპოქებში ბუნდოვან ხასიათს ატარებენ, თუმცა ზოგადად შესაბამისობაში მოდიან იდეასთან, რადგან ისინი წარმოადგენენ ამბის ნაწილს, რომელიც ფოლკლორულ მოდელში ჯდება. აღსანიშნავია გარკვეული შეხვედრები ეგვიპტურ მოთხრობებსა და ფოლკლორულ ამბებში წარმოდგენილ მოგზაურობის მოტივთან დაკავშირებით, თუმცა სინუხეს და ვენამუნის თანახმად, აშკარაა, რომ აღნიშნული თემა არ არის შეზღუდული ფოლკლორული სტილის ტექსტებში, ასე რომ, დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავში შესაძლოა ამ თემას ჰქონდეს უფრო ფართო მნიშვნელობა. ჩემი აზრით, აღნიშნულ თემას ორმაგი ხასიათი აქვს, ორივე ფოლკლორული დატვირთვისა და სცდება უშუალოდ ეგვიპტურ სამყაროს. ეს საკითხი სრულიად აშკარაა იმ კონტექსტში, როცა ნარატორი კოსმოსის კიდეში მოგზაურობს და ეს მომენტი ტექსტის ფორმალური და თემატური სტრუქტურის ნაწილის შემადგენელია, რომელშიც მოთხრობელის მოგზაურობა არის როგორც ლიტერატურული წიაღსვლა, ასევე პროგრესია ღირებულებებისა და გონივრული წვდომისა, რაც წარმოდგენილია მსმენელისთვის, ვიდრე მის მიერ არის გაცნობიერებული (სინუხეში პროგრესია უფრო შიდა ტრანსფორმაციის ხასიათს ატარებს).

საბოლოო ასპექტი ფოლკლორული ანალოგიისა არის ტექსტის დამოკიდებულება ზნეობასთან, ან მის ზნეობრივ გაგებასთან. გემის ეკიპაჟისა და გველის თანამგზავრების სასტიკი ბედი ტიპურია ფოლკლორული ამბებისათვის, სადაც ბოროტის განადგურება, ან სიუჟეტის მოქმედი პირების უბრალოება ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს. ტექსტში მოგვიანებით როგორც მთხრობელი, ასევე გველი პირველი ფათერაკის დაძლევის შემდეგ, აღარ ზრუნავენ გარდაცვლილი თანამგზავრების ბედზე. ამ შემთხვევაში ნებისმიერი წმინდა მორალური განცდები ნამდვილად უადგილოა. მსგავსი პერსპექტივა შესაძლოა გამოვლინდეს ტექსტის მრავალი საფეხურიდან მხოლოდ ერთ-ერთში.

ერთი მოტივი, რომელიც სავარაუდოდ დაკავშირებულია სიბრძნის ნაცნობ, თუმცა განსხვავებულ მახასიათებელთან, და რომელიც არ წარმოადგენს ფოლკლორულ მოტივს, არის ის, რომ გველი უარს ამბობს მთხრობელისაგან მიიღოს შესაწირი. ეს არის გველის მიერ შესაწირის უარყოფა, რომლის გაღებას ნარატორი სთავაზობს მას; შესაწირის უარყოფა ხდება იმის საფუძველზე, რომ მას (გველს) უკვე ყველაფერი აქვს საკმარისი რაოდენობით (149-52). როგორც ე. ჰორნუნი (E. Hornung) შენიშნავს, მსგავსი დაძაბულობა იდეებში არის ფუნდამენტური, ღვთაებებსა და კაცობრიობას შორის არსებული ურთიერთობის დროს; სანამ ადამიანები შეძლებენ ღვთაებებისთვის მსხვერპლის შეწირვას, ღვთაებებს (უკვე) ყველაფერი აქვთ, თუმცა ისინი ელიან ამ შესაწირს და ამისათვის პოზიტიურად არიან განწყობილები. დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავში შეთავაზებული შესაწირის უსაფუძვლოება შეიძლება შევადაროთ არფისტის ზოგიერთი სიმღერების პოზიციას, რომ აზრი არა აქვს ღვთაებისათვის შესაწირის გაღებას, რადგანაც ეს ბურუსით მოცულ მომავალს უკავშირდება, რაც ამ შემთხვევაში ადამიანის სიკვდილი და სამარხია. ერთი მხრივ, აღნიშნული წარმოდგენები დაკავშირებულია წარსულთან, რითაც გველიც ასხვავებს შესაწირს (159-60). შესაწირის უსარგებლობის იდეა ცნობილია დარიგებებიდანაც, თუმცა შესაწირის მნიშვნელობა განსხვავებულია იმ კონტექსტში, რაც თავდაპირველად დაკავშირებულია პერსონალურ მაგიურ და რელიგიურ საკითხებთან, ამის შემდგომ კი, ღვთაების კულტთან. ძირითადი საზრუნავი ამ შემთხვევაში დაკავშირებულია, როგორც ჩანს, იმასთან, რომ არანაირი კავშირი არ არის ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის, ღვთაებები არ შეისმენენ და არ პასუხობენ ადამიანის ყურადღებას. ეს აზრი ეწინააღმდეგება დაღუპული გემის მეზღვაურის კონტექსტს, თუმცა ამბავში აღნიშნული პრობლემა არ არის მთავარი, რადგან მითი, რომელსაც იგი მოიხსენიებს, სხვა რამეზეა ფოკუსირებული. ეჭვები და სკეპტიციზმი ამ ქმედების თაობაზე, რომ ადამიანები ღმერთებს შესაწირს მიართმევენ, როგორც ჩანს, ისევე გავრცელებული აზრია, როგორც თავად ღვთაებები. როდესაც გველი ავრცობს აღნიშნულ იდეას, სიტუაცია ირონიულია ღმერთისათვის, რადგან ღვთაება, რომელიც ყურადღებას აქცევს ადამიანს, ამ უკანასკნელს ეუბნება, რომ მან არ უნდა იზრუნოს ღვთაებებზე ტრადიციული გზით; ის ადამიანს აძლევს თითქმის ზუსტად იმას, რის შეთავაზებასაც თავად ადამიანი გვემავდა ღმერთისთვის. აქედან გამომდინარე, რომ შეხედულება შესაწირის გაღების შესახებ საზოგადოდ ყოველგვარ ეფექტურობას იყო მოკლებული, რთული დასაკავშირებელია სოციალურ ან რელიგიურ კონტექსტთან, თუმცა მნიშვნელოვანი არის ის, რომ აღნიშნული პოზიცია არ წარმოადგენდეს საკითხის უნიკალურ წვდომას. ამავე დროს, გველის საკუთარი გადატანილი ტანჯვის ისტორია გვიჩვენებს იმას, რომ არსებობს ერთგვარი დაწესებული ზღვრები როგორც ღვთაებრივ შესაძლებლობებზე, ისე ადამიანურ შესაძლებლობებზე, მსხვერპლის გაღების თვალსაზრისით.

მითი და მორალურობა

ფოლკლორი უზრუნველყოფს ქარგას, სიუჟეტს და რამდენიმე სხვა მახასიათებელს ტექსტისთვის, თუმცა, ზოგადად, ფოლკლორული ამბები არ შეიცავს ცენტრალურ რელიგიურ წარმოდგენებსა და ღირებულებებს, ეს მაშინ, როცა მითში ეს ყოველივე შერწყმულია; სამყაროს დასასრულის უმთავრესი იდეა და შემოქმედის გადარჩენა გველის სახით კი უფრო მეტად მითურია, ვიდრე ფოლკლორული. შესაბამისად, ტექსტი არ წარმოადგენს მითს, მიუ-

ხელაგად იმისა, რომ მითოსური ლიტერატურული ნარატივები, როგორც ჩანს, არსებობდა შუა სამეფოს პერიოდშიც. შესაბამისად, მითური ნაწილი ჩადებულია ფოლკლორულ ქარგაში და ძირითადად წარმოდგენილია ქარაგმული სახით და ძალიან არაპირდაპირი მოკლე მოთხრობის ფორმით. მითური მასალის მსგავსი ქარაგმული მინიშნებებით გამდიდრება ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ეგვიპტურ ტექსტებში. ერთი განმასხვავებელი ნიშანი აქ არის ის, რომ მითოსური ნაწილი მოცემულია გველის ამბით, რაზეც კეთდება კომენტარები. მითოსური ნაწილიდან განსხვავებული, უფრო კრიტიკული, ფოლკლორული კონტექსტი ექვექვემ აყენებს მოთხრობის სინამდვილეს და დამაჯერებლობას (ბოლო ნაწილში იყო ამაზე მსჯელობა). მიუხედავად ამისა, საეჭვოა, რომ მითი აღნიშნული მიდგომის გამო გაუფასურდეს. დაფარული/გასაიდუმლოებული ცოდნა აქ სათანადოდ დაცულია და წარმოდგენილია, რადგანაც ეს ცოდნა სხვაგან ვერ წარმოჩნდებოდა.

ეგვიპტური ფორმატისათვის ნორმალურია სამყაროს დასასრულის კონცეფციის აღწერა, რაც მიანიშნებს მითოსურ ვერსიაში მომავალზე, თუმცა აღნიშნული ამ კონტექსტში მისაღებაა, რადგან იგი მოცემულია თხრობით სტრუქტურაში, მოცემულია წარსულ დროში და გააჩნია აწმყოს მნიშვნელობა, რაც ანადგურებს დროისა და სივრცის განზომილებებს. მსგავსი მოთხრობების კომპლექსური ხასიათი აშკარაა აღნიშნულ მაგალითში, რადგან გველის მოკლე ამბავი (126-32; ათი მეტრული ხაზი) წარმოდგენილია ცალკე და მას მოსდევს მორალი, ამ ამბიდან გამომდინარე, ხოლო ამ ორ ტექსტში ისე ჩანს, თითქოს მოკლე ტექსტი გაერთიანებულია უფრო დიდი მოცულობის მოთხრობაში, თუმცა აღნიშნული ერთიანობის შემთხვევითობის ვარაუდი უსაფუძვლოა. უფრო მეტადაც, აღნიშნული მოკლე, ძირითადი პასაჟი მითოსურ განსაკუთრებულ ფოკუსირებას და, შესაბამისად, „გამოყოფას“.

სამყაროს დასასრულის მითის კავშირი მორალურობასთან ჩნდება დაღუპული გემის ამბავში, CT 1130 და BD 175. თითოეულ შემთხვევაში მორალი სულიერ, ან მშობლიურ ღირებულებებს ანიჭებს უფრო მეტ მნიშვნელობას, ვიდრე დიდებას, წარმატებას, ან სიმდიდრეს. სარკოფაგის ტექსტების თანახმად, ადამიანური ყოფა იმიტომ შეიქმნა, რათა ამით ხელი შეწყობოდა თანასწორობას და ღირსეული საქციელის წარმოჩენას სიკვდილის მოახლოების მომენტში – ეს კონცეფცია შესაძლოა უკავშირდებოდეს ცოცხლებსაც და მიცვალებულებსაც. შემდგომ პასაჟში, რომელიც შესაძლოა მომდინარეობდეს ცალკეული წყაროდან, ეს განცხადება რელატივირებულია დეკლარაციით, რომ ყველაფერი დასრულდება და დაიწყება თავიდან, თუმცა ამ ფართო კონტექსტის მნიშვნელობა აქ დაკავშირებულია მხოლოდ ტექსტის სამგლოვიარო მიზნებთან. BD 175-ში შემოქმედი ღმერთი ოსირის დალოცავს, რომელიც გადარჩება სამყაროს დასასრულის შემდეგ და რომელთანაც მიცვალებულები არიან გაიგივებულნი: „სახეშეცვლილები წყლის სავანეში, ჰაერში და (სექსუალური) კმაყოფილება და სიმშვიდე გულში, პურისა და ღუდის სანაცვლოდ“. დაღუპული მეზღვაურის გემის ამბავში მორალი ნაკლებად გასაგებია. მისი „თანამგზავრების“ განადგურების შემდეგ გველი, როგორც ჩანს, მშვიდდება საკუთარ მწუხარებას შეგუებული. ეს მომენტი თავისი მნიშვნელობით შედარებულია გემის ეკიპაჟის დანაკარგთან, თუმცა გველის სიტყვა ამის შემდეგ მოთხრობელს უქადის დაბრუნებას ოჯახში, რაც „ყველაფერზე უკეთესია“, – დასასრული, რომელიც დამოკიდებულია მისი „გულის“ „გაკონტროლებაზე“ (132-4). აღნიშნულ მომენტში, ის (მეზღვაური) უგულებელყოფს ექსპედიციის წინამძღოლის როლს ჩვეულებრივ ინდივიდთან მიმართებაში (შენიშვნა 9) – ისევე როგორც CT 1130-ის ღირებულებები დაკავშირებულია მთელ კაცობრიობასთან – თუმცა იგი ასე აღარ იქცევა ტექსტის გაგრძელებაში.

მორალი, რომელიც გველმა გამოიტანა თავის გამოცდილებიდან, წარმოადგენს ტექსტის ყველაზე უფერულ და პარადოქსულ ელემენტს. ამ კონტექსტის მითოსური ინტერპრეტაციის თანახმად: კოსმოსისა და იმ სხვა არსებების განადგურების შემდეგ, ვისთანაც გველს უცხოვრია, ყველაფერი ის, რაც გადარჩენილია, დაკავშირებულია ძღვეამოსილების წარმოჩენასთან, დანაკარგის მიუხედავად. იმ შემთხვევაში, თუ გველი შემოქმედი, ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ დანაკარგის გამო, რომელიც დაეკისრა ფიზიკურ ძალას – მეტეორს – ვიდრე ღმერთის ნებას. ამ ადგილების წაკითხვა მორალურ კონტექსტში, რო-

გორც ჩანს, ნაძალადეგ ფორმას ატარებს, რადგანაც ამ მოვლენებში მონაწილეობას იღებენ ზემორალური და ზეპერსონალური კატეგორიები, თუმცა აღნიშნული ამგვარად უნდა იქნეს შენარჩუნებული, რადგან გველი ამას დეტალურად წარმოადგენს ამ კონტექსტში და ამ ქარგაში აქცევს მთელ ტექსტს. თავისუფალი ნებისა და ღვთაებრივი ცოდნის საკითხები ასევე გამოხატულია გველის თხრობაში და მომავლის პირობით განჭვრეტაში – თუმცა აღნიშნული აბსტრაქტული პირობითობა შესაძლოა ზედმეტად დაემსგავსოს დასავლურ კატეგორიებს. CT 1130-ის და BD 175-ის პარალელები მიუთითებს მითის მორალურ წაკითხვაზე, რომელიც, როგორც ჩანს, მოცილებულია მისი ბუნებრივი კონტექსტიდან. CT 1130-იც ათავისუფლებს შემოქმედს თეოდიციისგან (შენიშვნა 10). მითები, როგორც ჩანს, მორალურად ნეიტრალურია, ან ამბივალენტურია და იშვიათად გამოხატავენ მორალურ გზავნილს; აღნიშნული მორალიზება წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს, რაც განმმარტებლებს აფიქრებინებს, რომ ეს ტექსტები წარმოადგენენ ლიტერატურულ და არა სამგლოვიარო ხასიათის მქონე ტექსტებს. არც ერთ ტექსტს არ გააჩნია მითიური მოთხრობისათვის დამახასიათებელი ფორმალური ნიშან-თვისება.

ეს მითიური კონტექსტი საზოგადოების და სამყაროს ფართო „ისტორიული“ სირთულის ნაწილს წარმოადგენს. სოციუმისა და სამყაროს წესრიგის ეგვიპტური კონცეფციების ძირითადი სიმკვიფრე შეიძლება შევადაროთ წარმოდგენას, როცა ყველაფერი დასრულდება, რასაც გველი აძლევს ასეთ ცოცხალ სახეს, მაშინ, როცა წესრიგის ზოგიერთი მახასიათებელი, ისეთი, როგორიც არის სოღარულ კულტთან დაკავშირებული ტექსტების შეზღუდვა, პარალელურია ეზოთერული ცოდნის აღორძინებასთან და ცალკე ამბავშია წარმოდგენილი მზის სამოცდაათოთხმეტე ფორმასთან ერთად.

ამბის ბოლო „მითიური ელემენტი“ კუნძულია. აღნიშნული ნაწილი თვითონ არ წარმოადგენს მითს, თუმცა, როგორც ჩანს, უკავშირდება ისეთ კონცეფციებს, როგორცაა იდეალური ეალუს სამიწათმოქმედო მინდვრების არსებობა, რაც დადასტურებულია პირამიდის ტექსტებში და დამახასიათებელია BD 110-ის სცენისთვის. ამ შედარებისათვის კონკრეტულ საკითხს აქ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კუნძული უნდა დამუშავდეს (47-52). ეალუს მინდვრების ნებისმიერი აღდგენის მცდელობა დაკავშირებული უნდა იყოს „ესხატოლოგიური“ ხასიათის ნარატივთან, რომელიც ასახავს გველების განადგურებას ისე, რომ არანაირი ზოგადი ხედვა სიცოცხლის შემდგომ ცხოვრებისა, ან რაიმე არსებების შესახებ, უკვე აღარ ჩანს; კუნძული ასევე არ არის აღწერილი, როგორც სულთა განსასვენებელი. მისი რეალური არსებობა მოთხრობის ფარგლებში პრობლემატურია გველის განცხადებების გამო, რომელიც ამბობს, რომ ეს არის „ka-ს კუნძული“ (114) და რომ მოთხრობელი „არასოდეს არ ნახავს ამ კუნძულს, რომელიც წარმოიქმნა ტალღებიდან“ (153-4; აქ თარგმანი უტყუარი არ არის). ამგვარად, ეგვიპტური მრწამისათვის დამახასიათებელი ინტეგრალური შეხედულება სიცოცხლის შემდგომ ცხოვრებისა, უფრო მითურია, ვიდრე ფოლკლორული, რაც მოთხრობაში შესაძლოა გარდაიქმნას ფიქციურ, მორალურ პარადიგმულ ელემენტად. მსგავსი მიდგომა მხოლოდ ლიტერატურული ფიქციისათვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი.

ასეთი მიდგომა არ აკნინებს კუნძულის მნიშვნელობას, ან ასოციაციებს, რადგან ეს შესაძლოა ასევე დაკავშირებული იყოს პირველყოფილ გორაკთან, ან პირველი შესაქმის გარემოსთან; აღნიშნული პასაჟის წაკითხვა გარკვეულწილად კავშირშია და დამოკიდებულია პრობლემურ 11 153-4 ხაზის წაკითხვაზე (იხ. ზემოთ). ციკლურ ხედვაში შდრ. CT 1130. ყველაფრის სასრულის ადგილი შესაძლოა იყოს სწორედ ყველაფრის დაწყების ადგილი, თუმცა კუნძულის კულტივირება ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

ფორმა

სინუხეს მსგავსად, დაღუპული გემის მეზღვაურს გააჩნია შიდა ციკლური ფორმა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია A B C D C' B' A', სადაც A, A' არის *ḥmsw*-ის და წინამძღოლის ქარგა, B, C, C' – მისი მოთხრობელის გამგზავრება და დაბრუნება, C, C' – მისი ცხო-

ვრება კუნძულზე და D – ცენტრალური ნარატივი კუნძულისა და გველის შესახებ. A, A'-ში მოხრობელს და წინამძღოლს უკავია ეგვიპტურ ელიტაში მათი ჩვეული როლი, მაშინ, როცა C, C' წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების სამოთხისეულ ანალოგიას, რომელშიც ღვთაებაც შეიძლება შეგვხვდეს.

ბჭკარედული წაკითხვა ინტერვალებს შორის, განგრძობით ფორმაში, ქმნის სირთულეებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ერთგვარი წინააღმდეგობა: გველის მიერ ყოფითი ცხოვრების იდეალის წარმოდგენა და წინააღმდეგობა B-ს სოციალურ ინტეგრაციასა და წარმატებას შორის, რაშიც მოხრობელი იწყებს მოქმედებას, როგორც ექსპედიციის წინამძღოლი; აქ მას, როგორც წინამძღოლს ისე მიმართავენ; B'-ში ის იღებს ჯილდოს სახით -სახლში წარმატებულ დაბრუნებას. ამდენად, მაშინ, როცა სინუსეს მოუხმობენ ეგვიპტეში, მისი მეუღლე და ოჯახი პალესტინაში რჩება, რაც წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს; ამდენად, გველის მოკრძალებული იდეები სამოთხის კუნძულის ანალოგიასთან დაკავშირებით, ერთგვარ შეუსაბამო ხასიათს იძენს ელიტურ წევრებთან ინტეგრაციის და ამბიციების კონტექსტში, მაშინ, როცა ეს გამოხატულია იმ კონტექსტში, როდესაც წინამძღოლს უხმობენ ეგვიპტეში დასაბრუნებლად. ტექსტის მნიშვნელოვანი შეკუმშვა აქ არ შეიძლება, რადგან არაფერი არ მეტყველებს იმის შესახებ, რომ მოხრობელი არ დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს; ეს არ წარმოადგენს სადავო საკითხს, არამედ ინტერესის მთავარი საკითხია. ნარატივის თვალსაზრისით, აღნიშნული ფორმატი მოხრობელის ამბავს უფრო მჭიდროდ აკავშირებს წინამძღოლის ამბავთან, ვისაც სჭირდება, რომ საკუთარი ექსპედიცია წარუდგინოს მეფეს: ეს მნიშვნელოვანი გამგზავრება და დაბრუნება „სიუჟეტში“ წარმოჩენილია სტრუქტურული უპირატესობით. ჩადირული გემის მეზღვაურების ბედი ანალოგიურად არ არის რელევანტური ტექსტის დანარჩენ ნაწილთან მიმართებაში.

აღნიშნული სტრუქტურის შედარებით რთულ ნაწილს წარმოადგენს ღვთაება გველის თხოვნა ნარატორისადმი, რომ: – „მისი (გველის) კარგი სახელი (რეპუტაცია) განაგრძოს შენს (ნარატორის) ქალაქში“ (159-60). მაშინ, როცა ნარატორი ბრუნდება ეგვიპტეში, დაბრუნების შემდეგ აღნიშნული თხოვნის შესახებ უკვე არაფერია ნათქვამი ტექსტში. ეს საქმე უკვე განცხადების გარეშე ხორციელდება, რადგან, როდესაც გველი ითხოვს აღნიშნულის გაკეთებას, ეს კეთდება კიდევ, თუმცა ეს ცოტაოდენ პარადოქსულია, რადგან არც გველი და არც სხვა რომელიმე პერსონაჟი დასახელებული არ არის ამ დროს. ეს ანონიმურობა პარალელურია CT 1130-ისა. ნარატივის სხვა ანალოგია დაკავშირებულია ღვთაება რა-ს „ნამდვილ“ სახელთან, რასა და ისისის ამბავში, როცა ისისი ღვთაებას (რას) წარმატებით გამოძლავს მის ნამდვილ სახელს, თუმცა საზოგადოება ამას ვერასდროს ხვდება (იხ. ზემოთ, შენიშვნა 55). ამბის უმთავრესი აზრი და მისი ჩართვა მაგიურ შელოცვაში დაიკარგებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოჩნდებოდა; მსგავსად ამისა, თუ გველი დასახელებული იქნებოდა, დაიკარგებოდა მისი არსის მნიშვნელოვანი ნაწილი და ის უცნობი (148) აღარ იქნებოდა ხალხისთვის. უფრო ზოგადად თუ განვმარტავთ ამ ნაწილს, ტექსტში გამოყენებული აკრძალული ცოდნა მოითხოვს უფრო ქარაგმულ მინიშნებებს, ვიდრე კონკრეტულ ახსნას; სხვაგვარად თუ ავსნით ამ მოვლენას, ეს არის ფართოდ გავრცელებული ფორმა, როცა მითის ჩართვა, ინტეგრირება ხდება ეგვიპტურ ტექსტებში (იხ. ზემოთ, შენიშვნა 56).

სავარაუდოდ, აღნიშნული ტექსტი ორ ადგილას იდენტიურობას ფარავს ნაწილობრივი სტრუქტურული მექანიზმების საშუალებით. პირველ შემთხვევაში გველი ეუბნება მოხრობელს, რომ „ღვთაებამ“ მიანიჭა სიცოცხლე და მიიყვანა იგი კუნძულზე (113). გამომდინარე იქიდან, რომ თავად გველი არის ღვთაება და შესაბამისად მხსნელადაც გვევლინება, „ღვთაება“ შესაძლოა თვითონ გველი იყოს; მისი მოხსენიება მესამე პირში წარმოადგენს ერთგვარ შენიღბვას. ალტერნატიული ხედვა არის ასევე ის, რომ „ღვთაება“ შესაძლოა იყოს განზოგადებული არსება, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა დარიგებების ტექსტებში; იმ მინიშნებიდან გამომდინარე, რთული იქნება იმის თქმა, თუ რომელი ღვთაება უნდა იგულისხმებოდეს ამ შემთხვევაში. კატასტროფიდან ხსნა უკავშირდება ღვთაებრივ ფაქტორს, რაც ამ შემთხვევაში არ ითხოვს დაკონკრეტებას. ამ მონაკვეთის ადრეული წაკითხვა უფრო შემჭიდროებუ-

ლია და, შესაბამისად, მას ენიჭება უპირატესობა. მეორე მისტიფიკაცია სრულდება იქ, სადაც ქარგაში მოხრობელი მოხსენიებულია პირველი პირით: „შემდეგ მან (წინამძღოლმა) მოთხრა მე (მოხრობელს)“ (183), ეს ნაწილი, როგორც ჩანს, ბუნდოვანს ხდის ამბის დონეებს შორის არსებულ სხვაობას (ზემოთ მოცემულ სქემაში აღნიშნული ნაწილი არის – A'). რთული დასაჯერებელია, რომ აღნიშნული დეტალი წარმოადგენს შეცდომას, რაც დაკავშირებულია მესამე პირის ნაცვლად პირველი პირის მოხსენიებასთან, რადგან მესამე პირის გამოყენება აქ მოითხოვდა *Smsw*-ის დასახელებას ტიტულით და არა ნაცვალსახელით. ეს მომენტი შესაძლოა მივიჩნიოთ ტექსტის დაზიანების შედეგად გამოწვეულ ხარვეზად, რაც სავსებით შესაძლებელია; ამავე დროს აღნიშნული პასაჟის ინტერპრეტაცია შესაძლებელია იმგვარად, როგორც ის არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონდეს სტრუქტურაში დამატებითი (საგანგებო) დონის ჩამატებას ისე, რომ მოხრობელის ამბავი მოიცავდეს თანამოსაუბრის პასუხს ისეთი სახით, რაც არ არის გამჟღავნებული ამბის დასასრულამდე. შესავალი ნაწილი, რომელიც ამბის პირველი პასაჟის დროს ჩნდება, შეიძლება, შემდგომ გამხდარიყო ერთადერთი ელემენტი, რაც მოგვცემდა ნეიტრალურ საფუძველს. მსგავსი სტრუქტურა შესაძლოა ასევე იყოს ფიქცია, რომელსაც, როგორც ჩანს, ციკლში გარკვეული ჩართვა აქვს. ეს დეტალი წარმოადგენს კიდევ სხვა მინიშნებას იმის თაობაზე, რომ დონეებს შორის არსებობს ერთგვარი მრავალშრიანობა.

მოთხრობისთვის ყველაზე დამახასიათებელი ელემენტი არის თხრობის პირველ პირში გადმოცემა. სხვა რამოდენიმე ლიტერატურული ნარატივი მსგავსი სახით არის გადმოცემული, თუმცა ეს ნარატივები შედარების თვალსაზრისით უკვე შორს დგანან დაღუპული გემის მეზღვურის ამბისაგან. მოთხრობაში პირველი პირის ნაწილობრივ გამოკვეთილი სახე და ამავე დროს მნიშვნელოვანი ხასიათის მქონე მესამე პირის ქარგა, მცირედ ეფექტს ახდენს აუდიტორიაზე, თუმცა აღნიშნული მომენტი შესაძლებელია ყოფილიყო განსხვავებული იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი წამოადგენდა ციკლის ნაწილს, რომელიც, როგორც ჩანს, შედგებოდა პირველი პირით გადმოცემული მოთხრობებისგან. პირველი პირის სახის წარმოჩენა არ არის დამახასიათებელი ნორმა ნარატივისათვის, მითების, ან ფოლკლორული ამბებისათვის. ამგვარად, ამ ფორმის ლიტერატურული გამოყენება წარმოადგენს ერთგვარ ირონიზირებულ ვარიანტს და ამავე დროს რწმენის საკითხებს ერთგვარი ეჭვის ქვეშ აყენებს. საზოგადოდ, ეს მომენტი შესაძლოა შეეხოს შუა ეგვიპტურ სხვა მოთხრობებსაც, მაგალითად, „მწყემსის ამბავში“, სადაც ადამიანი ხდება ღვთაებას (იხ. ზემოთ, შენიშვნა 6). აქ ლიტერატურული პარადოქსია პირველი პირის (მხოლოდითი და მრავლობითი) განსაკუთრებული აქცენტირება, რადგან ტექსტი შეიცავს არა ლიტერატურულ, არამედ ჯადოქრულ შელოცვას.

სხვა ანალოგი პირველი პირის გარშემო წარმოდგენილია ღვთაების სიტყვაში, ან არეტალოგიაში. ეს მომენტი საგულისხმოა, რადგანაც ორივე შემთხვევაში აღნიშნული ფორმები ჩნდება მეტად სპეციფიკური ხასიათის ლიტერატურულ ტექსტებში, როგორცაა, მაგალითად, დარიგებანი. ამდენად, თემატურად შესაბამისი CT 1130 სწორედ მსგავს სიტყვას წარმოადგენს. გველის მოთხრობა შესაძლოა შევადაროთ ამ უკანასკნელს – CT 1130, რომლისგანაც იგი განსხვავდება იმით, რომ თემას წარმოადგენს კონკრეტული, კომენტარების გარეშე გაკეთებული ფორმით, მაშინ, როცა შელოცვა ხასიათდება თხრობის მახასიათებლებით და გააჩნია როგორც დიდაქტიკური, ასევე თემატური წყობა.

ამდენად, პირველი პირის ჩართვა კონტრასტებს იწვევს ტექსტის ძირითად სტრუქტურასთან მიმართებაში; თვალსაჩინოს ხდის, რომ ის, რაც შესაძლოა მიიჩნეოდა ფოლკლორულ მოთხრობად (ტექსტი არ უნდა ავურიოთ მითის „ნამდვილ“ თხრობაში), სინამდვილეში სულ სხვა რამეს წარმოადგენს, მაშინაც კი, როცა ის გვთავაზობს გველის მთავარ სიტყვას, რომელიც განსაკუთრებულია და სერიოზული, მაინც ხელოვნურია, და ღვთაებრივი სიტყვის სახეა. ამავე დროს, პირადობის მომენტი ახდენს უმნიშვნელო გაგლენას იმაზე, თუ როგორ არის მოთხრობელი წარმოდგენილი, რაც ადგილს უთმობს ირონიასა და გაურკვევლობას, რაც, ბუნებრივია, ცხადი იქნებოდა მსმენელისათვის. არსებული კონტრასტის ჩართვა, რაც ახასიათებს მრავალ მოთხრობას, გამოიხატება შემდეგში: თუ რამდენად სანდოა ნარატორი

და რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ჩვენება, რომელსაც იძლევა ნარატორი პირველ პირში შემადრწუნებელი გამოცდილების შესახებ.

პირველი პირის ფორმა არ გამოიყენება ფართო განზომილებაში, ხასიათის გამოკვეთის თვალსაზრისით (იხ. ზემოთ, შენიშვნა 59). მისი პოტენციალი დასაწყისში აშკარა ხასიათს ატარებს, აქ მდუმარე „თანამოსაუბრე“ კონტრასტულია სიტყვამრავალ მთხრობელთან, ანუ ნარატორთან მიმართებაში. მოგვიანებით, მთხრობელი თანდათანობით აღმოაჩენს, რომ ამბავს დაზუსტებით არ განაცხადებს; რომ კუნძული არ არის ათვისებული და დაშუშავებული (47-52); რომ კუნძული უფრო მეტად განეკუთვნება კულტურის სფეროს და არა ბუნების ნაწილს, მაგრამ, ამავე დროს, კუნძული იწვევს სამოთხის ასოციაციას. აღნიშნული არაკომენტირებული განცხადება უფრო ეფექტურ ხასიათს ატარებს პირველი პირის თხრობის დროს, რომელიც ძალზე მოკლეა და ლაკონიური.

დიდაქტიკური ასპექტები და სტრუქტურული მოტივი

ბრაიანი დისკუსიებში ყურადღებას ამახვილებს ნარატორის ხასიათზე; ავტორი მის ხასიათს დარიგებების ტექსტებში მოცემულ ქცევის იდეალურ ნორმებთან აკავშირებს, რომელთა უმრავლესობას ნარატორის ქმედებანი ეწინააღმდეგება. ბრაიანის პარალელები, ეგვიპტური ლიტერატურული ფრაზეოლოგიის ჰომოგენურობის ჩვენების თვალსაზრისით, მართებულია, თუმცა მისი დასკვნები პრობლემურ ხასიათს ატარებს, რადგან ნარატორის/მთხრობელის კატეგორიის შედარება დარიგებების ტექსტების ფორმალიზებურ სოციალურ კონტექსტთან არ შეიძლება, რადგანაც ფოლკლორული ანალოგია ეწინააღმდეგება ფრაზეოლოგიის გამოყენებას საკუთარი თავის წარმოჩენის თვალსაზრისით. ამგვარად, ეს ანალოგია არ შეესაბამება დიდაქტიკურ ტექსტს. განსხვავება იჩენს თავს ქარგასა და მოთხრობას შორის. ქარგაში ფრაზეოლოგია შესაძლოა კარგად შეესაბამებოდეს მის მიზნობრივ, თვალსაზრისით მიზნებს. მხოლოდ რამდენიმე პირველი წინადადება (1-11) გამოიყურება განსხვავებულად სამეფო და არასამეფო წარწერებისაგან, რომლებიც მოგვითხრობენ უცხოეთში განხორციელებული ლაშქრობების ამბების შესახებ და ამ გზით იქმნება შესაფერისი კონტექსტი მოთხრობის დანარჩენ ნაწილთან მიმართებაში. ამას მოსდევს პირდაპირი მორალიზების საკითხი, რომელიც წინამძღოლს ეხება, რაც უკვე ქმნის ერთგვარ მოტივაციის საფუძველს სპეციფიკური ამბის გადმოცემაში (12-19). აღნიშნული მომენტი მოიცავს ახლო პარალელებს და კონტრასტებს მორალისა და ნარატორის ქმედებებს შორის, თუმცა ოპოზიციის არსებობა ძვეს მის კონტექსტში, მის რელატივიზაციასა და მობილიზაციაში, რაც მოთხრობას ახასიათებს ზოგადად და არა ისე, რომ თვითონ მთხრობელის ქმედებებს გაუკეთდეს შეფასებები. ამის საწინააღმდეგოდ, გველის მორალური ასპექტები (132-4) გადმოცემულია დიდაქტიკური ტექსტების მსგავსი ფრაზეოლოგიით და იმ ფრაზების ეპითეტებით, რომლებიც გვხვდება ბიოგრაფიებში, თუმცა ეგზოტიკურ გარემოში ეს უნდა ხასიათდებოდეს განსხვავებულად, არსებული ჩვეული სენტიმენტებისაგან, რაც, თავის მხრივ, მოკლებულია რაიმე დირებულებას: ამ ფასეულობების სისტემას გააჩნია გასაოცარი ხასიათი, გამომდინარე მათი პარადოქსული ჩართვებიდან. მხოლოდ მთლიან ტექსტთან ფასეულობათა ამ სისტემის ერთიანი ინტეგრაციით ხერხდება მათი განზოგადება; ამდენად, რთულია მსჯელობა იმის თაობაზე, თუ ზოგადად ეს ჩართვები რას გულისხმობს მოთხრობაში.

მთხრობელის მიერ საკუთარი თავის უადგილო წარდგენა გველის წინაშე შესაძლოა ატარებდეს როგორც ირონიულ, ასევე დიდაქტიკურ ხასიათს. ნარატორის საწყისი მოწოდება მეფის წინაშე ქცევების შესახებ შეესაბამება მის შეხედულებას, თუმცა მისი გველთან მოქმედება თითქმის ბოლომდე წინააღმდეგობაში მოდის მის საკუთარ რეკომენდაციებთან. მიუხედავად ამისა, ის იღებს პასუხს, რაც გაცილებით რთულია, ვიდრე სინუხეს ანალოგიური დაძაბული მდგომარეობა მეფის წინაშე (B 252-6). ამ ირონიის „წაკითხვა“ წარმოაჩენს სიტუაციას: მიუხედავად მისი წარუმატებელი დასასრულის და რთულ სიტუაციაში უნიათო, უგერგილო ქმედებისა, ვიდაცას მაინც შეუძლია დაბრუნდეს და „მიადწიოს ქვეყანას“ წარმატებულად; ბოლო ნაწილში გაჩენილი მითითება „შემომხედე მე“ ამ იდეას ამყარებს. წარუმა-

ტებლობა, როგორც ასეთი, არ არის გაცხადებული მრავალი სიტყვით, მაგრამ ამის გაგება სავსებით შეეძლო წინამძღოლის, ან დამსწრე საზოგადოებას. ამ მონაკვეთის წაკითხვა მიუთითებს იმაზე, რომ ჩნდება ორგვარი ირონია, მიმართული მთხრობელის თვითცნობიერისა და ასევე აუდიტორიის მიმართ. ამგვარი ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, ტექსტი „გვასწავლის“ და, ამავდროულად, მისი ლიტერატურული ქარგა რელატივიზებულია სხვადასხვა გზით. „სწავლებას“ უფრო მეტად ტექსტის შიდა ნაწილი ეთმობა, ის არ ატარებს განზოგადებულ ხასიათს და აღნიშნული არ უნდა იყოს დანახული, როგორც პირველადი დიდაქტიკური თვალსაზრისით წარმოდგენილი ნაწილი.

არსებობს აგრეთვე სხვა მიდგომა, სადაც აშკარაა, რომ მორალურმა, ან დიდაქტიკურმა შეგონებებმა შესაძლოა შექმნას ერთგვარი ორგანიზებული პრინციპი, სადაც ყველაფერს არ აქვს მხოლოდ დიდაქტიკური სახე. თუ ტექსტის ლიტერატურულ პრინციპებს შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამბავი კონფორმაციაზე, გამოცდილების მიღებაზე და ამ გამოცდილებიდან სათანადო დასკვნების გამოტანაზე; აგრეთვე, ამ გამოცდილებიდან მიღებული ცოდნის უკვე სხვათათვის გაზიარების შესახებ, მაგრამ ისე, რომ ამას ჰქონდეს გარკვეული ღირებულება. ტერმინების ვერბალური ასოციაციები მიუთითებს აღნიშნული გამოცდილების „გემოზე“, სიმწარეზე, ან პირიქით. ამის შემდგომ მოდის ასევე საბოლოო შეგონება, რომელშიც ამგვარ გამოცდილებას აქვს ერთგვარი მნიშვნელობა, მივყავართ სიკვდილამდე და მომდევნო პასაჟი – რომელიც უკავშირდება შემდგომ ცხოვრებას; ამგვარად, გველის მორალიზება ეხება და ქმნის კოსმიურად ტრანსიდენტალურ პრინციპს, რომელიც ამავდროულად შეესატყვისება უმარტივეს და საზოგადო ჭეშმარიტებას. საბოლოოდ, ფარისევლური აღტყინება და წარმოჩენილი ოპტიმიზმი, რითაც მთხრობელი წარმოადგენს მის მიღწევას „სასურველ ქვეყნამდე“, თავად ერთი ფრაზით არის გაუფერულებული; კვდომა, რასთან მიმართებაშიც აღნიშნული ეუფემიზმია, რაც ყოველთვის ამბივალენტურია, ყოველგვარი იმედების არსებობის მიუხედავად. აქ სიკვდილი შესაძლოა არ იყოს მთავარი მინიშნება, არამედ იყოს ასოციაცია.

ყურადღების ერთგვარი გამახვილება უარყოფით გამოცდილებაზე აგრეთვე ჩართულია ნარატორის მიერ ამბების თხრობაში, წინამძღოლის საბოლოო კომენტარში. მთხრობელი იწყებს მოყოლას, რომ ექსპედიცია, საიდანაც ისინი ბრუნდებიან – წარმატებულია, სულ მცირე იმ თვალსაზრისით, რომ ეგვიპტეში დაბრუნებისას არ განიცადეს რაიმე ზიანი, თუმცა, შემდგომ აღნიშნავს, რომ მიზანი ვერ იქნა მიღწეული. მიუხედავად იმისა, თუ როგორ იქნება გაგებული წინამძღოლის პასუხი, მას არ სჯერა, რომ ექსპედიცია წარმატებული იყო. ამგვარად, „პესიმიზმი“, კურთის აზრით, საჭიროებს ერთგვარ განმარტებას, როგორც განმასხვავებელი მახასიათებელი, რომელიც წარმოადგენს ტექსტის ორგანიზაციისა და თემის განუყოფელ ნაწილს. შესაძლოა, რომ იყოს ირონია იმაში, რომ წინამძღოლი ოპტიმიზმით არ ეკიდება ამ გამოცდილებას, რაც გადაიქცევა პოზიტიური ეფექტის მქონე ფაქტად, მაგრამ ის შესაძლოა ეხებოდეს კატასტროფას, რომელიც უნდა მოხდეს. როგორც „მხილველი“, იგი შესაძლოა უკავშირდებოდეს ფართო აუდიტორიას, თუმცა არ აღნიშნავს, რომ მისი შეხედულება შესაძლოა მთლიანად იქნეს გაზიარებული. მისი პასუხი შესაძლოა ასევე შევადაროთ მოთხრობებს, სადაც ადამიანი მის ბა-სთან საუბრობს, სადაც გადმოცემულია არაპირდაპირი სახით უიმედობის ილუსტრაცია. თუკი წინამძღოლი ჩავიდოდა მეფესთან, ალბათ, მას ყველაფერი ეპატიებოდა, თუმცა სიტუაციის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, რომ იგი მეფესთან არ ჩასულა და, ამგვარად, ეს ნაწილი ღიაა სხვადასხვა ალტერნატივისთვის. წინამძღოლის უსიამოვნო ცხოვრებისეულ გამოცდილებას პარალელები აქვს გველის კატასტროფასთან მიმართებაში, სანამ ეს გამოცდილება გადაიქცევა ცოდნად, რომელიც გვასწავლის, და ამ გზით ეს კვლავ მობილიზდება ეზოთერულ ცოდნად, რაზეც დაფუძნებულია გველის ძირითადი ამბავი.

გამოცდილების მორალური მხარე არის წარმოდგენილი არსებით ნაწილად შესავალში, გველის მიერ საკუთარი ამბის წარმოდგენისას და მის დასკვნით ნაწილში. აღნიშნულს გააჩნია ღრმა დატვირთვა მოთხრობის მოტივაციაში სხვა მრავალი მახასიათებლების დარად,

გარდა საკუთრივ „მორალური“ მნიშვნელობისა, რომელიც მას ზოგადად შესაძლოა ჰქონდეს. არ არის აუცილებელი, რომ გამოცდილების აღნიშნული ორგანიზებული პრინციპი ატარებდეს დიდაქტიკურ ხასიათს; აღნიშნულს შესაძლოა ჰქონდეს უფრო ფართო ესთეტიკური და ლიტერატურული მნიშვნელობა. მრავალ ლიტერატურულ ნაშრომს, ფართო მოცულობის ნაწარმოებების ჩათვლით, ხშირად გააჩნია ერთგვარად ორგანიზებული თემები, ისეთი, როგორცაა, მაგალითად, ამბიცია, შურისძიება, ან ბედისწერა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს მათ ამცრობს მორალური განცხადებების დონემდე.

არგუმენტების რიგი აფართოებს ინტერპრეტაციის პრინციპებს, თუმცა შესაძლოა იყოს სასარგებლო ეგვიპტური ნაშრომების სხვა ლიტერატურულ ტიპებთან შედარებისას. ასევე, ტექსტის კომენტარები საკუთარ თავზე თხრობისას ამდაფრებს გამოცდილების თემის არსებობას. აღნიშნული არ უნდა იყოს დანახული, როგორც აბსოლუტური ორიენტირი, არამედ კონტექსტურად მნიშვნელოვან ორიენტირად განიხილება. „მოგზაურის“ შემთხვევაში გამოცდილება, და თუ როგორ არის ეს გამოცდილება გამოყენებული, წარმოადგენს გადაამწყვეტ, არსებით მომენტს საბოლოო ბედისწერამდე. ერთგვარი ასოციაციით, აღნიშნული მოგზაურობა შესაძლებელია იყოს თავად ცხოვრების მოგზაურობა, თუმცა ტექსტის მნიშვნელობა არ მცირდება ამ დონემდე, უფრო მეტიც, ეს შესაძლოა წარმოადგენდეს ერთგვარ აბსტრაქტიზებას და მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ მოთხრობა ელიტარულ გარემოს ეხება და ამ გარემოს ფრაზეოლოგიით არის შექმნილი (შენიშვნა 11).

დასკვნა

აღნიშნული გამოცდილების თემატიზაცია უნდა იყოს დაკავშირებული ამბის სხვა ასპექტებთან. დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი გარკვეულწილად განსხვავდება სინუხეს მსგავსი ტექსტისაგან, რომლის ბიოგრაფიული სტრუქტურა ეწინააღმდეგება იმას, რომ იგი შეჯამდეს ერთი თემის ფარგლებში. გამოცდილების იდეა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ზებუნებრივი ქვეტექსტის გარეშე არსებულ ნაშრომად, შეიძლება შეუსაბამოდ იყოს განთავსებული გველის ეზოთერულ მოთხრობასთან, რადგანაც გველის მიერ ასახული მორალი არ არის კარგად წარმოჩენილი; თუმცა აღნიშნული ნაწილების შეუსაბამობა და არათანმიმდევრობა უნდა იყოს გამოყენებული არასათანადო გამაერთიანებელი არგუმენტების შეერთებით. ტექსტი მრავალფეროვანია, თუმცა განსხვავებულია სინუხეს ამბისგან. მისი სტრუქტურა აგებულია ადამიანურ გამოცდილებასა და კოსმოსურ მოვლენაზე, ან მითზე დაფუძნებული. მითის სრული გამოყენება ტექსტში, რომელიც არ ასახავს მითს, მეტად უცხოა თანამედროვე ლიტერატურული ტრადიციებისათვის. შემდგომი ასპექტი, რაც ასე თავსახინოა, არის ფორმატის გარკვეულ დონეზე ორგანიზება და სტრუქტურირება, ამბის ამბავში მოთავსება. ეს ნაწილობრივ ესთეტიკურია და მიუთითებს ფორმასთან კავშირზე, თუმცა შესაძლოა აგრეთვე გამომდინარეობდეს ფოლკლორული ანალოგიდან, რომელიც ინარჩუნებს ამბის თხრობის ტრადიციას.

დაღუპული გემის მეზღვაურის ამბის სრული ინტერპრეტაცია შეუძლებელია ერთი რომელიმე მარტივი სტრატეგიით, ან რომელიმე ცალკეული ინტერპრეტაციული მიგნებით. მე გამოვიყენე სხვადასხვა მიდგომა და მიჭირს იმაზე პასუხის გაცემა, რატომ არის ეს შესაბამისობაში მოყვანილი ცალკეულ შემთხვევაში. ნარატივის თვალსაზრისით, ტექსტი ფარავს ისეთ მრავალფეროვან მოვლენებს, დროისა და სივრცეების ისეთ მანძილებს, რომ მოსალოდნელია ბოლო ნაწილი ყოველივეს იყოს დაკარგული – კონკრეტულად მცირე ზომის ტექსტის საზღვრებში; აქ ჩნდება ფანტასტიკური მომენტები, რომლის ბოლო ნაწილი არის ხშირად სიტყვაძუნწი. ტექსტის არსი შესაძლოა იყოს მარტივი ხასიათის, თუმცა მისი მნიშვნელობა არ ემორჩილებოდეს ანალიზს ზოგადი თვალსაზრისით. შეიძლება ეს მოთხრობა შეიქმნა იმ მიზნით, რათა ზედაპირული ამბები გაერთიანებულიყო ერთ მთლიან სტრუქტურაში.

ამ ყველაფრის ერთი გამაერთიანებელი მოტივია ის, თუ ადამიანი როგორ იყენებს თავის გამოცდილებას ცხოვრებაში, რაც ეზოთერულ ასპექტებთან არ არის ახლო მიმართებაში;

თუმცა ისინი, ვინც ჩახედულნი იყვნენ საკრალური ცოდნის საკითხებში, შესაძლოა, ამ მოსაზრებასთან მიმართებაში არ დაგვთანხმებოდნენ. გამოცდილების გაკვეთილსა და ეზოთერულ ცოდნას შორის შესაძლოა ყოფილიყო გარკვეული შეუსაბამობა და დაძაბულობა, რაზეც ტექსტი მიგვანიშნებს, მაგრამ ეს შეიძლებოდა წარმატებით მიღწეულიყო გამონაკლისის სახით ყოველგვარი ემოციების გარეშე.

ტექსტის ზედაპირული სქემის მიუხედავად, ნარატივი მდიდარია ქარაგმებით და ასოციაციებით, რომელთა ძირითადი ნაწილი დაკარგული უნდა იყოს თანამედროვე მკითხველისათვის, ახალი ელემენტების იდენტიფიკაციამ კი, შესაძლოა, შეცვალოს წაკითხვები; მე არ ვცდილობ ზედმიწევნით საკითხის წვდომას, ან ტექსტის ზუსტ კითხვას, თუმცა აღნიშნული ქარაგმების აშკარა სიხშირე ნაწილობრივ შესაძლოა წარმოადგენდეს ამბის საინტერესო ასპექტს, რომელიც უჩვეულო კულტურული არტეფაქტია და არა ტექსტის ნაწილი, ასე რომ, ეს მახასიათებელი რთული ასახსნელია.

ჩემს სტრატეგიას წარმოადგენდა ტექსტის ინტერპრეტაცია მისი ლიტერატურული ხასიათის თვალსაზრისით, რაც ხაზს უსვამს ქარგის მნიშვნელობას და აფასებს ფორმას ავტორისა და აუდიტორიის თვალსაზრისით; ასევე ვიკვლევდი ზეპირი და ლიტერატურული დონეების ურთიერთკავშირებს. ლიტერატურული ძიების თვალსაზრისით, ჩემი მიდგომა შესაძლოა სცდებოდეს იმას, რაც უძველესმა აუდიტორიამ გააკეთა; ასევე შესაძლებელია, რომ წარმატებით არ განხორციელდა ჩემი ძიება ბევრი სხვა მიმართულებით. მსგავსი თამამი ნაბიჯები წარმოადგენს ლიტერატურული ინტერპრეტაციის შემადგენელ ნაწილს და ნაშრომს ანალიზის საყოველთაოდ აღიარებული მოდელების სისტემაში აქცევს. მსგავსი ნაწარმოების არსის აღდგენა მხოლოდ ერთგვარი რისკების გაწვევის საფასურად მიიღწევა. დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავი კი ჯილდოს, რისკის და გამოცდილების შესახებაა.

ავტორისა და მთარგმნელის კომენტარები

კომენტარი 1: ექსკლუზიური და ეზოთერული სიბრძნე – ექსკლუზიური სიბრძნე ეზოთერული სიბრძნის სახეა; სიბრძნე, რომელიც გაცხადებულია მხოლოდ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის, ვინც განვლო ერთგვარი ინიციაცია და ეზიარა დაფარულ, რჩეულთათვის მისაწვდომ ცოდნას, საკრალურ ცოდნას.

კომენტარი 2: დაცვილებულია კულტურული გარემოსა და დროის თვალსაზრისით.

კომენტარი 3: მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ეყრდნობა ზეპირ ტიპს, იმეორებს ფრაზებს და ნარატივის ნაწილებს და ა.შ., ასევე ფოლკლორულ მოტივებს. ეს წარმოდგენილია წერილობითი ნაწარმოების ფორმატში ერთგვარად გამიზნული სახით.

კომენტარი 4: საქმე გვაქვს ნარატივის ფორმულასთან, მაგალითად: „მრავალი დღის შემდეგ ეს მოხდა,“ რასაც ნაკლებად იყენებს ჩვენ მიერ განხილული ტექსტი.

კომენტარი 5: მოთხრობა წერილობითი ფორმით არსებობს, თუმცა ბაძავს ზეპირი ტრადიციისათვის დამახასიათებელ ნიშნებს; მანუსკრიპტი, რომელიც ჩვენ გვაქვს, შეიცავს შეცდომებს, რომლებიც გაჩნდა ერთი მანუსკრიპტიდან სხვადასხვა მანუსკრიპტზე გადაწერის პროცესში და არა იმიტომ, რომ ზეპირი ტრადიციის ჩაწერის პროცესში გაიპარა შეცდომები. ამდენად, ნათელია, რომ შეცდომები მომდინარეობს გადაწერის პროცესიდან.

კომენტარი 6: მიძღვნილი ფორმულის პროთაზისი – ეს არის გრამატიკული ტერმინი და ნიშნავს „თუ“, რომელიც პირობითი წინადადების ფრაზაში გვხვდება.

კომენტარი 7: წინამძღოლი არის ადამიანი, ვისაც ნარატორი მიმართავს. ის არის დატყვევებული, რადგანაც ნარატორი განუწყვეტლივ საუბრობს და არ აძლევს მას შესაძლებლობას, რომ რაიმე თქვას მთელი ტექსტის მანძილზე, გარდა ბოლო წინადადებისა.

კომენტარი 8: *დეკორუმის* გავრცელება – დეკორუმი არის კონცეფციების ერთობლიობა, რომელიც, ერთი მხრივ, უკავშირდება ცხოვრებისეულ ქმედების ნორმებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელოვნებაში (სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა) არსებულ მოტივებს, რომლებიც შეზღუდულია სპეციფიკურ კონტექსტში სპეციფიკური სიმბოლიზმის გამოყენებით.

კომენტარი 9: ტექსტის ამ ნაწილში საუბარია იმაზე, რომ მეზღვაურს ავიწყდება ის, რომ იგი იყო წინამძღოლი და რომ ექსპედიციის ყველა წევრი დაიღუპა. ის მოუთმენლად ელოდება სახლში დაბრუნებას. ეს მისთვის, როგორც ინდივიდისათვის, არის მთავარი ამ მომენტში.

კომენტარი 10: თეოლოგია გვხვდება ბიბლიურ კონტექსტში; ეს განმარტავს იმას, რომ შემოქმედი, რომელიც კეთილია, მიუხედავად ამისა, თანაარსებობს ბოროტებასთან ერთად სამყაროში. ფართო გაგებით ნიშნავს იმას, თუ რატომ არსებობს ბოროტება სიკეთესთან ერთად.

კომენტარი 11: ტექსტი ზოგ ადგილას ხშირად ძალზედ მოკლედაა წარმოდგენილი და ერთგვარად გაუგებარია. ეს მომენტი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საკითხი საზოგადოდ არის ცნობილი და უნივერსალურ ცოდნის ხასიათს ატარებს და ამიტომაც არ მოითხოვს დაკონკრეტებას; პირიქით, ამ პერიოდში მხოლოდ ადამიანების მცირე ჯგუფს შეეძლო ემოგზაურა და გადაადგილებულიყო ერთი ადგილიდან მეორეზე. ამდენად, ტექსტის კონტექსტი ელიტურია: დარიგებები, მორალი და საკრალური სიბრძნე სწორედ ელიტური გარემოსთვის არის განკუთვნილი. ამდენად, ტექსტი ეყრდნობა ფოლკლორულ ქარგას, თუმცა იგი მრავალშრიანი თემატურად და სცილდება უშუალოდ ფოლკლორულ მოთხრობას.

ტექსტში მითითებული ნაშრომების აბრევიატურა

<i>BD</i>	<i>Book of the Dead</i>
<i>BSEG</i>	<i>Bulletin (Société d'Égyptologie de Genève)</i>
<i>CdE</i>	<i>Chronique d'Égypte</i>
<i>CT</i>	<i>The Egyptian Coffin Texts</i> , ed. A. de Buck
<i>GM</i>	<i>Göttinger Miscellen, Beiträge zur ägyptologischen Diskussion</i>
<i>JAOS</i>	<i>Journal of the American Oriental Society</i>
<i>JEA</i>	<i>Journal of Egyptian Archaeology</i>
<i>JNES</i>	<i>Journal of Near Eastern Studies</i>
<i>JSSEA</i>	<i>Journal of the Society for the Study of Egyptian Antiquities</i>
<i>LÄ</i>	<i>Lexikon der Ägyptologie</i>
<i>SAK</i>	<i>Studien zur Altägyptischen Kultur</i>
<i>Sarapis</i>	<i>Sarapis</i>
<i>Wb.</i>	<i>Wörterbuch der Ägyptischen Sprache</i> , eds A. Erman and H. Grapow
<i>WdO</i>	<i>Die Welt des Orients</i>
<i>ZÄS</i>	<i>Zeitschrift für Ägyptische Sprache und Altertumskunde</i>
<i>ZDMG</i>	<i>Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft</i> <i>Urk Urkunden des Ägyptischen Altertums</i>

სტატიის ავტორის ბიოლოქმა, 2010 წელი

მას შემდეგ, რაც ჩემი სტატია გამოიცა 1990 წელს, მე აღარ დავბრუნებივარ დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავს, მხოლოდ რამდენიმეჯერ შევეხე ამ ნაწარმოებს 'Myth and Literature'-ის თავში, რომლის რედაქტორია A. Loprieno (ed.), *Ancient Egyptian Literature: History and Forms* (Leiden, 1996), 361–77. ბევრი ახალი ნაშრომი, რომელიც უკავშირდებოდა და ეხებოდა ამ მოთხრობას, გამოქვეყნდა ამ პერიოდში. 1991 წელს გამოქვეყნდა ა. ლოპრიენოს სტატია – The Sign of Literature in the Shipwrecked Sailor. აღნიშნული სტატია დაიბეჭდა კრებულში – U. Verhoeven and E. Graefe (eds), *Religion und Philosophie im alten Ägypten: Festgabe für Philippe Derchain zu seinem 65. Geburtstag am 24. Juli 1991* (Leuven, 1991), 209–18 გვ. სადაც ავტორი დამოუკიდებლად იკვლევს თხზულებას და ტექსტს განსხვავებული კუთხით უდგება.

ტექსტი სერიოზული თარგმანია ინგლისურ ენაზე, რომელიც მისდევს ორიგინალის მეტრიკულ სტრუქტურას, ეკუთვნის რ.პ. პარკინსონს, იხ. *The Tale of Sinuhe and Other Ancient Egypt-*

tian Poems, 1940–1640 BC (Oxford, 1997), 89–101. ამ ავტორს ეკუთვნის – *Poetry and Culture in Middle Kingdom Egypt: a Dark Side to Perfection* (London, 2002), სადაც იგი ტექსტის ანალიზის კვალდაკვალ, მის შედარებას ახდენს *ხეოფოს სასახლის კარის მოთხრობებთან*, შდრ. გვ. 182–92 და ასევე იხილეთ ბიბლიოგრაფია ტექსტთან კავშირში, გვ. 298–9.

გ. მოირსის ნაშრომი – *Fingierte Welten in der ägyptischen Literatur des 2. Jahrtausends v. Chr.: Grenzüberschreitung, Reisemotiv und Fiktionalität* (Leiden, 2001) – ძირითადად ფოკუსირებულია მოგზაურობის თემაზე და მოგზაურობის მოწყობის საკითხებთან მიმართებაში ბევრ საინტერესო პრობლემას განიხილავს. მეორე შესანიშნავი თარგმანი ვ.კ. სიმპსონს ეკუთვნის, რომელიც გამოიცა W. K. Simpson (ed.), *The Literature of Ancient Egypt* (3rd ed., New Haven, 2003), 45–53 და თან ახლავს ვრცელი ბიბლიოგრაფია 584–7 გვერდებზე.

ჟ. მ. გალანი თავის ნაშრომში – *Four Journeys in Ancient Egyptian Literature* (Göttingen, 2005) – გვთავაზობს ერთდროულად ტექსტის კვლევას და მის თარგმანსაც. ეს არის ინგლისური გამოცემა ესპანური წიგნისა – *Cuatro viajes en la literatura del antiguo Egipto* (Madrid, 1998). ესეების უახლესი კოლექცია ეგვიპტურ ნარატივზე გახლავთ: H. Roeder (ed.), *Das Erzählen in frühen Hochkulturen: der Fall Ägypten* (Munich, 2009), რომელშიც რამდენიმე თავი ეხება დაღუპული გემის მეზღვაურის ამბავს.

ავტორები

- მალსაზ მაცაბერიძე** – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ქეთევან კაკიტელაშვილი** – ასოცირებული პროფესორი, კულტურის მეცნიერებები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ზაურ გასიმოვი** – ევროპული ისტორიის ინსტიტუტის მსოფლიო ისტორიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი, მაინცი, გერმანია
- მაია ქვრივიშვილი** – ასოცირებული პროფესორი, კულტურის მეცნიერებები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- რიფსიმე რამაზიანი** – პროფესორი, ვ. ბრიუსოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო ლინგვისტური უნივერსიტეტი, სომხეთი
- სონა ავეტისიანი** – ვ. ბრიუსოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო ლინგვისტური უნივერსიტეტი, სომხეთი
- დავით მაცაბერიძე** – ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ბუდაპეშტი, უნგრეთი; ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სერგეი რუმიანცევი** – სოციოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის, სოციოლოგიის და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი
- ირაკლი ჩხაიძე** – დოქტორანტი, კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- მარინა ანდრაზაშვილი** – ასოცირებული პროფესორი, ევროპული ენების და ლიტერატურის ინსტიტუტი, გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ნინო დარასელია** – ასოცირებული პროფესორი, ევროპული ენების და ლიტერატურის ინსტიტუტი, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ნინო ქიმერიძე**, ასოცირებული პროფესორი, ევროპული ენების და ლიტერატურის ინსტიტუტი, გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარგმანები

- ჯონ ბეინსი** – ეგვიპტოლოგიის პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, მკვლევარი, ქუინს კოლეჯი
- ეკა ავალიანი** – პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

AUTHORS

Malkhaz Matsaberidze, Doctor of Political Sciences, Professor, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Ketevan Kakitelashvili, Associate Professor, Institute of Culture Studies, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Zaur Gasimov, Research Fellow at the Department of World History, Institute of European History, Mainz

Maia Kvrivishvili, Associate Professor, Institute of Culture Studies, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Hripsime Ramazyan, Professor, Yerevan State Linguistic University after V.Brusov, Armenia

Sona Avetisyan, Yerevan State Linguistic University after V.Brusov, Armenia

David Matsaberidze, PhD Student, Central European University, Budapest, Hungary; Assistant Professor, Faculty of Social and Political Sciences, Iv.Javakishvili Tbilisi State University

Sergei Rumiantsev, Candidate of the Sociological Sciences, Research Fellow at the Institute of Philosophy, sociology and Law at the National Academy of Sciences, Azerbaijan

Irakli Chkhaidze, PhD Student, Institute of Cultural Studies, Iv.Javakishvili Tbilisi State University

Marina Andrazashvili, Associate Professor, Institute of European Languages and Literature, Department of German Philology, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Nino Daraselia, Associate Professor, Institute of European Languages and Literature, Department of English Philology, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Nino Kimeridze, Associate Professor, Institute of European Languages and Literature, Department of German Philology, Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Translation

John Baines, Professor of Egyptology, University of Oxford, Fellow of the Queen's College

Eka Avaliani, Professor, Iv.Javakhishvili Tbilisi State University

გამომცემლობის რედაქტორები:

მარინე ვარამაშვილი

ნანა კაჭაბაგა

კომპ. უზრუნველყოფა

ლალი კურდღელაშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995(32)251432

www.press.tsu.ge